ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 ივლისი პარასკევი 2013
№174 (14 090) ფასი 80 თეთრი




# დინამო და დილა
## ევროთასებზე გავნახევრდით
## საჩვენო ფრე დანიაში

ოლბორგი
0:0
დილა




## ჰაიდუკი-დილა


2

გორის დილა ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზეა



## ოფიციალურად დვალი რედინგში

3



## რუმინელი გოგა დინამოში

3



## კალაშნიკოვას WTA-ს ტურნირის ფინალამდე ნაბიჯი აშორებს

12

# ჩიხურა ჩარჩა



2

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო



რონალდინიო (მარჯვნივ) მხოლოდ მე-7 ფეხბურთელი გახდა, ვინც ლიბერტადორესის თასიც მოიგო და ჩემპიონთა ლიგაც

## ატლეტიკო მინეირო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია

რონალდინიო: აი, ამ ტიტულისთვის წავედი ბრაზილიაში სათამაშოდ

6

ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო შეხვედრები




ჩიხურას ფეხბურთლები გატანს ცდილობდნენ — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ნულოვანი, მაგრამ ოსტატური

25.07. ოლბორგი. ნორდიისაე არენა. 10 000 მაყურებელი

ოლბორგი 0
დილა 0

**პირველი მატჩი 0:3**

| ოლბორგი 4-2-3-1 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| ლარსენი | რევიშვილი |
| დალსგაარდი | მ. კობახიძე |
| პედერსენი | ხიზანეიშვილი |
| ლ. ნილსენი | თომაშვილი |
| ტელანდერი | გ. გურული |
| ვიურტცი | აბურჯანია |
| ვიხმანი | დ. ბოლქვაძე |
| ტომსენი | თ. ლონლაძე |
| კუსაი | გვალია |
| კურტი | გორელიშვილი |
| ფრედერიკსენი | ილურიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. ნილსენი | გ. დევდარიანი |

**ოლბორგი**

46. პედერსენი – **კრისტენსენი**
63. ფრედერიკსენი – **დუე**
78. ვიურტცი – **ტოფტი**
*სათადარიგოები: კ. კრისტენსენი, ა. კრისტენსენი, ალმანი, ჰანსონი*

**დილა**

50. აბურჯანია – **დოლიძე**
53. გორელიშვილი – **ალადაშვილი**
82. ბოლქვაძე – **ალექსიძე**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, სადალაშვილი, გაბარაევი, მოდებაძე*
გაფრთხილება: რევიშვილი (16), გურული (78), ალადაშვილი (89)
არბიტრი: რ. მალეკი (პოლონეთი)

თბილისში მიღწეული ანგარიშისა და თამაშის ხარისხის შემდეგ, "დილას" შემდეგ ეტაპზე გასვლა ეჭვქვეშ არ უნდა დამდგარიყო, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ დანიელები თავისი წილი შანსის გამოსაყენებლად ბოლომდე იბრძოლებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ "ოლბორგმა" საამისოდ ძალ-ღონე დაიშურა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო - საყაიმო ანგარიშის მიუხედავად, გუშინაც გამოჩნდა, რომ "დილა" გაცილებით უკეთესი გუნდია.

გორელებს 90 წუთის განმავლობაში ერთი სერიოზული შეცდომაც არ დაუშვიათ, მშვიდად აკონტროლებდნენ თამაშის ტემპს, აკურატულად ითამაშეს დაცვაში და მეტოქისთვის არც მოედნის ცენტრი დაუთმიათ. დანიელებმა პრესტიჟის გამარჯვების მოპოვებაც ვერ შეძლეს. მათ ერთფეროვან შეტევებს "დილა" დამაჯერებლად უმკლავდებოდა და დროდადრო თავადაც უტევდა.

სტუმრებს გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენეს. ყველაზე ახლოს "დილა" დაწინაურებასთან 77-ე წუთზე იყო, როცა შეცვლაზე შესულმა **კახა ალადაშვილმა** მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა და "ოლბორგი" ხარიხამ იხსნა.

მთლიანობაში, თამაში სანახაობრივი ვერ გამოდგა და ამის საჭიროება არც იყო. მთავარი საქმე "დილამ" "მიხეილ მესხზე" გააკეთა, როცა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრა და სამი უპასუხო ბურთი გაუტანა.

პირველი მატჩის შემდეგ **გიორგი დევდარიანმა** ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა – ალადაშვილის, **გრიგოლ დოლიძისა** და **ირაკლი მოდებაძის** ადგილები **თემურ ლონლაძემ, გიორგი აბურჯანიამ** და **მიხაილ გორელიშვილმა** დაიკავეს.

კარგი იქნებოდა, ხორვატულ "ჰაიდუკთან" პირველ მატჩს საქართველოს ჩემპიონი დისკვალიფიცირებულთა გარეშე შეხვედროდა, მაგრამ ერთ დანაკლისს ვერ ასცდა – ალადაშვილმა გაფრთხილება "ოლბორგთან" ორივე შეხვედრაში მიიღო და ხორვატებთან პირველ თამაშს დააკლდება.

მოკლედ, "დილამ" ქართველი ქომაგის მოლოდინი არც გუშინ გაწირა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამაჯერებლად შეაბიჯა. გადაულახავ ბარიერად არც "ჰაიდუკი" მოჩანს და ყველა საფუძველი გვაქვს საიმისოდ, რომ "დილა" ზედიზედ მეორე პლეი ოფში ვიხილოთ.

**ლევან ჟანეზაშვილი**



ბურთით ოთარ ხიზანეიშვილი

# რა ძნელია მარტივი თამაში

25.07. თბილისი. მ. მესხი. 800 მაყურებელი

ჩიხურა 1
თუნი 3

**პირველი მატჩი 0:2**

1:0 რეხვიაშვილი (5), 1:1 ლომაშვილი (45. საკუთარ კარში), 1:2 მარტინესი (50. სკირინცის პასით), 1:3 შნოივლი (83. ფრეის პასით).

| ჩიხურა 4-2-3-1 | თუნი 4-4-2 |
|---|---|
| სომხიშვილი | მოზერი |
| ოდიკაძე | ლიუტი |
| ლომაშვილი | რაიხმანი |
| რეხვიაშვილი | შენკელი |
| კაშია | სკირინცი |
| ჩიკვაიძე | კასიო |
| ბეჟვაია | ჰედიგერი |
| ჯილაური | სანოგო ჟუნიორი |
| დათუნაიშვილი | ვიტვერი |
| დეკანოიძე | მარტინესი |
| წინამძღვრიშვილი | სადიკი |
| მწვრთნელი | მთ. მწვრთნელი |
| ს. ფრუიძე | უ. ფიშერი |

**ჩიხურა**

46. დათუნაიშვილი — **დემეტრაშვილი**
77. წინამძღვრიშვილი — **ქიმაძე**
*სათადარიგოები: თევდორაძე, ჭელიძე, კაკულია, გოგატიშვილი, ივანიშვილი.*

**თუნი**

60. სანოგო ჟუნიორი – **ბასერი**
72. სკირინცი – **ფრეი**
76. მარტინესი - **შნოივლი**
სათადარიგოები: ფევრი, სულმონი, სალამანი, ლეკაი.
გაფრთხილება: სომხიშვილი (51), რეხვიაშვილი (51), ჩიკვაიძე (53), კასიო (61), ვიტვერი (76), ქიმაძე (90+1).
არბიტრი: ა. ვუჩემილოვიჩი (ხორვატია)

ერთი კარგი ფილმია, რომელიც ქართულად სახალისოდ თარგმნეს – „შტანგა, გოლი!". იქ არის ასეთი ეპიზოდი: ფილმის გმირი ბურთს ვერ ელევა და დროული გადაცემები უჭირს. მწვრთნელმა მისი მორჯულება გადაწყვიტა. ვარჯიშზე ბურთი ორჯერ შორს გადაუგდო და სთხოვა, დასწეოდა. ცხადია, ფეხბურთელმა ეს ვერ მოახერხა და მერე აუხსნა – ბურთი ყოველთვის შენზე სწრაფად მოძრაობს, დაივიწყე ადგილზე „მატაობა", დროულად გადააწოდე და შეტევას არ შეაყოვნებო.

სწორედ ეს ზედმეტი მოძრაობები და ბურთის უაზროდ დაყოვნებები იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, გუშინ საჩხერეს „ჩიხურამ" შეტევები რომ ვერ განავითარა და წააგო.

ერთი შეხედვით, საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა - შვეიცარიული „თუნი", მაგრამ პირველ ტაიმში „ჩიხურა" მეტოქეზე არანაკლებ გამოიყურებოდა. თამაშიც კარგად დაიწყო: უკვე მე-5 წუთზე მეტოქის საჯარიმოსთან დანიშნული ჯარიმა **გიორგი რეხვიაშვილმა** შეასრულა და ბურთი ცხრიანში ჩააჯვია.

მართალია, მერე რამდენჯერმე დაცვაში უყურადღებოდ ვითამაშეთ და კინაღამ დავისაჯეთ, მაგრამ „ჩიხურამ" მალე საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა.

ჩვენები ბურთს და თამაშის ტემპს აკონტროლებდნენ. შეტევებსაც საკმაოდ კარგად ამწვავებდნენ. მეტოქის კარის აღებას ცდილობდნენ რეხვიაშვილი, **შოთა კაშია**, ახლოდან **გიორგი დათუნაიშვილმა** ბურთი კარს მცირე მანძილით ააცილა. კარგი სანახავი იყო **ჯაბა ჯილაურის** წამოწყებული შეტევა, რომელიც **რატი წინამძღვრიშვილმა** მარჯვენა ფლანგზე **გიორგი დათუნაიშვილს** გადააწოდა, მან კი საჯარიმოში **ბესიკ დეკანოიძე** მოძებნა. მაგრამ შვეიცარიელთა მცველი ამ უკანასკნელს ფეხებში ჩაუვარდა, ბურთი კუთხურზე მოიგერია და თავისიანები მეორე გოლს გადაარჩინა.

საჩხერელებმა გაილაღეს და ეტყობა, მოგება ნაადრევად ირწმუნეს. „თუნს" ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ გაცილებით მარტივად და გასაგებად თამაშობდა. ფეხბურთი კი სწორედ მარტივი თამაშია.

... ანგარიში ტაიმის ბოლო წუთზე გათანაბრდა: მარცხენა ფლანგიდან **ენრიკო სკირინცის** ჩაწოდებული ბურთის მოსაგერიებლად მეკარე **გიორგი სომხიშვილი** გამოვარდა და მცველს დაუყვირა – „გაატარე". ეტყობა, **ვაჟა ლომაშვილმა** ვერ გაიგო და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

საჩხერელებმა მეორე ტაიმიც შეტევებით დაიწყეს. წესით, წინამძღვრიშვილის წაქცევისთვის პენალტის დანიშვნაც შეიძლებოდა, მაგრამ არბიტრმა რეაგირება არ მოახდინა და მერე გამოჩნდა, რომ მასპინძლები საბოლოოდ გატყდნენ.

50-ე წუთზე მარცხნიდან ბურთი საჯარიმოში ისევ სკირინცმა ჩააჯვია, მცველებს „დაეძინათ" და **მარტინესმა** ახლო მანძილიდან გაიტანა – 1:2.

მალე სტუმრებმა კიდევ ერთი საგოლე მომენტი შექმნეს. „ჩიხურას" მეკარე თანაგუნდელების ინერტულობამ ისე გაამწარა, კარიდან გამოვარდა და დაიყვირა, რაზეც რეხვიაშვილი შეეპასუხა. ემოციებისთვის მერე ერთმანეთს კი მოუბოდიშეს, მაგრამ გვიანი იყო - მსაჯმა ორივეს ყვითელი ბარათი აუფრიალა.

საჩხერელებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ: **დავით ოდიკაძემ** საჯარიმო კარგად შეასრულა, მაგრამ მეკარე **დავიდ მოზერმა** საუცხოო რეაქცია გამოავლინა. მატჩის ბოლოს **ბესიკ დეკანოიძემ** მეტოქეს საჯარიმოში ულამაზესით მოძრაობით თავბრუ დაახვია, მეკარესთან პირისპირ დარჩა. მაგრამ მარტივი დარტყმის ნაცვლად, რაღაც მოიგონა და მოზერმა ბურთი იოლად აუღო.

საბოლოო ანგარიში „თუნმა" ფლანგური შეტევის შემდეგ დააფიქსირა: მარჯვნიდან **დავიდ ფრეიმ** ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, **მარკო შნოივლმა** ყველას დაასწრო და - 1:3.

**მატჩის შემდეგ**

**ურს ფიშერი,** "თუნის" მთავარი მწვრთნელი: *"დასაწყისში გაშვებული ბურთის შემდეგ, საკმაოდ გაგვიჭირდა. მაგრამ მერე თამაშის გარდაქმნა მოვახერხეთ. ცხადია, ავტოგოლმაც საჩვენოდ იმოქმედა. პირველ მატჩშიც ვაჩვენეთ, რომ უკეთეს ფეხბურთს ვთამაშობთ".*

**სოსო ფრუიძე,** "ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი: *"უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ჩვენ არ ვიყავით იმ დონეზე, შემდეგ წრეში რომ გავსულიყავით. გამოცდილებით და კლასით მათ დონეზე არ ვართ. ავტოგოლმაც წელში გაგვწყვიტა. 3-4 ფეხბურთელი მაინც გვჭირდება, თამაში რომ გავაძლიეროთ".*

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რეხვიაშვილმა ანგარიში მატჩის დებიუტშივე გახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ლეგიონის ნაწილისთვის ევროპალიგა გრძელდება

ევროპის ლიგის გუშინდელ მატჩებში რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა მიიღო მონაწილეობა. მათმა ნაწილმა მესამე ეტაპზე გაღწევა შეძლო.

ყაზანის "რუბინმა" სერბულ "იაგოდინას" შინაც მოუგო. მასპინძლებმა 1:0 გაიმარჯვეს, ორრაუნდიანი დაპირისპირება კი 4:2 მოიგეს. **საბა კვერკველია** "რუბინის" თადარიგში იყო. ყაზანელთა შემდეგი მეტოქე დანიური "რანდერსი" იქნება.

მესამე რაუნდშია აზერბაიჯანული "ყარაბახიც", რომლის ღირსებასაც **ნიკოლოზ გელაშვილი** იცავს. ცნობისთვის, "ყარაბახის" გარდა, ევროასპარეზს უკვე ყველა აზერბაიჯანული კლუბი გამოეთიშა, რაც ამ ქვეყნის საფეხბურთო პროგრესზე ჩამოყალიბებულ შეხედულებას, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულს ხდის. განსაკუთრებით ხაზგასასმელი ლენქორანის "ხაზარის" სირცხვილია, რომელიც საკუთარ კედლებში ჰაიფას "მაქაბისთან" 0:8 განადგურდა.

"ყარაბახს" პოლონურ "პიასტთან" შინ 2:1 ჰქონდა მოგებული, სტუმრად 1:2 დამარცხდა, დამატებით დროში კი ანგარიში გაათანაბრა და შემდეგ ეტაპზე ასე გავიდა. გელაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 85-ე წუთზე შეცვალეს, გადამწყვეტი გოლი კი მოედანზე მის ნაცვლად შესულმა კონგოელმა **ულრიხ კაპოლონგომ** გაიტანა.

"ყარაბახი" მესამე ეტაპზე შვედურ "გეფლეს" დაუპირისპირდება.

გათამაშებას გამოეთიშა **კახა ცხადაძის** მიერ გაწვრთნილი ბაქოს "ინტერი", რომელმაც, მართალია, გუშინ მოიგო, მაგრამ ანგარიში საბოლოო წარმატებისთვის არ ეყო. ნორვეგიაში "ტრომსოსთან" განცდილი 0:2-ის შემდეგ, "ინტერმა" მხოლოდ 1:0 გაიმარჯვა. ეს ერთადერთი ბურთი **ბაჩანა ცხადაძის** ანგარიშზეა, რომელმაც თავი შეხვედრის 76-ე წუთზე გამოიჩინა.

**გიორგი ლომაიამ, ლაშა სალუქვაძემ** და ექსდინამოელმა **მიკელ ალვარომ** ბაქოელთა რიგებში სრულად ითამაშეს, ძირითადში გამწესებული **ალექსანდრე იაშვილი** 84-ე წუთზე შეცვალეს, ცხადაძე კი მოედანზე შესვენების შემდეგ შევიდა.

*"ძალიან სამწუხაროა, რომ საჭირო შედეგს ვერ მივაღწიეთ. "ინტერმა" კარგად ითამაშა, მაგრამ არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. "ტრომსოს" დამარცხება შეგვეძლო, მაგრამ არ გამოგვივიდა"*, - თქვა ნამატჩევს იაშვილმა.

ლუქსემბურგული "ჟენეს ეშის" წინააღმდეგობა დაუბრკოლებლად დასძლია ლატვიურმა "ვენტსპილსმა" - საშინაო მატჩში 1:0-ის გამარჯვების შემდეგ, სტუმრად 4:1 მოიგო. ვენტსპილსელი **თორნიკე თარხნიშვილი** თამაშში 71-ე წუთზე ჩაერთო. "ვენტსპილსი" მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში ჰაიფას "მაქაბის" შეხვდება.

გავარდა მეორე ლატვიური კლუბი, **თამაზ პერტიას** მიერ გაწვრთნილი რიგის "სკონტო", რომელსაც შინ ჩეხურ "ლიბერეცთან" 1:0 ჰქონდა მოგებული, სტუმრად კი 1:2 დამარცხდა. **ირაკლი კლიმიაშვილი** "სკონტოს" შემადგენლობაში 82-ე წუთიდან გამოჩნდა, მისი თანაგუნდელი **ლადო დათუნაშვილი** სათადარიგო იყო, მესამე სკონტოელი, **ლაშა დვალი** კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე იმყოფება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლაშა სალუქვაძე

დინამო

# გოგა რუმინეთიდან

**ფარერის** კუნძულებიდან დაბრუნებულ თბილისის "დინამოს" 29 წლის რუმინელი ნახევარმცველი **დორინ გოგა** შეუერთდა. 2008-12 წლებში იგი რუმინულ "ტიმიშოარაში" თამაშობდა, რომლის მთავარი მწვრთნელიც მაშინ დუშან უჰრინი იყო.

გასული სეზონი კი გოგამ ებრაულ "ჰაპოელ რამათ განში" გაატარა, რომლის შემადგენლობაშიც 12 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. მისი საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დორინ გოგა

ტორპედო

# ნიკა საბანაძე დაბრუნებისთვის ემზადება

**როგორც** ქუთაისის "ტორპედოს" ვებგვერდი გვამცნობს, გუნდის 22 წლის თავდამსხმელი **ნიკა საბანაძე** ჩემპიონატის სტარტისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. ტრავმის გამო მას ორთვე-ნახევარი გაუცდა და "ტორპედოს" ევროპის ლიგაზე ვერ დაეხმარა.

*"თითქმის ბოლომდე მორჩენილი ვარ. უბრალოდ, ცოტა შიში ჯერ კიდევ მაქვს და მალე ისიც გამიქრება. ამჟამად ფიზმომზადების მწვრთნელ ალბერტო ბეროკალთან ერთად ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ალბათ, ერთ კვირაში უკვე სრული დატვირთვის მიღებასაც შევძლებ. სავარაუდოდ, თურქეთში გასამართ მეორე ან მესამე საკონტროლო მატჩშიც ვითამაშებ, მინდა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ თამაშში მონაწილეობით მაინც აღვიდგინო ფორმა"*, - თქვა საბანაძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი



ლაშა დვალი (№3)

# ოფიციალურად: დვალი რედინგში!

**ლაშა დვალი** ოფიციალურად გახდა ინგლისის ჩემპიონშიპის "რედინგის" ფეხბურთელი. ინგლისური კლუბი საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი და გამოცდილი მცველით შარშან, სლოვენიაში გამართული ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ დაინტერესდა. **მამუკა ღვიტიძისა** და **გუბაზ დოლიძის** გაზრდილი ფეხბურთელი მაშინ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალოსანი გახდა.

ტურნირის დასრულებისთანავე, "რედინგის" ხელმძღვანელობა დვალს სიტყვიერად შეუთანხმდა, რომ 5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებდა. საქმე ისაა, რომ ამ დროისთვის ლაშა 17 წლის იყო და არასრულწლოვანი დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზას ვერ მიიღებდა.

მიუხედავად ამისა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქართველი ახალგაზრდა ერთი წელიწადი რიგის "სკონტოში" იჯარით ითამაშებდა. ლაშა 18 წლის 5 მაისს შესრულდა და ბრიტანელებთან კონტრაქტის გაფორმებას ლიტვაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იმედოვნებდა. მაგრამ შევიტყვეთ, რომ ხელშეკრულება უკვე ოფიციალურად შესთავაზეს და მანაც ჩემპიონიპის გუნდში გადასვლის სურვილი ხელმოწერით დაადასტურა.

*"დიახ, "რედინგთან" კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გავაფორმე და უკვე ამ კლუბის ფეხბურთელი ვარ"*- დაგვიდასტურა დვალმა. მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე სერბეთთან წაგებით იმდენად ხასიათწამხდარი იყო, მის კარიერაში ასეთი მნიშვნელოვან მოვლენაზე უფრო ვრცლად ლაპარაკის სურვილი არ ჰქონდა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველმა "რედინგს" თავისი მომავალი 4 წლით დაუკავშირა. მაგრამ წინასწარი შეთანხმებით, ერთ წელიწადს "სკონტოში" გაატარებს, ინგლისში კი მხოლოდ ამის მერე გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ ლაშა დვალმა "სკონტოს" შემდგენლობაში უკვე 5 მატჩი ჩაატარა, ორი ლატვიის თასზე, ორი ევროპის ლიგაზე, ერთიც – ვირშლიგაში.

ცხადია, კარგი ამბავია, რადგან ბოლო დროს, ქართველებით ინგლისში აღარ ინტერესდებოდნენ. ბოლოს იქაურ კლუბში **ზურაბ ხიზანიშვილი** ირიცხებოდა და ისიც "რედინგის" ღირსებას იცავდა. მაგრამ 2011 წელს "კაისერიში" **შოთა არველაძესთან** გადავიდა.

ბრიტანეთში ქართველი ამის შემდეგაც თამაშობდა, ოღონდ დუბლშემადგენლობაში: 2012 წელს შოტლანდიური პრემიერლიგის „ინვერნესში" 18 წლის **დაჩი ხუციშვილი** ჩაირიცხა. შემტევი ნახევარმცველი საქართველოში დაიბადა, თბილისის „ლოკომოტივისა" და „დინამოს" ასაკობრივ გუნდებში თამაშობდა და გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზეც იყო მიწვეული. ინგლისში კი „ბარნსლის" აკადემიასა და კონფერენს ლიგაში „დინინგტონ თაუნში" გამოდიოდა. სეზონის ბოლოს, დაჩის „ინვერნესთან" ხელშეკრულება დაუმთავრდა და მის გახანგრძლივებას სთავაზობდნენ. მაგრამ ევროპის ლიგაზე გასული გუნდის ძირითადში დაწინაურების იმედი გადაეწურა. მას კი თამაში სურდა და სხვა კლუბში გადასვლაზე ფიქრობდა. მენეჯერი აიმედებდა, რომ შოტლანდიის პირველი ლიგისა და ინგლისის კლუბები დაინტერესდნენ. მაგრამ ვერ დავადგინეთ, ახლა ისევ „ინვერნესშია" თუ სხვაგან წავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

სკანდალი

# ვინ სთხოვდა ფულით სავსე ქეისს ლანჩხუთის გამგებელს?!

## ზაზა ურუშაძე: მითხრეს, ფული მოიტანე და „გურიას" ჩვენ მივხედავთო

**ლანჩხუთის „გურიასთან" დაკავშირებით სკანდალი გრძელდება – ვინც კლუბის უმაღლეს ლიგაში გადასვლაში მიიღო მონაწილეობა, ხელშეკრულება არც ერთთან არ გაგრძელებულა. ლანჩხუთის გამგებელ ზაზა ურუშაძეს საკრებულოს წევრებმა ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვეს.**

**ზაზა ურუშაძე:**

- სტადიონთან დავალიანება გვქონდა 22 000 ლარი, მაგრამ, როგორც ვიცი, ახლა 27 000-ზე ავიდა. პრობლემაა ისიც, რომ მოედანი, რომელიც ფედერაციამ გააკეთა, რთული მოსავლელია და მისი მოვლა თვეში 2 500-3 000 ლარი ჯდება. ჩამოყვანილი გვყავდა ბალახის სპეციალისტები ფოთიდან, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ - მინდორი სპეციფიკურ მოვლას ითხოვს. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები - მონტაჟდება სკამები; რემონტდება გასახდელები და მოსასვენებელი ოთახები; გაკეთდება საკონფერენციო დარბაზი, პატარა ბარი. ორი გასვლითი თამაში გველის წინ და მესამე მატჩში კი, შეიძლება, ლანჩხუთში შევხვდეთ თბილისის „დინამოს". მანამდე თუ მოესწრო ეს ყველაფერი, კარგი იქნება.

- სპონსორის მოძიების მხრივ რა სიტუაციაა? - დაინტერესდა საკრებულოს წევრი მერაბ წილოსანი.

- გუნდი ამჯერად გრიგოლეთშია, სასტუმრო გვაქვს მათთვის ნაქირავები. ერთ თვის საფასური უკვე გადავიხადეთ და მეორე თვისაა გადასახდელი. 30 კაცის შენახვა 9 000 ლარი ჯდება. ჩვენივე სახსრებით ვკვებავთ, იმიტომ, რომ იაფი გამოგვდის და სიტუაცია კონტროლის ქვეშაა. რაც შეეხება ბაზას, დავალებული გვაქვს, რომ გავასუფთაოთ, იქვე ახლოს ტყე გაიწმინდოს, რომელიც ქვეწარმავლებითაა სავსე. ბაზის ნახაზი გაკეთებულია. სამჯერ შევხვდით ეკონომიკის მინისტრს, რომელიც დაგვპირდა, რომ პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ეს ბაზა ჩვენ გადმოგვეცემა, რაც სპონსორის ძიებაში წინ წაგვწევს. - აღნიშნა გამგებელმა.

მისივე თქმით, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმან, რომ გუნდიდან ვილაცას უშვებენ, ვილაცას ტოვებენ... რამდენჯერმე მომიხდა ყოფილ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან შეხვედრა. მათ ვუთხარი, რომ გააგრძელონ მუშაობა. არ მაინტერესებს არავის თანამდებობა, ვინ სად იქნება, ჩემთვის მთავარია, კლუბმა ფუნქციონირება გააგრძელოს და იქ იმ ხალხმა იმუშაოს, ვინც წარმატებას მოგვიტანს. ახალი მწვრთნელი უკვე დაინიშნა - დავით მახარაძე, რომლთანაც შეხვედრის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ პროფესიონალია. გავუფორმებთ მას ხელშეკრულებას და ვნახოთ, რა შედეგს დადებს.

„რაც შეეხება სპონსორს, ეს საკმაოდ რთული თემაა. ვისაც ფული აქვს, იმან კარგად იცის, რომ მოგებაზე ვერ იმუშავებს და სამ-ოთხ წელიწადს სარჩენი ეყოლება კლუბი. სამ ადამიანთან უკვე სერიოზულად მიდის მოლაპარაკება. ველოდებით ბაზის გადმოცემას, რადგან გვთხოვენ რეესტრის ამონაწერს, რომლის მიხედვითაც ბაზა მუნიციპალიტეტის ბალანსზე იქნება. მალე გვეცოდინება იმ 19 კაცის სია, რომლებიც ძირითად გუნდში დარჩებიან. თუ გაგვიჭირდა, შეიძლება, ერთი უკრაინელი ფეხბურთელიც დავამატოთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ საიმისო თანხა არ არის, რომ უცხოელს ფული გადავუხადოთ. უკრაინელები ჩამოდიან 26-ში და შეიძლება, დაგვეხმარონ ერთი ფეხბურთელის შენახვაში. თუ სპონსორი მოიძებნა, ცვლილებები ნამდვილად იქნება და ის თავად მიხედავს ყველაფერს. მე კიდევ ერთხელ შევხვდები იმ ხალხს, ვისაც წვლილი მოუძღვის წინა წლებში გუნდის წარმატებაში და თუ ჩვენთან ურთიერთობის სურვილი ექნებათ, ყველასთვის კარი ღიაა. იმის თქმა, რომ ფული დამიდეთ „კეისით" და მერე მე მოვალ, არ გამოვა. ფული რომ გვქონდეს, გერმანელებს ჩამოვიყვანთ. თუ გვინდა რამეს მივაღწიოთ, უნდა დავიწყოთ ბავშვთა ფეხბურთით. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მზად არ ვიყავით უმაღლესი ლიგისთვის - არ გვაქვს ინფრასტრუქტურა, სტადიონი, ფორმები... 60 000 ლარი გვჭირდება ამისთვის. ეს სალაპარაკოდ იოლია, მაგრამ როცა ფულზეა ლაპარაკი, ფაქტობრივად, მათხოვრად ვართ გადაქცეულები" - განაცხადა ურუშაძემ.



ზაზა ურუშაძე

მისივე თქმით, 26-ში ელოდებიან უკრაინელებს და კიევის „დინამოსთან" ამხანაგური მატჩი უნდა ჩავატაროთ: „მინდა, ამ დღისთვის სტადიონამდე მისასვლელი გზა მაინც გასუფთავდეს. შეიძლება პრემიერ-მინისტრიც დაესწროს თამაშს. ჩამოსვლა უნდა სამ მინისტრს. ეს იქნება ჩვენი რეკლამა".

**მას ისევ მერაბ წილოსანმა მიმართა და გულისტკივილი გამოხატა იმათი წასვლის გამო, ვინც „გურია" უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა:**

- რა დააშავა იმ ხალხმა, ვინც გუნდი წარმატებამდე მიიყვანა და ბევრი იბრძოლეს ამისთვის. დღეს არც ერთი აღარ არის გუნდში!

ლანჩხუთის გამგებელმა თქვა, რომ გუნდის კარი ყველასთვის ღიაა, თუმცა, „არა ისე, ფული „კეისით" დავუდოთ ვინმეს" - გაიმეორა მან.

ლანჩხუთის გამგებელს საკრებულოს წევრებთან არ დაუკონკრეტებია და ბევრი იფიქრებს, რომ „კეისით" ფულს მას კლუბის ძველი ხელმძღვანელობა სთხოვდა. თუმცა პირიქითაა - ძველი გუნდი ექვსეულში მოხვედრის გარანტიას საწყის ორ თვეში ფეხბურთელთა უფულოდ გაჩერების უზრუნველყოფით იძლეოდა. გამგებელი კი გულისხმობს სულ სხვა, მესამე გუნდს, რომელიც გამგებლისავე თქმით, ფულის მოტანას სთხოვდა. „ფული თუ მე მოვიტანე, რაში მჭირდება მაშინ ვინმე? მითხრეს, ფული „კეისით" მოიტანე და ჩვენ დავხარჯავთო. ასე არ გამოვა! თუ ფულს მოიტანენ, გუნდს მიხედონ, თუ არადა, რატომ უნდა მოვიყვანოთ?" - უკვირს გამგებელს.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი


ლვან აკობია

# ლევან აკობია: ალაშკერტში

ლევან აკობიამ "ზუგდიდი" დატოვა და უგუნდოდ დიდხანს იყო. გუნდის ყოფილი ვიცე-კაპიტანი ქართული კლუბების შემოთავაზებას ელოდა. მაგრამ სანამ დაინტერესებული გუნდები გაარკვევდნენ, სახელმწიფოსგან დახმარებას მიიღებდნენ თუ არა, დროის დაკარგვას, ისევ სომხეთში წასვლა ამჯობინა. შეგახსენებთ, რომ აკობია სამი წლის განმავლობაში ამ ქვეყნის პრემიერლიგელი "ულისეს" ღირსებას იცავდა.

"ახლა სომხეთში ვარ, "ალაშკერტმა" მიმიწვია, რომელიც პრემიერლიგაში წლეულს გადავიდა. არ ვიცი, ჩემი თავი ვინ შესთავაზა, მაგრამ გუნდის მწვრთნელი და გუნდის უფროსი დამიკავშირდნენ და ჩასვლა შემომთავაზეს, გვჭირდები და კონტრაქტი გააფორმე, ოღონდ, პირობებზე პრეზიდენტს თავად დაელაპარაკეო. დაველაპარაკეთ და თავიდან ბევრი ვერაფერი შემომთავაზა, რაზეც ჩემი პირობები წავუყენე და ხვალ-ზეგ პასუხს მეტყვიან. და თუ ჩემი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, აქ დარჩენას რა აზრი აქვს" – ამბობს აკობია.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# ლანჩხუთში კიევის დინამოს ელიან!

შაბათს, დილით, ლანჩხუთში ჩამოვა დელეგაცია უკრაინიდან, ხოლო 18 საათზე „ევგრაფი შევარდნაძეზე" „გურიისა" და კიევის „დინამოს" ვეტერანთა მატჩი გაიმართება. სამწუხაროდ, ვერ დავაზუსტეთ სტუმართა სია. როგორც წინასწარ იყო დაანონსებული, 80-იანი წლების ლეგენდარული კიევის „დინამოს" მობურთალეები უნდა ჩამოვიდნენ და მათთან ერთად ბიზნესწრეების წარმომადგენლები. ლანჩხუთში ასეთი მნიშვნელობის ვეტერანთა მატჩი ზუსტად 10 წლის წინათ შედგა, მაშინ „გურიასა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრას 8 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. შაბათს კი პირველად ბოლო 23 წლის მანძილზე, ლანჩხუთს უცხოური გრანდი ეწვევა.

შეგახსენებთ, რომ ივნისის დასაწყისში უკრაინაში იმყოფებოდა ლანჩხუთის გამგებელი **ზაზა ურუშაძე**, რომელიც „გურიის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **მიხეილ ფომენკოს** და ფეხბურთელ **ვიქტორ ხლუსს**, ასევე უკრაინული ფეხბურთის მაღალჩინოსნებს და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შეხვდა. თავიდან „გურიისა" და კიევის „დინამოს" მატჩი 27 ივნისისთვის დაანონსდა, მაგრამ შემდეგ ერთი თვით გადაიდო. **ზაზა ურუშაძე** მიიჩნევს, რომ ეს მატჩი „გურიისთვის" სარეკლამო მნიშვნელობის იქნება.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ვიტ ჯორჯია

# ტესტი აზერბაიჯანელებთან

გუშინ „ვიტ ჯორჯიამ" „მცხეთა პარკზე" აზერბაიჯანული „გაბალას" დუბლებს უმასპინძლა და 4:0 დაამარცხა. პირველი გოლი **ლევან კუხალეიშვილმა** გაიტანა 12-ე წუთზე, **ნიკა სიჭინავამ** 21-ე წუთზე ანგარიში გაზარდა, **გიორგი კორიფაძემ** 53-ე წუთზე მესამედ დაამწუხრა აზერბაიჯანელები, წერტილი კი სიჭინავამ დასვა 59-ე წუთზე.

„ვიტ ჯორჯიამ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **დაუშვილი (რეჭია 46) - მჭედლიშვილი (იაშვილი 72), ადამაძე (გეთიაშვილი 64), კასრაძე (ტეტუნაშვილი 64), ჯავაშვილი (ბუაჩიძე 75) - ლიბრაძე (ბუნტური 68), დავლაშელიძე (წყაროზია 46) - კორიფაძე (გაგნიძე 54), ჯანელიძე (კურდღელაშვილი 68), სიჭინავა (კვირკვია 61) - კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 46).**

**ზურაბ ბერიძის** გაწვრთნილი „ვიტ ჯორჯია" მორიგ ამხანაგურ შეხვედრას ხვალ გამართავს საჩხერის „ჩიხურას" მეორე გუნდთან.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი

# გაგრას ფრე

"გაგრამ" "მერანის" სტადიონზე მორიგი ამხანაგური შეხვედრა გამართა. **ზვიად ჯელაძის** გაწვრთნილები **გუბაზ დოლიძის** გუნდს, "იბერია 2010"-ს დაუპირისპირდნენ. "გაგრას" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა – **ლაშა კალანდაძე, ნუგზარ ხოჯაშვილი** და **თამაზ ყიშკარიანი**. თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ტრავმა მიიღეს **ცოტნე ხარაბაძემ** და **ჯონ ჯერემიამ** და მოედანი ნაადრევად დატოვეს.

ანგარიში მე-11 წუთზე პენალტით **ქოჩლაშვილმა** გახსნა. 26-ე წუთზე **ივანიშვილმა** საჯარიმო დარტყმით "გაგრას" კარი მეორედ აიღო და "იბერია" 2:0 დააწინაურა.

38-ე წუთზე **ფერცელიძემ** სტუმართა საჯარიმოში ბურთი მკერდით მიიღო, მეკარეს აულებელი დაურტყა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა – 1:2. მეორე ნახევარში კი ჭკუასელმა ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა 2:2 დასრულდა.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი. საკონტროლო მატჩი

# სპარტაკმა იჯევანში იჩაუქა

სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდს აგრძელებს ცხინვალის „სპარტაკიც". უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ გუნდს სომხურ „ბანანცთან" თბილისში უნდა ეთამაშა, მაგრამ ერევნიდან შემოთვალეს, ექვსი უცხოელი ფეხბურთელი მოვიყვანეთ გასინჯვაზე, საქართველოს ვიზის გაფორმებას დრო დასჭირდება და თუ შეიძლება, აქეთ გვესტუმრეთო. „სპარტაკმაც" გადაკვეთა საქართველო-სომხეთის საზღვარი და „ბანანცს" იჯევანში ეთამაშა - **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა 1:0 მოიგო, გოლი **დავით ნანიევმა** გაიტანა 77-ე წუთზე.

„სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ს. ნანიევი - შონია, მგელაძე, კილასონია, კ. ხიზანეიშვილი - თუხარელი, კვეკვესკირი, ბურძენაძე, თექთურმანიძე - ჩაფიძე, მეტრეველი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ჭაფოძე, კაკაშვილი, კემუხტაშვილი, ფანცხავა, დ. ნანიევი და ქურდაძე.**

როგორც „სპარტაკის" პრესსამსახურმა გვითხრა, პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. საგოლე შესაძლებლობა ჰქონდათ **თორნიკე თუხარელს, ლაშა ჩაფიძეს** და **ზვიად მეტრეველს**. „ბანანცსაც" შეეძლო გატანა, მაგრამ **სოსლან ნანიევს** სამი მომენტი გაუნეიტრალებია. „სპრტაკში" თუ მანამდე მხოლოდ შემტევი დავით ნანიევი იყო გასინჯვაზე, მას სოსლანიც დაემატა, ვინც მისი ბიძაშვილია. ორივე ნანიევი მანამდე რუსეთში, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" თამაშობდა.

მეორე ტაიმი „სპარტაკის" უპირატესობით დაწყებულა და ხაჩიძის გუნდს არაერთი საგოლე შანსი ჰქონია. თავის გამოჩენა მართებდათ ჩაფიძეს, თუხარელსა და შეცვლაზე შესულ **ვახტანგ ფანცხავას**. გოლი კი ასე გავიდა - შეტევა **თემურ შონიამ** წამოიწყო, **ნიკა კვეკვესკირმა** გააგრძელა, მარცხენა ფლანგზე გადააწოდა დავით ნანიევს, რომელმაც ერთი მცველი ჩამოიცილა და მაღალ კუთხეში მოათავსა ბურთი. სამშობლოში დაბრუნებული „სპარტაკი" დღეს დილით აზერბაიჯანულ „გაბალას" ეთამაშება.

**დავით თავართქილაძე**


ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

უცნობი ქართველი

# ხიმკიდან ზუგდიდში

"ზუგდიდში" მიმდინარე მოვლენებზე "ლელოს" მკითხველი ინფორმირებულია. მაგრამ გუნდში ყოველდღე ახალი ამბები ხდება და ცხადია, მას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ.

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრებმა "ზუგდიდს" ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მას შემდეგ დართეს, რადგან სახელმწიფო სტრუქტურებიდან ფინანსური გარანტია მიიღეს. "ზუგდიდის" ანგარიშზე თანხა ჯერაც არ დარიცხულა, მაგრამ პრობლემის მოგვარებას დღე-დღეზე ელიან.

არადა, ამტკიცებდნენ, რომ ამ გარანტიის გარეშე, უმაღლეს ლიგაში, შესაძლოა, "ზუგდიდს" ადგილი დაეკარგა, მის ნაცვლად კი, ბათუმის "დინამოს" დაბრუნება განიხილებოდა.

საქმე ისაა, რომ კლუბის ბიუჯეტი დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი იყო. ახლა ზაფხულია, მაგრამ წლიური თანხა უკვე დახარჯულია. სწორედ ეს გახდა კლუბის ახალი დირექტორის, **მალხაზ ჭეჟიას** თავის ტკივილი – როგორ მოიზიდოს თანხა, როდესაც ფული უკვე დახარჯულია.

სწორედ სახსრების სწორი განკარგვის მიზნით მიიღო სფფ-ს ალმასკომმა გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს დოტაციაზე მყოფი კლუბებს შეეხებოდათ: ამიერიდან, იმ მენეჯერს, რომელიც ხაზინის ფულის დაუფიქრებელი ხარჯვით "გამოიჩენს" თავს, ფეხბურთში საქმიანობას სამი წლით აუკრძალავენ.

... "ზუგდიდის" ფინანსური პრობლემები კი, როგორც ჩანს, გადაწყდა. ჯერ იყო და, "ზუგდიდს" "ფერერო ინტერნეშენელის" შვილობილი კომპანია "აგროჯორჯია" დაეხმარა, რომელიც თხილის ბიზნესს აწარმოებს. მალე კი, კლუბის ბიუჯეტში წლის ბოლომდე საკმარისი თანხის დარიცხვას ელიან.

... 2 კვირაზე მეტია, ზუგდიდელები "რუხის" ბაზაზე მთავარი მწვრთნელის გარეშე ემზადებიან, მაგრამ ის მალე დაინიშნება. ახალი დამრიგებლის კონსულტანტი კი **კობა წიტაიშვილი** იქნება - გუშინ დაგვიდასტურეს, რომ კობა უკვე ზუგდიდშია და გუნდს წარუდგენენ.

გუნდს შეუერთდა და უკვე საერთო ჯგუფში ვარჯიშობს მეკარე **ზურაბ მამალაძე**, რომელიც 2008 წელსაც იცავდა ზუგდიდელთა ღირსებას, როცა კლუბი "მგლების" სახელით ასპარეზობდა. მას შემდეგ იყო "ზესტაფონში", 24-ე ჩემპიონატი კი გორის "დილაში" დაასრულა. ზაფხულში "დილასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და "ზუგდიდში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მამალაძის საკითხი მთავარი მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ გაცხადდება, თუმცა ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, გამოცდილი მეკარე "ზუგდიდის" მაისურს რომ მოირგებს.


საბა ფიფია

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, გუნდმა თბილისის "დინამოდან" წამოსული მეკარე **კოკა სეფიაშვილი** და ბოლნისის "სიონის" ყოფილი თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია** დაიმატა.

ეს ხმები „ზუგდიდის" დირექტორმა **მალხაზ ჭეჟიამ** უარყო. მაგრამ საინტერესო ინფორმაცია გაგვაცნო: *"დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ფეხბურთელი რუსეთიდან ჩამოვიყვანეთ - პირველი ლიგის "ხიმკის" დუბლშემადგენლობისა და 19-წლამდელთა გუნდის მცველი საბა ფიფია. ის ძალიან ნიჭიერი და საინტერესო ფეხბურთელია".*

საბას "ლელო" დაუკავშირდა და მოკლე ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ქართველმა გულშემატკივარმა არაფერი იცის შენ შესახებ. იქნებ გაგვეცნო...**

- 1996 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯვარში დავიბადე. მაგრამ ბოლო 9 წელიწადია, ოჯახთან ერთად, რუსეთში ვცხოვრობ. ვარჯიშიც იქ დავიწყე. "ხიმკის" საფეხბურთო აკადემიაში შევედი. მერე "ხიმკის" ასაკობრივ გუნდშიც ამიყვანეს, 17-წლამდელების გუნდის კაპიტანი ვიყავი და ბოლო პერიოდში, დუბლშემადგენლობაში ვვარჯიშობდი.

**- რა პოზიციაზე თამაშობ?**

- ცენტრალური მცველი ვარ.

**- შენით საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები არ დაინტერესებულან?**

- როგორ არა. მადლობელი ვარ გიორგი დევდარიანის, რომელმაც ყურადღება მომაქცია და 17-წლამდელების ნაკრების შეკრებაზე მიმიწვია.

**- ზუგდიდში რატომ ჩამოხვედი?**

- რუსეთის მოქალაქე არ ვარ, ქართული პასპორტით კი ჩემს ასაკში რუსეთში თამაში ლამის შეუძლებელია. ამ პრობლემის გამო, ზაფხულში ორი ძალიან კარგი ვარიანტი ჩამეშალა.

**- რომელი გუნდები გიწვევდა?**

- ორი მოსკოვური კლუბი, ჯერ "ტორპედო", შემდეგ მოსკოვის "დინამო". ამ უკანასკნელში ვვარჯიშობდი კიდეც, მაგრამ კონტრაქტის გასაფორმებლად, ძალიან რთული პროცედურის გავლა დამჭირდა. დოკუმენტაციის მოგვარებამდე კი თამაშის უფლება არ მქონდა. ამასობაში, დრო გადიოდა და უთამაშებლობას "ზუგდიდში" თამაში ვამჯობინე.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი


დევიდ მოიესს ვან პერსის ტრავმა არ აშფოთებს

# მოიესი და დინოზავრები

## შოტლანდიელს ფიზიკური მომზადების მეთოდები დაუწუნეს

**რაიმონდ ვერჰეიენს** საფეხბურთო სამყაროში საკმარისი ავტორიტეტი აქვს საიმისოდ, რომ თუნდაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარ მწვრთნელს დაუწუნოს მუშაობის მეთოდები. თუ არ იცით, გეტყვით, რომ 41 წლის ჰოლანდიელს თავის დროზე უმუშავია ჰოლანდიის, სამხრეთ კორეისა და რუსეთის ნაკრებებში (ყველგან **გუუს ჰიდინკთან** ერთად), საკლუბო დონეზე კი უმუშავია „ბარსელონაში“, „ზენიტში“, „ჩელსისა“ და „მანჩესტერ სიტიში“. მისთვის ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტების მეთოდების დაწუნება უცხო სულაც არ არის. განსაკუთრებით კარგად ის ინგლისურ სამზარეულოს იცნობს და ყველაზე მეტად ამ ქვეყანაში მომუშავე მწვრთნელები ჰყავს ხელში შეკლული. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვერჰეიენმა ამჯერად სამიზნეში **დევიდ მოიესი** ამოიღო და მას „დინოზავრების ეპოქის მეთოდებით“ მუშაობაში დასდო ბრალი. ყველაფრის თავიდათავი კი **რობინ ვან პერსის** უმნიშვნელო ტრავმა გახდა, რომელიც ფეხბურთელმა ორიოდე დღეში მოიშუშა. აი, რა დაწერა ვერჰეიენმა „ტვიტერზე“:

„მოიესმა სიდნეიში ვან პერსის დამატებითი დატვირთვები დაუნიშნა, რათა ფეხბურთელს ფორმა დაგეგმილზე სწრაფად აღედგინა. ამის გამო რობინმა იაპონიაში გადაფრენის შემდეგ ტრავმა მიიღო. არ მესმის, როგორც შეიძლება ამ უძველეს, დინოზავრების დროინდელ მეთოდებს იყენებდეს მწვრთნელი უმაღლეს დონეზე მუშაობისას. „იუნაიტედის“ უმთავრესი პრობლემა, როგორც ჩანს, იმ შტაბშია, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობს. მთელ მსოფლიოში ხდება ასე. სეზონის დაწყებამდე ფეხბურთელები ტრავმებს ხშირად იღებენ არანორმირებული დატვირთვების წყალობით. ამ დროს, აუცილებელია, რომ მწვრთნელებმა სეზონის სტარტამდე დარჩენილ დროში გუნდი უბრალოდ არ გადაღალონ. მანამ, ვიდრე დინოზავრი მწვრთნელები, ფიტნესსკლოუნები და მეცნიერი კოვბოები ახალ მეთოდებს იგნორირებას გაუწევენ, მათ მუშაობაში დადებითისკენ არაფერი შეიცვლება. აშკარაა, რომ ფეხბურთელებმა თავადაც უნდა ისწავლონ ზედმეტი დატვირთვებისთვის თავის არიდება“.

### მოიესი: სერიოზული არაფერია

ვერჰეიენის კრიტიკას მალევე უპასუხა „ეშმაკების“ მთავარმა მწვრთნელმა. დევიდ მოიესის მტკიცებით, მართალია, ვან პერსი „იოკოჰამასთან“ წინა შეხვედრაში ტრავმის გამო შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ მას სერიოზული არაფერი სჭირს და უკვე დღეს „სერესო ოსაკასთან“ ის მოედანს დაუბრუნდება. ვან პერსის გარდა მოიესმა სხვა ტრავმირებულებზეც ილაპარაკა: „ამ დღეებში „კერინგტონში“ საწვრთნელი შეხვედრა გაიმართა, სადაც ნემანია ვიდიჩმა, ლუიშ ნანიმ და ანტონიო ვალენსიამ ითამაშეს. უკვე დარბის უეინ რუნიც. ის ზუსტად იმ კონდიციებშია, რასაც ველოდით. რამდენიმე დღეში უეინი უკვე სერიოზულად გაზრდის დატვირთვებს. ვან პერსის რაც შეეხება, ის იმიტომ შევცვალეთ, რომ გარისკვა არ გვსურდა. ჩემი გათვლით, „ოსაკასთან“ ისიც და უელბეკიც შეძლებენ თამაშს. საზარდულის ტკივილის გამო რამდენიმე დღე დაისვენა კერიკმა. გუნდთან ერთად ვარჯიშს მაიკლი უკვე უქმეებზე განაახლებს“.

ლივერპული

# გადაიხადეთ ან გაჩუმდით


„ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი „არსენალს“ თამაშის დაუწერელი წესების დაცვას სთხოვს

„ლივერპულ ექოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა ბრენდან როჯერსმა „არსენალს“ შეუტია. ჩრდილოირლანდიელმა ჩრდილოლონდონელებს მოუწოდა, დაიცვან თამაშის წესები, გადაიხადონ **ლუის სუარესის** სატრანსფერო ღირებულების შესაბამისი თანხა ან მოკეტონ და მერსისაიდელებს მშვიდად მუშაობის საშუალება მისცენ. ადეკვატურ კომპენსაციად კი როჯერსს 50 მილიონი ფუნტი მიაჩნია. გთავაზობთ „წითლების“ მთავარი მწვრთნელის კომენტარს:

- *ჩემი სამუშაო ჩვეულებრივ რეჟიმში გრძელდება. არც ჩემთვის და არც სუარესისთვის არაფერი შეცვლილა. კლუბი მას საკმაოდ დიდ ხელფასს უხდის და ფეხბურთელი ვალდებულია, სეზონის დაწყებამდე ყველაზე მეტი საუკეთესო კონდიციების აღდგენაზე იზრუნოს. თუკი „არსენალს“ ჩვენი ფეხბურთელის შეძენა მართლა აინტერესებს, ვურჩევდი, რომ ჯერ კარგად დაფიქრებულიყვნენ და მერე მოემართათ ჩვენთვის ოფიციალური წერილით. რამდენიმე კვირის წინ ჯერ 35 მილიონი ფუნტი შემოგვთავაზეს, შემდეგ 40 მილიონს პლუს 1 ფუნტი. არ მგონია, რომ ეს თანხა ლუისის რეალურ ღირებულებას შეესაბამებოდეს. „არსენალში“ კი ეს ნამდვილად უნდა ესმოდეთ. ტრანსფერის ნებისმიერმა მსურველმა ადეკვატური თანხა უნდა გაიღოს. ერთი წლის წინ ჩვენსა და სუარესს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, ხელმძღვანელობა ვალდებულია, 40-მილიონიანი და უფრო სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში ფეხბურთელს ამის შესახებ აცნობოს, თუმცა ვალდებულებები ამით ამოიწურება. „ლივერპული“ მზად არ არის, რომ ზაფხულის ბოლო სატრანსფერო ფანჯრამდე ითამაშოს აღნიშნული თემის ირგვლივ. ძალიან მალე მოვა დრო, როცა ჩვენ ყველანაირი სატრანსფერო წინადადების განხილვაზე ვიტყვით უარს.*

### მივა თუ არა საქმე სასამართლომდე

სუარესსა და „ლივერპულს“ შორის მოქმედ კონტრაქტში არსებულ საკამათო პუნქტს სულ სხვაგვარად განმარტავენ ურუგვაელის აგენტი **პერე გვარდიოლა** და სპორტული იურისტი **დენიელ გიი**. გვარდიოლას თქმით, ხელშეკრულებაში დათქმული პირობის თანახმად 40 მილიონი ფუნტის შეთავაზება ავტომატურად უნდა ნიშნავდეს, რომ მისი კლიენტი გადაწყვეტილების მიღებისას სხვებზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. იურისტი კი ცალსახა დასკვნის გაკეთებას არ ჩქარობს: „კლუბისა და ფეხბურთელის დავის გადატანა სასამართლო ინსტანციებში საუკეთესო გამოსავალი არ იქნება. ეს ლუისის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება. დავუშვათ, მხარეებმა მიმართეს მესამე ხელისუფლებას. ის გადაწყვეტილებას ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ნამდვილად ვერ მიიღებს და შესაძლოა, პროცესი სულაც ზამთრამდე გაიწელოს“.

დენიელ გიი კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში მოსამართლემ შეიძლება სულაც „მეთოფეებს“ დაუწესოს სანქციები, რადგან სუარესის ხელშეკრულების დეტალები მესამე პირებისთვის დახურულია, მისი უკანონოდ მოპოვება კი დასჯადი ქმედებაა. 40 მილიონს პლუს 1 ფუნტის შეთავაზება ადასტურებს, რომ დედაქალაქელებისთვის ცნობილი იყო სკანდალის მიზეზად ქცეული პუნქტის არსებობის შესახებ და იმედი ჰქონდათ, რომ ამის შემდეგ ფეხბურთელთან პირისპირ დალაპარაკების უფლებას მოიპოვებდნენ.

ტრანსფერი

# ნორვიჩის ახალი თავდასხმა

„სქაი სპორტსის“ ინფორმაციით, „ნორვიჩმა“ და „სელტიკმა“ 25 წლის ინგლისელი თავდამსხმელის **გარი ჰუპერის** სატრანსფერო ღირებულება შეათანხმეს. ფეხბურთელს ისღა დარჩენია, „იადონების“ ბაზაზე გამოცხადდეს და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ახალ კლუბთან კონტრაქტს მოაწეროს ხელი. აღსანიშნავია, რომ **კრის ჰიუტონს** ფეხბურთელის შეძენა იანვარშიც სურდა, მაგრამ მაშინ კლუბები ფინანსურ მხარეზე ვერ მორიგდნენ. ამჯერად კი შოტლანდიის ჩემპიონი იძულებული გახდა, ფეხბურთელის ნებას დაჰყოლოდა, ვინც „სელტიკთან“ კონტრაქტის გაგრძელება იუარა, მოქმედის ვადის გასვლამდე კი 11 თვე იყო დარჩენილი. ორიოდე დღის წინ ჰუპერის შეძენის უმთავრეს პრეტენდენტად „ქუინზ პარკი“ მიიჩნეოდა, თუმცა მოულოდნელად **ჰარი რედნაპის** გუნდმა პოზიციები დათმო. გეტყვით იმასაც, რომ თავდამსხმელი „სელტიკ პარკზე“ 2010 წლის ზაფხულზე „სკანტორპიდან“ გადავიდა, სადაც 95 თამაში ჩაატარა, 63 გოლი გაიტანა და 24 საგოლე გადაცემა შეასრულა.

„ნორვიჩმა“ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა ნაყოფიერად გამოიყენა. „კეროუ როუდზე“ სათამაშოდ ჰუპერის გარდა კიდევ ერთი ძლიერი თავდამსხმელი **რიკი ვან ვოლფსვინკელი** მივიდა.


„ნორვიჩ სიტიმ“ თავდასხმა გარი ჰუპერით გააძლიერა

ამბები

### კარდიფი შეუთანხმდა, მაგრამ...

პრემიერლიგის დებიუტანტმა „კარდიფმა“ ფრანგულ „ტულუზთან“ 8,6 მილიონ ფუნტად 25 წლის **ეტიენ კაპუს** ტრანსფერი შეათანხმა, თუმცა სხვა დაინტერესებულ კლუბებს უკეთესი პირობების შეთავაზების შემთხვევაში შეუძლიათ ისინი თამაშგარეში დატოვონ. ასე რომ, უელსელებს ურჩევნიათ, ფეხბურთელს პირადი ხელშეკრულების დეტალებზე მალევე შეუთანხმდნენ და სამედიცინო შემოწმების გასავლელად თავისთან მიიწვიონ. არ გვგონია, რომ კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება პრობლემად იქცეს, თუნდაც იმიტომ, რომ საფრანგეთის ნაკრების წევრს ლიგა 1-ის კლუბი დიდ ხელფასს არ უხდის, ბოლო ხანს ეტიენი არც ჯანმრთელობის პრობლემებს შეუწუხებია. კაპუმ 2012/13 წლების სეზონში ჩემპიონატში 38-დან 34 თამაში ჩაატარა, დარჩენილი 4 კი წითელი და ყვითელი ბარათების გამო გამოტოვა.


ეტიენ კაპუ

### ბეინსი და ფელაინი არავის მოუკითხავს

„ევერტონის“ მთავარი მწვრთნელი **რობერტო მარტინესი** აცხადებს, რომ მის კლუბს **ლეიტონ ბეინსისა** (28 წლის) და **მარუან ფელაინის** (25) თაობაზე ჯერ ოფიციალური წინადადება არავისგან მიუღია. მოარული ხმების თანახმად ინგლისისა და ბელგიის ნაკრების ფეხბურთელების სამსახურით ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედია“ დაინტერესებული. ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო ეს გასაკვირი სულაც არ არის. „ევერტონის“ დამრიგებელი ხომ ვარსკვლავებს ყველაზე უკეთ იცნობს. *„შემოთავაზება არ გვაქვს და მგონია, რომ მას არც უნდა ველოდეთ. არ ვაპირებ ჭორებთან ბრძოლას, მაგრამ არც იმას ვფიქრობ, რომ ფეხბურთელების ირგვლივ შექმნილი სიტუაცია შეიძლება ჯანსაღად შეფასდეს. „ევერტონს“ მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს, ასე რომ, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სეზონის სტარტს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ,“* – თქვა ესპანელმა სპეციალისტმა „სქაი სპორტსთან“ ინტერვიუში.

### იაია ტურეს რჩეულები


იაია ტურე

„მანჩესტერ სიტის“ 28 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **იაია ტურე** ახალი სეზონისგან წინაზე მეტ ინტრიგასა და დაძაბულობას ელის. მისი პროგნოზის თანახმად, ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის 5-6 კლუბი შეძლებს ბრძოლას, რაც იმას ნიშნავს, რომ მანჩესტერული გრანდების ბოლო ორი წლის „ძალადობას“ ჩემპიონატის სხვა მონაწილეებზე ბოლო უნდა მოეღოს. ივუარელი აცხადებს: *„ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად „ჩელსი“ მიმაჩნია, რადგან ჟოზე მოურინიოს დაბრუნების გარდა, გუნდმა სერიოზული შევსებაც მიიღო. ბრძოლაში აუცილებლად ჩაერთვებიან „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“ და „ლივერპული“. ყველამ ვიცით, რამდენად ძლიერია „ტოტენჰემიც“. ამ ყოველივეს გათვალისწინებით ურთულეს სეზონს ველოდები“.*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A

# რეკორდები, რეკორდები...



სანამ ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყება, გადავწყვიტეთ ხუთი წამყვანი ჩემპიონატის საინტერესო და ყველაზე მნიშვნელოვანი რეკორდი შემოგთავაზოთ. დღეს იტალიის ჩემპიონატით დავიწყებთ...

### ჩემპიონები:

29 - "იუვენტუსი"
18 - "მილანი", "ინტერი"
9 - "ჯენოა"
7 - "ტორინო", "ბოლონია", "პრო ვერჩელი"
3 - "რომა"
2 - "ლაციო", "ფიორენტინა", "ნაპოლი"
1 - "კალიარი", "სამპდორია", "ვერონა", "კაზალე", "ნოვეზე"

*ზედიზედ მოგებული ტიტულები: 5 - "იუვენტუსი" (1931-1935), "ტორინო" (1943, 1946-1949), "ინტერი" (2006-2010)*

### ყველაზე მეტი სეზონი:

82 - "ინტერი"
81 - "იუვენტუსი", "რომა"
80 - "მილანი"
76- "ფიორენტინა"
71 - "ლაციო"
70 - "ტორინო"

*ყველაზე მეტი მოგება ზედიზედ: 17 - "ინტერი" (2006/07) - დიდი ხუთეულის რეკორდი*
*11 - "რომა" (2005/06)*

### ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია:

58 - "მილანი" (1991-93. 1991 წლის 26 მაისიდან 1993 წლის 21 მარტამდე)
49 - "იუვენტ." (2011-12. 2011 წლის 23 მაისიდან 2012 წლის 3 ნოემბრამდე)

### ყველაზე მეტი საჩემპიონო ტიტული:

ფეხბურთელები)

8 - ვირჯინიო როზეტა, ჯოვანი ფერარი, ჯუზეპე ფურინო
7 - რობერტო ბეტეგა, ალესანდრო კოსტაკურტა, ჩირო ფერარა, პაოლო მალდინი, გაეტანო შირეა, გულიემო გაბეტო

### ყველაზე მეტი სკუდეტო

(მწვრთნელები)

7 - ჯოვანი ტრაპატონი
5 - ფაბიო კაპელო, მარჩელო ლიპი

### ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირები:

1. სილვიო პიოლა - 274 გოლი (537 თამაში)
2. ფრანჩესკო ტოტი - 227 გოლი (535 თამაში)
3. გუნარ ნორდალი - 225 გოლი (291 თამაში)
4. ჯუზეპე მეაცა - 216 გოლი (367 თამაში)
ჟოზე ალტაფინი - 216 გოლი (459 თამაში)
6. რობერტო ბაჯო - 205 გოლი (452 თამაში)
7. კურტ ჰამრინი - 190 გოლი (400 თამაში)
8. ჯუზეპე სინიორი - 188 გოლი (344 თამაში)
ალესანდრო დელ პიერო - 188 გოლი (478 თამაში)
10. გაბრიელ ბატისტუტა - 184 გოლი (318 თამაში)

### მოქმედ ფეხბურთელებს შორის:

1. ფრანჩესკო ტოტი (რომა) - 227 გოლი (535 თამაში)
2. ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) - 176 გოლი (357 თამაში)
3. ალბერტო ჯილადრინო (ჯენოა) - 159 გოლი (414 თამაში)
4. ლუკა ტონი (ვერონა) - 109 გოლი (249 თამაში)
5. ჯამპაოლო პაცინი (მილანი) - 95 გოლი (275 თამაში)
5. ანტონიო კასანო (პარმა) - 95 გოლი (323 თამაში)
7. მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი) - 94 გოლი (293 თამაში)



ხავიერ ძანეტის მალდინიმდე 44 თამაში აშორებს

8. სერჯო პელისიერი (კიევო) - 85 გოლი (323 თამაში)
9. დიეგო მილიტო (ინტერი) - 84 გოლი (142 თამაში)
10. ამაური (პარმა) - 76 გოლი (283 თამაში)

### ყველაზე მეტი თამაში:

1. პაოლო მალდინი - 647 თამაში
2. ხავიერ ძანეტი - 603 თამაში
3. ჯანლუკა პალიუკა - 592 თამაში
4. დინო ძოფი - 570 თამაში
5. პიეტრო ვერხოვოდი - 562 თამაში
6. რობერტო მანჩინი - 541 თამაში
7. სილვიო პიოლა - 537 თამაში
8. ფრანჩესკო ტოტი - 535 თამაში
9. ენრიკო ალბერტოზი - 532 თამაში
10. ჯანი რივერა - 527 თამაში

### მოქმედ ფეხბურთელებს შორის

1. ხავიერ ძანეტი (ინტერი) - 603 თამაში
2. ფრანჩესკო ტოტი (რომა) - 535 თამაში
3. ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი) - 488 თამაში
4. ანდრეა პირლო (იუვენტუსი) - 443 თამაში
5. ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა) - 414 თამაში
6. მასიმო ამბროზინი (ფიორენტინა) - 371 თამაში
7. ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) - 357 თამაში
8. მორგან დე სანქტისი (ნაპოლი) - 344 თამაში
9. კრისტიან ძაკარდო (მილანი) - 340 თამაში
10. ჯამპიერო პინცი (უდინეზე) - 329 თამაში

### ყველაზე მეტი გაძევება

16 - პაოლო მონტერო
12 - ლუიჯი დი ბიაჯო, ჯულიო ფალკონე
11 - ჯუზეპე ბერგომი, ჯორჯო ფერინი, ფერნანდო კოუტუ, ფრანჩესკო ტოტი
10 - ამარილდო, ომარ სივორი, სინიშა მიხაილოვიჩი, ჯოვანი ბია, დავიდ ბალერი, სალი მუნტარი

### ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი

(მითითებულია ასაკი ბოლო მატჩის დღეს):

1. მარიო ბალოტა - 44 წლის და 38 დღის
2. ფრანჩესკო ანტონიოლი - 42 წლის და 235 დღის
3. ალბერტო ფონტანა - 41 წლის და 297 დღის
4. დინო ძოფი - 41 წლის და 76 დღის
5. ალესანდრო კოსტაკურტა - 41 წლის და 25 დღის
6. პიეტრო ვერხოვოდი - 41 წლის და 10 დღის
7. პაოლო მალდინი - 40 წლის და 339 დღის

...

14. ხავიერ ძანეტი - 39 წლის და 261 დღის

### ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი

1. ამადეო ამადეი - 15 წლის და 280 დღის
2. ჯანი რივერა - 15 წლის და 288 დღის
3. ვალერი ბოჟინოვი - 15 წლის და 341 დღის
4. ანდრეა პირლო - 16 წლის და 2 დღის
5. სტეფან ელ შაარავი - 16 წლის და 55 დღის

### ხანგრძლივი მშრალი სერია

1. სებასტიანო როსი (მილანი, 1993/94) - 929 წუთი
2. დინო ძოფი (იუვენტუსი, 1972/73) - 903 წუთი
3. მარიო დე პოცო (ჯენოა, 1963/64) - 791 წუთი
4. ივან პელიცოლი (რომა, 2003/04) - 773 წუთი
5. დავიდე პინატო (ატალანტა, 1997/98) - 757 წუთი

### ყველაზე მეტი გოლი ერთ სეზონში:

36 - ჯინო როსეტი (ტორინო, 1928/29)
35 - ფერენც ჰირცერი (იუვენტუსი, 1924/25), ხულიო ლიბონატი (ტორინო, 1927/28), გუნარ ნორდალი (მილანი, 1949/50)

### ყველაზე მეტი გოლი ერთ შეხვედრაში:

6 - სილვიო პიოლა (პრო ვერჩელი-ფიორენტინა 7:2, 1933/34)
6 - ომარ სივორი (იუვენტუსი-ინტერი 9:1, 1960/61)

■ ■ ■

სერია A-ს ეგიდით, ყველაზე მეტ გუნდში ნათამაშები აქვს ნიკოლა ამორუზოს - 13 (სამპდორია, პადოვა, იუვენტუსი, პერუჯა, ნაპოლი, კომო, მოდენა, მესინა, რეჯინა, ტორინო, სიენა, პარმა და ატალანტა)

■ ■ ■

ყველაზე მეტ გუნდში გოლი ისევ და ისევ ნიკოლა ამორუზოს აქვს გატანილი - 12 (ერთადერთი კლუბი, სადაც მან გოლი ვერ გაიტანა "სიენა" იყო)

■ ■ ■

ზლატან იბრაჰიმოვიჩი არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც საუკეთესო ბომბარდირი ორ სხვადასხვა გუნდში გახდა ("ინტერი" - 2008/09, "მილანი" - 2011/12)



რობერტო მანჩინის "ინტერს" წამყვანი ჩემპიონატების რეკორდი ეკუთვნის - ზედიზედ 17 გამარჯვება

ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი



2013 წლის ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული „ატლეტიკო მინეირო“

# ატლეტიკო მინეირო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია

**ატლ. მინ.-ოლიმპია 2:0 პენ. 4:3 (0:2)**

**გოლები:** 1:0 ჟო (46), 2:0 ლეანდრო სილვა (87)
**პენალტების სერია:** 0:0 ე. მირანდა (მეკარე), 1:0 ალექსანდრო, 1:1 ხ. ფერეირა, 2:1 გილერმე, 2:2 კანდია, 3:2 ჟო, 3:3 არანდა, 4:3 ლეონარდო სილვა, 4:3 მ. ხიმენესი (ხარიხა)
**ატლ. მინეირო (4-2-3-1):** ვიქტორი - მიჩელი (72. ალექსანდრო), ლეონარდო სილვა, რევერი, ჟუნიორ სეზარი - პიერი (46. როსინეი), ჟოსუე - დიეგო ტარდელი (80. გილერმე), რონალდინიო, ბერნარდი - ჟო
**ოლიმპია (5-3-2):** მ. სილვა - მასაკოტი, მანსური, ე. მირანდა, კანდია, ნ. ბენიტესი - პიტონი, არანდა, ა. სილვა (71. მ. ხიმენესი) - ბარეირო (46. ხ. ფერეირა), სალგეირო (83. ხ. ბაესი)
**გაფრთხილება:** ბერნარდი, ლუანი (სათადარიგო) - ნ. ბენიტესი, მანსური, სალგეირო, მ. სილვა, ხ. ფერეირა, ხ. ბაესი
**გაძევება:** მანსური (85. ოლიმპია)
**მაყურებელი:** 58 000

**ბომბარდირები:** 7 - ჟო (ატლეტიკო მინეირო); 6 - იგნასიო სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო)

„ატლეტიკო მინეირო“ მე-11 ბრაზილიური კლუბია, რომელმაც ლიბერტადორესის თასი მოიგო. „მამლებმა“ ფინალის საპასუხო შეხვედრაში „ოლიმპიას“ იმ ანგარიშით მოუგეს, რა შედეგითაც ერთი კვირის წინ წააგეს. დამატებით დროში (ლიბერტადორესის თასზე დამატებითი დრო მხოლოდ ფინალში ინიშნება) გოლები აღარ გასულა, პენალტების სერიაში კი ბრაზილიელებმა 4:3 იმარჯვეს და სანუკვარ თასს დაეუფლნენ.

საერთოდ, პენალტს „ატლეტიკო მინეიროს“ ტრიუმფში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - 1/2 ფინალში, „ნიუელს ოლდ ბოისთან“ **კუკას** შეგირდებმა ასევე 11-მეტრიანების სერიაში იმარჯვეს. აი, 1/4 ფინალში, „ტიხუანასთან“ საპასუხო მატჩის ბოლო წამებზე (93-ე წუთზე), „ატლეტიკოს“ კარში პენალტი დაინიშნა, რომლის გატანის შემთხვევაშიც, მომდევნო ეტაპზე მექსიკელები გავიდოდნენ, მაგრამ **დუვიერ რიასკოსის** ბურთი **ვიქტორმა** ფეხით მოიგერია...

ვიქტორი ფინალის გმირადაც შეგვიძლია მოვნათლოთ - 30 წლის მეკარემ თამაშის დროს რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, პენალტების სერიის სტარტზე კი 11-მეტრიანი **ენრიკე მირანდას** აუღო. ბრაზილიელებს შეცდომა არ დაუშვიათ, პარაგვაელთაგან კი არგენტინელმა ლეგიონერმა **მატიას ხიმენესმა** ვერ ივარგა, ვისი დარტყმულიც ხარიხას მოხვდა და „მინეირაოზე“ შეკრებილმა 58 000-მა მაყურებელმა ზეიმი დაიწყო.

*„პარაგვაელი ხალხი ჩვენით უნდა ამაყობდეს. ამ ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს და ბოლომდე იბრძოლეს. ფინალში ამდენი შანსის ხელიდან გაშვება არაფრით არ შეიძლება. დღეს 2-3 რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რაც მეტოქემ არ გვაპატია,“* - განაცხადა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **ევერ ალმეიდამ**.

ურუგვაელი დამრიგებელი მართალია - „ოლიმპიამ“ რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენა. პირველ ტაიმში გოლის გატანის შესაძლებლობა **ფრედი ბარეიროს** ჰქონდა, მეორე ნახევარში კი ბარეიროს ნაცვლად შემოსული **ხუან ფერეირა** ვალდებული იყო ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ არგენტინელმა შემტევმა ვიქტორის შეცდომით ვერ ისარგებლა. ამ ეპიზოდიდან ზუსტად ორ წუთში „ოლიმპიას“ **მანსური** გაუძევეს, კიდევ ორ წუთში კი **მარტინ სილვას** კარი **ლეონარდო სილვამ** დალაშქრა, როდესაც **ბერნარდის** ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოში ყველაზე მაღლა ახტა და ბურთი შორეულ კუთხეში გაიტანა.

ანგარიში კი 46-ე წუთზე, პირველი მატჩის ერთ-ერთი გმირის, **ვილსონ პიტონის** შეცდომის შემდეგ გაიხსნა - პარაგვაელთა ნახევარმცველმა ბურთს ფეხი ააცილა და **ჟომ** სტუმრები დასაჯა. „მამლების“ ფორვარდმა ტურნირზე მე-7 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა.

არაფერი გვითქვამს **რონალდინიოზე**. მასპინძელთა ლიდერმა ფინალის პირველი მატჩი ჩააგდო და ის კუკამ მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალა. ამჯერად რონიმ ბოლომდე ითამაშა, მაგრამ მას რაიმე განსაკუთრებული არ გაუკეთებია. სხვათა შორის, რონალდინიო გახდა სულ მეშვიდე ფეხბურთელი ისტორიაში, ვისაც მოგებული აქვს, როგორც ლიბერტადორესის თასი, ასევე ჩემპიონთა ლიგა.

*„ბრაზილიაში სწორედ ამის გამო დავბრუნდი. ეს არის ტიტული, რომელიც მაკლდა. ყველა ამბობდა, რომ ჩემი კარიერა დასრულებული იყო და ვერაფერს მივაღწევდი. საინტერესოა, ახლა რას ფიქრობენ?!“* - განაცხადა რონალდინიომ და დაამატა:

*„ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა, მხოლოდ დღევანდელი დღით მსურს ტკბობა და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ. ამ გამარჯვებას დედაჩემს ვუძღვნი,“* - განაცხადა რონალდინიომ.

მნიშვნელოვანი ტურნირებიდან „ატლეტიკოს“ აქამდე მხოლოდ კონმებოლის თასი (1992, 1997), რომელიც უკვე აღარ არსებობს და ბრაზილიის ჩემპიონატი (1971) ჰქონდა მოგებული. ლიბერტადორესის თასზე გამარჯვებით „მამლებმა“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს, რომელიც წლის ბოლოს მაროკოში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ნაპოლი



ჯექსონ მარტინესს „ნაპოლიში" გადასვლის სურვილი აქვს

# ახალი სამიზნე: ჯექსონ მარტინესი

## ბენიტესი: იგუაინი ბევრ გოლს გაიტანს

ორშაბათს, ნეაპოლში დიდი ამბავია - „სტადიო სან პაოლოზე" შეკრებილ გულშემატკივრებს გუნდის ახალ ფორმას, ჰიმნს და რაც მთავარია, ფეხბურთელებს წარუდგენენ... ამ ზაფხულს, „ნაპოლის" უკვე დაემატნენ: დრის მერტენსი, ხოსე კალეხონი, რაულ ალბიოლი, რაფაელი, პეპე რეინა და გონსალო იგუაინი. ამ უკანასკნელმა სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და როგორც კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი აცხადებს, კონტრაქტის გასაფორმებლად ყველაფერი მზადაა:

„ხელშეკრულებას მალე გავაფორმებთ, ორშაბათს კი გრანდიოზული პრეზენტაცია იგეგმება. გვსურს გულშემატკივრებს ახალი ფეხბურთელები გავაცნოთ, ახალი ჰიმნი მოვასმენინოთ და ახალი ფორმა წარვუდგინოთ. კლუბის მენეჯმენტი დიდძალ სამუშაოს ასრულებს და მიხარია, რომ გულშემატკივრები ამას აფასებენ. უამრავ შეტყობინებას ვიღებ, რაც დადებითი ემოციით მავსებს. აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ პრეზენტაცია სულაც არ ნიშნავს სატრანსფერო კამპანიის დასრულებას. გუნდის გაძლიერება გრძელდება და აგვისტოს ბოლოს ალბათ კიდევ ერთ პრეზენტაციას გავმართავთ".

### ახალი სამიზნე

„გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ნაპოლის" მესვეურთა ახალი სამიზნე **ჯექსონ მარტინესია**. 26 წლის კოლუმბიელი ფორვარდი „პორტუს" ღირსებას იცავს და ამ გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა. გასულ სეზონში, ჯექსონმა 30 მატჩი გამართა და 26 გოლი გაიტანა, რაც ბრწყინვალე შედეგია. იქამდე მექსიკური „ჩიაპასის" (58 მატჩი, 28 გოლი) და კოლუმბიური „ინდეპენდიენტეს" (136 მატჩი, 55 გოლი) ღირსებას იცავდა და გოლები ყველგან გაჰქონდა. მოკლედ, მარტინესს საგოლე ალღო არ დაენუნება და ბუნებრივია, რომ მასზე დიდი მოთხოვნაა. მოკლედ, ჯექსონის გადაბირების სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ პირენეელებმა კოლუმბიელში კოლოსალური თანხა: 40 მილიონი ევრო მოითხოვეს. ნეაპოლელები ამ თანხას არ შეუშინდნენ და მოლაპარაკება წამოიწყეს.

„გაძეტას" მტკიცებით, იტალიელები მზად არიან კოლუმბიელის სანაცვლოდ დღესვე გადაიხადონ 32 მილიონი ევრო, თუმცა პორტუგალიელები პასუხს აგვიანებენ. ამასობაში, ნეაპოლელები თავად ფეხბურთელს შეეხმიანენ და კონტრაქტის პირობებზე შეუთანხმდნენ... ამ მხრივ, არავითარი პრობლემა არ ყოფილა და ჯექსონს იტალიაში გადაბარგების უდიდესი სურვილი გამოუთქვამს. მოკლედ, გასარკვევი სატრანსფერო თანხაა და სადავო 8 მილიონი ევრო რჩება. წესით, მხარეებს კომპრომისამდე მისვლა არ უნდა გაუჭირდეთ და შესაბამისად, ტრანსფერის ალბათობა მაღალია.

### ბენიტესი ტრანსფერებზე

ამასობაში, იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს „ნაპოლის" მთავარი მწვრთნელი **რაფაელ ბენიტესი** გაესაუბრა და აქტუალურ თემებზე გაამახვილა ყურადღება...

### სატრანსფერო კამპანია

კლუბის პრეზიდენტი, სპორტული დირექტორი და მთლიანად, ხელმძღვანელობა დიდ სამუშაოს ასრულებენ. ნათლად ვხედავ იმას, რის ხარჯზეც „ნაპოლიმ" ბოლო წლებში ასეთ პროგრესს მიაღწია. თუ კლუბის განვითარება ასეთი ტემპებით გაგრძელდა, „ნაპოლი" მალე ევროპული ფეხბურთის გრანდი იქნება. ბედნიერი ვარ, რომ ამ პროცესში მეც ვარ ჩართული.

### გონსალო იგუაინი

თუ სტატისტიკას გადახედავთ, ნახავთ, რომ გონსალო იგუაინს გოლის გატანის გამორჩეული ალღო და უნარი აქვს. ვფიქრობ, ედინსონ კავანის ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა და არგენტინელი მასზე გაცემულ ავანსებს სრულად გაამართლებს. გონსალოსგან ბევრ გოლს ველოდები და დარწმუნებული ვარ, ჩემი მოლოდინი გამართლდება.

### სხვა ახალწვეულები

გუნდი ყველა რგოლში გაძლიერდა და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. პეპე რეინას სახით, შესანიშნავი მეკარე გვყავს, რომლის შესაძლებლობებში 100%-ით ვარ დარწმუნებული; რაულ ალბიოლი დაცვას გაამაგრებს, დრის მერტენსი შუა ხაზს, ხოსე კალეხონი კი შეტევას უფრო მრავალფეროვანს გახდის. ხოსე ძალიან ტექნიკურია და თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც ცენტრში, ისე ფლანგზე. მოკლედ, ახალწვეულებზე დიდ იმედებს ვამყარებ.

### ჯექსონ მარტინესი

ჯექსონს ჩემი დახასიათება ნამდვილად არ სჭირდება, რადგან ყველამ ვიცით, რომ გოლების მანქანაა. ვიცი, რომ მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია შესული და ისღა დამრჩენია, შეთანხმებას ვუგულშემატკივრო. თვითონ ფეხბურთელს ნეაპოლში სურს წამოსვლა და ამიტომ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

### მარადონა იგუაინმა გაახარა

გონსალო იგუაინის „ნაპოლიში" გადასვლას ლეგენდარული არგენტინელი **დიეგო მარადონა** გამოეხმაურა. სანამ სიტყვას დიეგოს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ თავის საუკეთესო წლებში სწორედ ნეაპოლური გუნდის ღირსებას იცავდა და იტალიის სამხრეთის ამ საფეხბურთო ქალაქში მას დღემდე აღმერთებენ:

„ძალიან გამახარა გონსალო იგუაინმა, რომელმაც არჩევანი არა „იუვენტუსზე", არამედ „ნაპოლიზე" შეაჩერა. ამ ქალაქში საოცარი საფეხბურთო ატმოსფეროა და გულშემატკივრებსაც სხვანაირად უყვართ ფეხბურთი. რაც მთავარია, ნეაპოლელები იმსახურებენ ძლიერ გუნდს და მახარებს კლუბში მიმდინარე პროცესები. იგუაინს ყოველთვის ჩემს შეგირდად ვთვლიდი და დარწმუნებული ვარ, „ნაპოლიში" ბრწყინვალედ ითამაშებს. მან სწორი არჩევანი გააკეთა, „იუვენტუსში" კი ნამდვილი არგენტინელი არასდროს გადავა".

აი, ასეთი უცნაური განცხადება გააკეთა დიეგო მარადონამ და ამით, **კარლოს ტევესსაც** გაჰკრა კბილი. ამ ზაფხულს, კარლიტო სწორედ ტურინულ გრანდში გადაბარგდა და ამ გუნდის 10-ნომრიანი მაისურიც მოირგო. მოკლედ, მარადონა თავის სტიქიაშია, იგუაინი და ტევესი კი სერია A-ს მომდევნო გათამაშებაში კონკურენტები იქნებიან.

● რომა

# ტოტის მილოცვა დე როსის



ფრანჩესკო ტოტი დანიელე დე როსის „რომაში" დარჩენას ურჩევს

„რომას" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველ **დანიელე დე როსის** 30 წელი შეუსრულდა, **ფრანჩესკო ტოტიმ** კი მისთვის დაბადების დღის ორიგინალურად მილოცვა გადაწყვიტა. იტალიურ სპორტულ პრესაში ხშირად იწერება დანიელეს „ჯალოროსიდან" შესაძლო აბარგების შესახებ, მის მომავალს კი ყველაზე ხშირად პსჟ-ს და „ჩელსის" უკავშირებენ. თავის მილოცვაში ტოტი სწორედ ამ თემას შეეხო:

„დანი, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ, რომ კარიერის დარჩენილი პერიოდი „რომაში" გაატარო. ევროპული გრანდებიდან მეც ვიღებდი მაცდურ შეთავაზებებს, მაგრამ ჩემი არჩევანით უაღრესად კმაყოფილი ვარ. არადა, რამდენჯერმე კლუბის გამოცვლასთან ძალიან ახლოს ვიყავი. გირჩევ, დარჩე მშობლიურ გუნდში, რათა იყო ისეთივე ბედნიერი, როგორიც მე ვარ დღეს. დარჩი და ჩვენ ერთად მოვიგებთ რომელიმე დიდ ტიტულს".

თუ გავითვალისწინებთ, რომ 36 წლის ფრანჩესკო ტოტი კარიერის დასრულებას მომდევნო ზაფხულს აპირებს, გამოდის, რომ დიდი ტიტულის მოგებას უახლოეს სეზონში გეგმავს.

● მოსაზრება

# კამპანიარო: უნდა გავძლიერდეთ

„ინტერმა" საწვრთნელი ციკლის პირველი ეტაპი დაასრულა, რომელიც მეტწილად ფეხბურთელთა ტაქტიკურ მეცადინეობას დაეთმო. დიახ, არა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, არამედ თეორიულ სწავლებას. როგორც ჩანს, **ვალტერ მაცარი „ინტერში"** ძირეულ ცვლილებებს გეგმავს და სურს, იდეები თითოეულ ფეხბურთელამდე დაწვრილებით მიიტანოს. საწვრთნელი ციკლის პირველ ეტაპს გუნდის ახალწვეული, 33 წლის **უგო კამპანიარო** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

„სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ გუნდი ოპტიმალური ფორმისგან ძალიან შორსაა. დღეს, ჩვენი გონება უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე ფეხები, ასე კი წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ვალტერ მაცარიმ გადაწყვიტა, რომ ჯერ ის გავიგოთ, როგორი ფეხბურთი უნდა ითამაშოს „ინტერმა" მომდევნო სეზონში. ვალტერი გამოცდილი მწვრთნელია და მან კარგად იცის, რასაც აკეთებს. მჯერა, რომ სწორი გზით მივდივართ და მომდევნო სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტრანსფერების და შესაბამისად, გაძლიერების გარეშე წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება".




უგო კამპანიარო

● ფიორენტინა

# რონკალია რჩება

**ფაკუნდო რონკალიას** პირადმა აგენტმა **კლაუდიო კურტიმ კატეგორიულად** უარყო გავცელებული ინფორმაცია 26 წლის მცველის „ფიორენტინადან" „რუბინში" შესაძლო გადაბარგების შესახებ. იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ რუსები არგენტინელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევროს გადახდას აპირებდნენ და თითქოს, ფლორენციელებიც მზად იყვნენ მის გასაშვებად. მოვუსმინოთ აგენტს:

„რუსებს მართლა სურთ ფაკუნდოს გადაბირება, მაგრამ თავად ფეხბურთელს ფლორენციის დატოვება არ უნდა. რაც მთავარია, „ვიოლას" მესვეურებს ერთი წუთითაც არ უფიქრიათ ფეხბურთელის რვა მილიონ ევროდ გასხვისება. მოკლედ, რონკალია „ფიორენტინაში" რჩება და მომდევნო სეზონშიც ამ გუნდის ღირსებას დაიცავს".

ფაკუნდო რონკალია „ფიორენტინაში" გასულ ზაფხულს გადაბარგდა, მყისვე დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, რაზეც მის მიერ გამართული 24 შეხვედრა და 3 გოლი მიუთითებს.




ფაკუნდო რონკალია მომდევნო სეზონსაც „ფიორენტინაში" გაატარებს

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ლამის ახალი როლი ნახევარდაცვაში

## არადა, ფილიპს მარჯვენა მცველობა ურჩევნია...

„ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდში **ფილიპ ლამს** უმეტესად მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, ნახევარდაცვაში ათამაშებს. რეკორდმაისტერის კაპიტანი მწვრთნელის დავალებას პირნათლად კი ასრულებს, მაგრამ ახალი პოზიციით აღფრთოვანებული ნამდვილად არ არის. არადა, გვარდიოლა ლამთან მიმართებაში ნახევარდაცვისთვის უფრო მეტსაც გეგმავს.

ფილიპ ლამს დღემდე ძალიან კარგად ახსოვს 2012 წლის 22 ივნისი. იმ დღეს გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში საბერძნეთს ეთამაშებოდა და სწორედ ლამი იყო ის კაცი, ვინც 39-ე წუთზე ბერძნების მეკარე **ხალკიასს** გოლი გაუტანა და ანგარიში გახსნა. გერმანია იმ შეხვედრას, სავარაუდოდ, ფილიპის გოლის გარეშეც მოიგებდა, მაგრამ კაპიტნისთვის ის მატჩი განსაკუთრებული გამოვიდა - მას მერე ლამს ოფიციალურ შეხვედრაში გოლი აღარ გაუტანია.

ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან ფილიპი ფლანგის მცველია, ამ პოზიციის წარმომადგენლებს კი გოლები იშვიათად გააქვთ ხოლმე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფილიპს გოლების გატანა არ უყვარს ან არ უნდა - ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოგების შემდეგ მან პირველივე კომენტარში თქვა, მომავალ სეზონში ჩემი მიზანი ისიც იქნება, რომ ერთი გოლი მაინც გავიტანოო.

„ბაიერნს" 2013/2014 წლების სეზონში ოფიციალური მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალ სეზონში ლამს არა ერთი, არამედ რამდენიმე გოლის გატანა შეეძლება. ტესტ-მატჩებში მან უკვე სამჯერ შეძლო მეტოქეთა კარის დალაშქვრა, ბოლოს კი ორიოდე დღის წინ, „ბარსელონასთან" 2:0-ზე მოგებულ შეხვედრაში იხეირა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ლამმა „ბარსას" თავით გაუტანა.

მატჩის შემდგომ კომენტარში ლამს აშკარად ეტყობოდა, რომ სულაც არ იყო აღფრთოვანებული: *„რა გასაკვირია, რომ გავიტანე - მე ხომ შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობდი..."* - აღნიშნა მოკრძალებით.



ფილიპ ლამი და ხოსეპ გვარდიოლა

გვარდიოლა ფილიპს მარჯვენა მცველის პოზიციაზე აღარ ათამაშებს - პეპმა კაპიტანს ნახევარდაცვაში მოუნახა ადგილი. „ბარსელონასთან" „ბაიერნმა" ისევ 4-1-4-1 სქემით ითამაშა, ფილიპი კი შემტევი ნახევარმცველების ოთხეულიდან ერთ-ერთი იყო. რეკორდმაისტერის კაპიტანს სახეზეც ეწერა, რომ დაცვაში თამაში ურჩევნია.

*„საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მირჩევნია, დაცვის მარჯვენა ფლანგზე ვიყო - იქ, სადაც წლების მანძილზე ვთამაშობდი. თუმცა მწვრთნელის სიტყვა ჩემთვისაც კანონია,"* - განმარტა ლამმა.

### ლამს ნახევარდაცვისთვის გამოცდილება აკლია

პეპის გეგმები გასაგებია: ლამს აქვს ყველაფერი, რაც ისეთ მოთამაშეს სჭირდება, რომელსაც შემტევი ნახევარმცველი უნდა ეთქმოდეს, მაგრამ საყრდენ ნახევარმცველსაც უნდა დაეხმაროს და ფლანგზეც უნდა იბატონოს - ფილიპს კარგი პასების ჩამორიგებაც შეუძლია, სწრაფ ტემპსაც აჰყვება, ფლანგიდანაც ჩააწოდებს, მეტოქის შეტევასაც ჩაშლის და თუ მომენტი შეექმნა, დაგვირგვინებაც ეხერხება. სწორედ ამის გამო ჩამოყალიბდა ლამი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მარჯვენა მცველად, წინა სეზონი კი მთლიანად სტაბილურად, მაღალ დონეზე ჩაატარა.

*„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ფეხბურთელს თავის პოზიციაზე თამაშის გამოცდილება უნდა ჰქონდეს. პირადად მე გამოცდილება მარჯვენა ან მარცხენა მცველის პოზიციაზე მაქვს. ნახევარდაცვაში კი აქამდე არასდროს მითამაშია,"* - ასეთი განცხადება გააკეთა ლამმა გუშინ.

### პეპს ლამი ნახევარდაცვაში უფრო მოსწონს?

გვარდიოლას ლამის შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, კარგად აქვს შესწავლილი და იცის, რა შეუძლია ფილიპს დაცვის მარჯვენა ფლანგზე. თუმცა, ამავდროულად, პეპს თავისი ტაქტიკური მოსაზრებები აქვს და არაერთხელ უთქვამს, რომ მისი აზრით, მრავალმხრივი ფეხბურთელის მრავალმხრივად გამოყენება ურჩევნია. პეპმა ფილიპი ნახევარდაცვაში უკვე იმდენჯერ ათამაშა, აშკარად დარწმუნებული ჩანს იმაში, რომ ლამი ნახევარდაცვაში დაცვაზე არანაკლებ კარგად ითამაშებს.

„ბარსელონასთან" მატჩის შემდეგ ფილიპის შესახებ კითხვა, რა თქმა უნდა, გვარდიოლასაც დაუსვეს და აი, რა უპასუხა პეპმა: *„ფილიპი იმდენად ინტელექტუალი ფეხბურთელია, რომ ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში - ფლანგზეც, გამთამაშებლადაც და საყრდენ ნახევარმცველადაც!"*

კითხვაზე, თუ რომელ ფეხბურთელებს ათამაშებს გვარდიოლა ნახევარდაცვაში, როცა ყველა მისი შეგირდი კარგ ფორმაში იქნება, პასუხის გაცემა მხოლოდ თავად პეპს შეუძლია, ამ ეტაპზე კი ფაქტი ისაა, რომ ესპანელი სპეციალისტი ნახევარდაცვაში ფილიპ ლამსაც მოიაზრებს. რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, რომ პეპმა ლამი მარჯვენა მცველის პოზიციაზეც ხშირად ათამაშოს - მით უმეტეს, რომ **რაფინია** ფილიპს მთლად ღირსეულად ვერ ცვლის. მაგრამ ისიც რეალურია, რომ რეკორდმაისტერის კაპიტანი ამიერიდან მისთვის უჩვეულო პოზიციაზე ვიხილოთ ხოლმე - მიუხედავად იმისა, რომ თავად ლამს ეს იდეა არ აღაფრთოვანებს.

ინტერვიუ. ჯერმეინ ჯონსი

# სადღა არიან ჩემნაირი ბიჭები?!

## ...ახალგაზრდა ფეხბურთელები ახლა მარტო კოკა კოლას ან ფანტას სვამენ

**ვინ მოიგებს ბუნდესლიგას 2013/2014 წლების სეზონში? გერმანიაში ეს კითხვა ვისაც უნდა დაუსვათ, ყველას ერთი პასუხი აქვს: „ბაიერნი! რა თქმა უნდა, ბაიერნი!" რეკორდმაისტერს თვით დორტმუნდელებიც კი ნომერ პირველ ფავორიტად რაცხავენ, თავად კი უმთავრეს მიზნად ისევ მეორე ადგილს ისახავენ. ერთადერთი კაცი, რომელიც ბაიერნელი არაა და არ მალავს, რომ მისი მიზანი მხოლოდ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაა, „შალკეს" 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი ჯერმეინ ჯონსია. გთავაზობთ „ბილდში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს თამამ შალკელთან.**

**- ჯერმეინ, „შალკეში", ისევე, როგორც მთელ ბუნდესლიგაში, თქვენ გარდა, ყველა მოკრძალებულია. მხოლოდ თქვენ ამბობთ, მარტო ჩემპიონობა მინდაო...**

- ეს ცარიელი სიტყვები არ არის. „შალკეს" ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რომელსაც მართლაც შეუძლია პირველობისთვის ბრძოლა. სუსტი გუნდი რომ გვყავდეს, ამას არ ვიტყოდი, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მაქსიმუმისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თუ კარგმა გუნდმა მიზნად ჩემპიონობა არ დაისახა, „ბაიერნი" მართლაც ძალიან მარტივად მოიგებს თამაშებს. მიუნხენური კლუბი ფავორიტია, მაგრამ ჩვენც ჩემპიონობაზე უნდა ვიფიქროთ. „შალკე" ნაღდად არაა ისეთი გუნდი, რომელმაც მიზნად მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა დაისახოს. ამბიცია ოდესმე ხომ უნდა გაგვეზარდოს?

**- ბუნდესლიგაში „ცუდი ბიჭის" სახელი გაქვთ. მეტოქე გუნდის ფეხბურთელები თქვენთან ორთაბრძოლას ერიდებიან ხოლმე - ტრავმის მიღების ეშინიათ. მოგწონთ „ცუდი ბიჭის" იმიჯი?**

- იმიჯზე ადრე უფრო ვზურნავდი, ახლა კი თავისთავად ვარ ასეთი. ჩემთვის ყველაზე მთავარი ბრძოლის უნარია - თუ ფეხბურთელს ეს უნარი არ აქვს, მე



ჯერმეინ ჯონსი

ის ფეხბურთელად არც მიმაჩნია. ბრძოლის უნარი ნიჭიერ და ტექნიკურ მოთამაშესაც სჭირდება. მომწონს, რომ „შალკეში" წონადი ფიგურა ვარ. პასუხისმგებლობას არასდროს გავურბივარ და სხვათა შორის, ლიდერობასაც ნიჭი უნდა. ლიდერისთვის მნიშვნელოვანია თვითკრიტიკულობაც. როცა რაღაც შემეშლება, ამას ყოველთვის ვაღიარებ ხოლმე და თანაგუნდელები პატივს ამიტომაც მცემენ.

**- შტეფან ეფენბერგიც ასეთი იყო... თქვენც ატყობთ, რომ თანამედროვე ფეხბურთში ასეთი ტიპები აღარ არიან?**

- ეფენბერგს ნამდვილად ვერ შევედრები - შტეფანი თითით საჩვენებელი ლიდერი იყო. ფაქტია, რომ ასეთი ლიდერი დღეს მხოლოდ რამდენიმეა. ახალი თაობა საქმეს სხვანაირად უდგება, პატარა ბიჭებს სხვა პრიორიტეტები აქვთ როგორც მოედანზე, ისე მოედანს მიღმაც. „შალკეში" ბევრი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, რომლებიც სულ სხვანაირად იქცევიან. ჩემს ბავშვობაში ფეხბურთელებს საქმისადმი სხვანაირი მიდგომა გვქონდა. ახლა არ დავიწყებ იმის განსჯას, რომელი სჯობია - ყველაფერს დრო არეგულირებს და ახლა უბრალოდ ასეთი ტენდენციაა. დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელები ერთ კათხა ლუდსაც კი აღარ სვამენ. ახლა მათი ძირითადი სასმელი „ფანტა" ან „კოკა კოლაა". სწორად გამიგეთ: იმას არ ვამბობ, რომ ფეხბურთელი უნდა ლოთობდეს, მაგრამ ჩემ დროს „კოკა კოლას" მსმელებს დავცინოდით ხოლმე და ყველაფერში ისეთ გენიალურ ლიდერებს ვბაძავდით, როგორებიც ეფენბერგი, მათეუსი ან ბასლერი იყვნენ.

**- სხეულზე ტატუს ადგილი დაგრჩათ?**

- სახეზე ან ყელზე ტატუს არასდროს გავიკეთებ. ძირითადად ცოლისა და შვილების სახელები მაქვს ამოსვირინგებული.

**- რაკი გერმანიის ნაკრებში არ დაგიძახეს, აშშ-ის ეროვნულ გუნდს შეუერთდით. ჯერმეინ ჯონსი უფრო გერმანელია, თუ უფრო ამერიკელი?**

- უფრო ამერიკელი მეთქმის, მაგრამ გერმანელიც ვარ. გერმანიას ძალიან ვემადლიერები და ყველამ იცის, რომ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში უდიდესი სიამოვნებით ვითამაშებდი. ახლა კი ვამაყობ იმით, რომ აშშ-ის ნაკრების ღირსებას ვიცავ. კარიერის დასრულების შემდეგ ამერიკაში გადასახლებას და ლოს ანჯელესში ცხოვრებას ვაპირებ.

**- თუმცა მანამდე ადრეა. „შალკესთან" ახალ კონტრაქტს აფორმებთ?**

- ჰო, ჯერ 31 წლის ვარ და ფეხბურთს კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშებ. „შალკესთან" ახალ ხელშეკრულებას ალბათ გავაფორმებ, მაგრამ რომც არ გავაფორმო, არც ამაზე ვიდარდებ - ასეთ შემთხვევაში კარიერას რომელიმე სხვა ამბიციურ ევროპულ კლუბში გავაგრძელებ.

ვარსკვლავი



მარიო გიოტცე

# გიოტცეს შარი არ უნდა

## დორტმუნდიდან მარიოს ოფიციალური გაცილება არ შედგება

**მარიო გიოტცეს** ტრანსფერმა მთელი საფეხბურთო გერმანია შეძრა, დორტმუნდის „ბორუსიას" გულშემატკივრები კი ჯერ შოკში ჩააგდო. „ბორუსიას" ქომაგები შოკიდან მალე გამოვიდნენ, მაგრამ მერე 21 წლის ვარსკვლავზე ძალიან გაბრაზდნენ და „ბაიერნში" გადასვლას დღემდე ვერ პატიობენ.

გიოტცე, რომელიც „დორტმუნდის" ღირსებას 2001 წლიდან იცავდა, „ბორუსიას" ოფიციალურად შაბათს, „ბაიერნთან" სუპერთასის შეხვედრის დროს უნდა გაეცილებინა, მაგრამ „ბილდის" ინფორმაციით, ეს გამოთხოვება არ შედგება. მიზეზი ისაა, რომ დორტმუნდელებს და თავად გიოტცესაც ფანების პროტესტის ეშინიათ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მარიოს აგენტი და „ბორუსიას" ხელმძღვანელები ამ ფორმალობაზე უარის თქმაზე შეთანხმდნენ. ამრიგად, გიოტცე მიუნხენში დარჩება და ინდივიდუალურად ვარჯიშს გააგრძელებს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი

# კარლეტოს ნაძვის ხე ძალიან მწვანეა

## ილიარამენდიმ ტრავმა მიიღო, ხესე დარჩა, პიპა უკვე წარსულია


მადრიდის „რეალის“ ახალი ფორმა

**კარლო ანჩელოტი საფრანგეთში „რეალის“ მწვრთნელის პოსტზე თავის პირველ მარცხს დაუძვრა, რისთვისაც ბრაზილიელი კაზემირუს მადლიერი უნდა იყოს. ამასობაში „რეალის“ ტორსიდამ შვებით ამოისუნთქა: „სამეფო კლუბის“ ყველაზე ნიჭიერმა ახალგაზრდამ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა...**

### ადიოს, პიპა!

პირველ ამხანაგურ მატჩსა და მეორეს შორის, „რეალმა“ არგენტინელი ფორვარდი **გონსალო იგუაინი** დაკარგა. 25 წლის „პიპა“ (გუნდში რომ მივიდა, ჯერ „პიპიტას“ ეძახდნენ) 6 სეზონი ერთგულად ემსახურა „სამეფო კლუბს“. ამ ხნის განმავლობაში ლა ლიგაში 190 თამაშში 107 გოლი გაიტანა, რაც დიდებული მაჩვენებელია. „ბორნმუთთან“ ამხანაგურ მატჩში მან უკანასკნელად გაიტანა „რეალის“ თეთრი მაისურით.

ახლა უკვე „პიპა“ „ნაპოლისთვის“ გაიტანს, რომელიც მის კარიერაში სულ მესამე კლუბი იქნება (პირველი „რივერ პლეიტი“ იყო). გონსალო „რეალს“ მისთვის მშობლიურ ქვეყანაში (ის ფრანგულ ქალაქ ბრესტშია დაბადებული) აღარ გაჰყვა და ნეაპოლში გაფრინდა.

### ბონჟურ, ბენზემა

სამაგიეროდ, ლიონში წავიდა „რეალის“ მეორე ცენტრფორვარდი **ქარიმ ბენზემა**, რომლისთვისაც ეს ქალაქი და ამ ქალაქის კლუბი ბევრს ნიშნავს. ლიონის „ოლიმპიკი“ ის გუნდია, სადაც დაფრთიანდა ფრანგი ფორვარდი. „სტად ჟერლანზე“ მას 66 გოლი აქვს გატანილი „ლიონის“ მაისურით. ერთხელ კიდევ გაიტანა მან ამ სტადიონზე, 2010/11 წლების ჩემპიონთა ლიგის სეზონში, მაგრამ უკვე „ლიონის“ კარში. წინდაწინვე ვიტყვით, რომ ამჯერად მას გოლის გატანა არ ეწერა, ტაიმი ითამაშა და თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.


კრიშტიანო რონალდო ახალ როლს ვერ ეგუება

### თამაში: გრენიეს სუპერგოლი, კაზემირუს თავური

**კარლო ანჩელოტიმ** ლიონში 20 ფეხბურთელი წაიყვანა, რომელთაგანაც „ლიონთან“ 19 ათამაშა. ამჯერად, მოედანზე გასვლამ არ მოუწია სათადარიგო გოლკიპერ **ხესუსს**, რომელმაც „ბორნმუთთან“ მეორე ტაიმი ითამაშა. ანჩელოტის სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა ახალგაზრდა რუსი **დენის ჩერიშევი**, რომელმაც 90 წუთი ითამაშა და გარკვეული როლი იმაშიც მიიღო, რომ „რეალმა“ თამაში „შემოატრიალა“. რუსის გარდა 90-90 წუთი მხოლოდ **ანხელ დი მარიამ** და **ნაჩო ფერნანდესმა** ითამაშეს. კარიერაში პირველად მოხვდა მადრიდის „რეალის“ სასტარტო შემადგენლობაში **ასიერ ილიარამენდიც**.

„ლიონი“ რამდენიმე დღეში სეზონს იწყებს, გუნდი უკვე ფორმაშია, ამიტომაც არავის უნდა გაკვირვებოდა, რომ ფრანგები ესპანელებს ფიზიკურადაც სჯობდნენ და თამაშითაც. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა.

ანგარიში კი სუპერგოლით გაიხსნა, მარჯვენა ფლანგზე დიდებულად ითამაშა **ალექსანდრ ლაკაზეტმა**, მისი ჩამოწოდებული კი ყოველგვარი დამუშავების გარეშე, ელეგანტურად **დიეგო ლოპესის** კარში დაარტყა 22 წლის **კლემან გრენიემ** (მე-20 წთ).

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა, ის იყო, „რეალმა“ ხელთ იგდო უპირატესობა, რომ აქეთ გაუშვა მეორე გოლი - ამჯერად ლაკაზეტმა საჯარიმოში თავით დაუგდო ბურთი **ლისანდრო ლოპესს** და არგენტინელმაც **ანტონიო ადანი** დაამწუხრა (62-ე წთ).

„რეალი“ წაგებას მაინც გადარჩა, დენის ჩერიშევის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად **ალვარო მორატამ** (78-ე წთ) აქცია. ანგარიში უკვე **კაზემირუმ** გაათანაბრა (84-ე წთ), რომელიც კუთხურს თავით შეეგება - 2:2.

დროა, კაზემირუზეც ვთქვათ, რადგან ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა წინა მატჩშიც გაიტანა. ბრაზილიელს „რეალის“ ახალწვეულს მაინც ვერ ვუწოდებთ, მიუხედავად იმისა, რომ ის „სამეფო კლუბმა“ ამ ზაფხულს შეიძინა. 21 წლის კაზემირუ გასულ სეზონში „რეალის“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა იჯარით „სან პაულოდან“, ბოლო ტურში კი სულაც ლა ლიგაში ითამაშა. „რეალის“ ამ ცოტა უცნაურმა ბრაზილიელმა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში უკვე 5 მატჩის გამართვა მოასწრო.

**რემი გარდი** (ლიონი): *„მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა იყო, რომ ჩვენ მოგებას ვიმსახურებდით. მეტის გატანაც კი შეგვეძლო. შესვენებაზე ბიჭები გავაფრთხილე, რომ მზად ყოფილიყვნენ „რეალის“ შემოტევებისთვის, რადგან ეს ის გუნდია, რომელიც არასოდეს ნებდება“.*

**კარლო ანჩელოტი** (რეალი): *„იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ ორი კვირაც არ არის, რაც ვმუშაობთ, გუნდმა კარგად ითამაშა. მეორე ტაიმში სათანადოდ ვითამაშეთ და ანგარიშის გათანაბრებაც მოვახერხეთ. ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი გუნდის მწვრთნელობა - „რეალი“ მსოფლიოში საუკეთესოა“.*

**ლიონი-რეალი 2:2**

რეალი (4-3-2-1): **დ. ლოპესი (46. ადანი) - კარვახალი (76. ქუინი), პეპე (63. ), ნაჩო, ჩერიშევი - ილიარამენდი (35. კაზემირუ), ისკო (62. კასადო), დი მარია - იოზილი (46. ხედირა), რონალდო (63. მორატა) - ბენზემა (46. მოდრიჩი)**

### 4-3-2-1

მართალია, ანჩელოტი მაინც კმაყოფილი დარჩა, მაგრამ თავად ანჩელოტით არ დარჩა კმაყოფილი ესპანური პრესა. „მარკას“ აზრით, იტალიელის სიახლემ ვერ გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. **ჟოზე მოურინიოს** „რეალი“ უკვე ტრადიციად ქცეული 4-2-3-1 ტაქტიკური განლაგებით თამაშობდა, „ლიონთან“ „კარლეტომ“ 4-3-2-1 შემოგვთავაზა, ნაძვის ხე, როგორც მას იტალიაში უწოდებენ.

ყველაზე მეტად ცვლილება ანხელ დი მარიას შეეხო, რომელიც მარცხენა ნახევარმცველად გადაიყვანეს. „მარკას“ მიაჩნია, სწორედ ამ ცვლილების გამო იყო **კრიშტიანო რონალდო** ინერტული, რომელიც იტალიელმა ე.წ. 9 ნომერზეც მოსინჯა, ისევე როგორც თავად დი მარია. ცუდად გამოიყურებოდა ილიარამენდიც, სანამ შეცვლიდნენ (მცირე ტრავმა მიიღო). როგორ გააგრძელებს ექსპერიმენტებს კარლეტო, ჯერ უცნობია, ერთი თამაშით დასკვნის გამოტანა კი არასწორი....

### ხესე დარჩა! დენისიც

ბოლო დროს მადრიდის „რეალის“ ფანებს 20 წლის **ხესე როდრიგეს რუიზის** ბედი ანაღვლებდათ. „რეალის“ სარეზერვო გუნდის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდას ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. მას ბევრი შემოთავაზება ჰქონდა, მათ შორის ინგლისური კლუბებიდანაც. როგორც ჩანს, გადამწყვეტი იგუაინის წასვლა აღმოჩნდა, ხესემ დარჩენა გადაწყვიტა და მაშინ, როცა მისი თანაგუნდელები ლიონში ეშვებოდნენ, ფორვარდმა მშვიდად მოაწერა „რეალის“ ოფისში ახალ, 4-წლიან ხელშეკრულებას ხელი.

ხესე 14 წლის კანარელი ბიჭუნა იყო, როცა „რეალის“ აკადემიაში ჩაირიცხა, მაშინ ის კადეტთა B გუნდში მიიღეს, მას მერე ხესემ ყველა ეტაპი გამოიარა. 18 წლის ასაკში მას „რეალის“ პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი. ხესე აცხადებს, რომ მისი კერპი კრიშტიანო რონალდოა.

მადრიდის „რეალმა“ კიდევ ერთი ტალანტი შეინარჩუნა, ისიც მომდევნო 4 წლით. საუბარია, რუს უნივერსალ დენის ჩერიშევზე, რომელიც 12 წლის ასაკიდან „რეალის“ აკადემიის წევრია. გასულ სეზონში „რეალ კასტილიას“ შემადგენლობაში დენისმა 11 გოლი გაიტანა. 22 წლის ფეხბურთელი ცნობილი რუსი ფეხბურთელის, **დმიტრი ჩერიშევის** შვილია. დმიტრიმ 1996-2003 წლები ესპანეთში გაატარა, სადაც ხიხონის „სპორტინგის“, „ბურგოსის“ და „რეალ არანხესის“ ღირსებას იცავდა.

### ახალი საგარეო ფორმა

ამასობაში „რეალის“ 2013/14 წლების საგარეო ფორმის პრეზენტაცია მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა **მესუთ იოზილმა**, ქარიმ ბენზემამ, ალვარო მორატამ და სხვებმა მიიღეს. პირველად ამ ახალ ფორმას „რეალი“ 27 ივლისს „პარი სენ-ჟერმენთან“, კარლო ანჩელოტის ყოფილ გუნდთან მატჩში მოირგებს.

ფორმა ლურჯია, ბენზემა ხუმრობდა, თავი საფრანგეთის ნაკრებში მგონიაო. პრეზენტაცია ნაკლებად პომპეზური გამოვიდა, რადგან სანტიაგო დე კომპოსტელაში ტრაგედია მოხდა, მატარებლის ავარიას 50-მდე ადამიანი შეეწირა.


ხესე როდრიგესი კიდევ 4 წელი „სამეფო კლუბში“ ითამაშებს

● ბარსელონა

# ხერარდო მარტინო უკვე ბარსელონაშია


ხერარდო მარტინო „ბარსას“ ლოგოს ფონზე

მიუნხენში დამარცხებული „ბარსელონა“ შინ დაბრუნდა და მეორე დღეს მას სამშობლოდან ახალმა მწვრთნელმა **ხერარდო მარტინომაც** ჩააკითხა. მარტინო დიდის ამბით მიიღეს „ბარსელონაში“, მას ოფისში სპორტული დირექტორი **ანდონი სუბისარეტა** დახვდა. სუბისარეტამ დაათვალიერებინა „ტატას“ „კამპ ნოუ“.

გაირკვა მარტინოს პრეზენტაციის თარიღიც: 26 ივლისი 20:30 სთ. საქართველოს დროით, კონტრაქტზე ხელს კი „ტატა“ რამდენიმე საათით ადრე მოაწერს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქაბიადა

# დიდი ფორუმის 13 ჯილდო



კახა ბასილია (მარცხნიდან მეოთხე) და ჯამლეტ ხუხაშვილი მაქაბიადის მედალოსნებთან

ახლახან ისრაელში ებრაელ სპორტსმენთა მსოფლიო ფორუმი — მე-19 მაქაბიადა გაიმართა. 40 სახეობაში 80 ქვეყნის 10.000-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ცნობილი სპორტული კომენტატორის **ჯამლეტ ხუხაშვილისა** და საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტის, მე-8 დანის მფლობელ **კახა ბასილიას** ხელმძღვანელობით შეჯიბრებაში 6-მა სპორტსმენმა იასპარეზა და 13 მედალი მოიპოვა. ახალგაზრდებს შორის კუმიტეში პირველი ადგილი დაიკავა **თემურ ყვითელაშვილმა**, რომელმაც 53 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში მასპინძელს აჯობა; ასევე, ინდივიდუალურ კუმიტეში, ოღონდ - უფროსებში, მხოლოდ გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო და მე-2 ადგილს დასჯერდა **გიორგი ელიზბარაშვილი** (84), ხოლო **ედემ ბერიშვილმა** (75) და **დავით ხუხაშვილმა** (+84) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ბერიშვილი ინდივიდუალურ კატაში მეორე იყო. საქართველოს წარგზავნილებმა გუნდურ პაექრობებშიც იყოჩაღეს; კატაში გიორგი ელიზბარაშვილმა, **შოთა გორელაშვილმა** და ედემ ბერიშვილმა მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო კუმიტეში ელიზბარაშვილმა, გორელაშვილმა, ბერიშვილმა, ხუხაშვილმა და **მერაბ ბოთერაშვილმა** მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობა დათმეს და საბოლოოდ მესამე ადგილი ერგოთ.

**ჯამლეტ ხუხაშვილი:** *მსოფლიო მაქაბიადები, როგორც ოლიმპიური თამაშები, ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და პლანეტის უძლიერეს სპორტსმენებს იკრებს. მის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ სპორტული ფორუმის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ისრაელის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, შეჯიბრების მონაწილეებს თავიანთი ქვეყნიდან მიესალმნენ ამერიკის პრეზიდენტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი. მსოფლიო მაქაბიადებში მეექვსედ ვიასპარეზეთ, ამჯერად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ებრაელთა მსოფლიოს კონგრესის თანადგომით. დიდი დახმარება გაგვიწიეს მაქაბიადის ორგანიზატორებმა: ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგა ხანია, გაფიცულია, ამიტომ ჩვენი დელეგაციის რამდენიმე წევრს ვიზის პრობლემა შეექმნა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენს ბიჭებს უვიზოდ გადაეკვეთათ ქვეყნის საზღვარი, რაც, ფაქტობრივად, უპრეცედენტო შემთხვევაა. საქართველოს წარმომადგენლებმაც თავი არ შეირცხვინეს - არც ერთი მათგანი უმედლოდ არ დარჩენილა. წარმატება ისრაელში ტელეფონით მოგვილოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. ეს არ ყოფილა შემთხვევითი. გაისად ოქტომბერში საქართველოს და ისრაელის მეგობრული ურთიერთობის 26-საუკუნოვანი იუბილე საზეიმოდ აღინიშნება. შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელსაც თავად ბატონი ბიძინა ხელმძღვანელობს. მომავალ საიუბილეო დღესასწაულს ჩვენმა სპორტსმენებმა მსოფლიო მაქაბიადაზე მოპოვებული მედლებით შესანიშნავი ფონი შეუქმნეს.*

**კახა ბასილია:** *დიდი სპორტული ზეიმი გაიმართა ისრაელში. ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილის ინიციატივით გვერგო ბედნიერება, ამ დიდ დღესასწაულში ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა და წარმატებისთვის მიგვეღწია. სხვა რომ არაფერი, კარატეში ისრაელისა და ამერიკის შემდეგ გუნდური მესამე ადგილის დაკავება იოლი არ იყო. მთელ მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ ამბიციებიც გვაქვს და ქადილის უნარიც შეგვწევს. როგორც ბატონმა ჯამლეტმა აღნიშნა, გაისად ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის 26-საუკუნოვანი იუბილე აღინიშნება. გადავწყვიტეთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით კარატეში „მაქაბის“ მსოფლიოს თასი თბილისში გავათამაშოთ. უკვე 45 ქვეყნის თანხმობა მივიღეთ. ორი ერის მეგობრობის განმტკიცებაში ეს ღონისძიებაც თავის წვლილს შეიტანს.*

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

კალათბურთი



მარცხნიდან: კოტე მჭედლიძე, გიორგი ზაზახიძე, ირაკლი დოლაბერიძე

# 3X3-ზე ბათუმში

ორიოდე კვირის წინათ თბილისის სპორტის სასახლესთან ფიბას ეგიდით 3X3-ზე კალათბურთში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. მსგავს ღონისძიებას 26 ივლისს აჭარის დედაქალაქი უმასპინძლებს. ასპარეზობის ორგანიზატორები არიან საქართველოს და აჭარის კალათბურთის ფედერაციები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ხელშემწყობი - აზარტული თამაშების კომპანია „ევროპაბეთი“. წინასწარი მონაცემებით, Euro Basketball Batumi 2013-ში 34 გუნდი იასპარეზებს. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით გუშინ სპორტის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტთა შეკითხვებს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ, კალათბურთელთა სუპერლიგის დირექტორმა გიორგი ზაზახიძემ და „ევროპაბეთის“ წარმომადგენელმა კოტე მჭედლიძემ უპასუხეს.

**ირაკლი დოლაბერიძე:** *კალათბურთის ამგვარი ღონისძიებები მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული და პრესტიჟული ხდება, მოსახლეობა მასობრივად ებმება მასში, რადგან 3X3-ზე შეჯიბრებები უფრო მოყვარულებს იზიდავს და არა პროფესიონალებს. იგი ხელს უწყობს მასობრიობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და, ცხადია, კალათბურთის პოპულარიზაციას. ამიტომაც ორმაგად სასიამოვნოა, რომ ამ პროექტით ადგილობრივი ფედერაციები და კერძო კომპანიები დაინტერესდნენ. მადლობა ორგანიზატორებსა და ასპარეზობის მონაწილეებსაც. ვიმედოვნებ, რომ ბათუმში ეს საინტერესო ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარდება.*

**გიორგი ზაზახიძე:** *საქართველო ფიბას ეგიდით 3X3-ზე კალათბურთის საერთაშორისო ტურნირს მეორედ მასპინძლობს. წინა შეჯიბრებაში აზერბაიჯანელები მონაწილეობდნენ, ამჯერად სირიელი და თურქი კალათბურთელებიც იასპარეზებენ. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაიმართება და გამარჯვებული ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაემგზავრება, სადაც 11 აგვისტოს ფიბას ევროტურის ლიცენზირებული ტურნირი გაიმართება. პრიზიორებსა და საუკეთესო მოთამაშეებს „ევროპაბეთი“ ორდღიანი დასასვენებელი საგზურებით, კომპიუტერებითა და ფოტოაპარატებით დააჯილდოებს.*

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# დანიასთანაც დამარცხდნენ

მაკედონიურ შტრუმიცეში დასასრულს უახლოვდება 18-წლამდელ კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის პირველობა. საქართველოს ნაკრებმა გუშინ მეექვსე მარცხი იწვნია - მიხეილ ბერუაშვილის შეგირდებმა დანიასთან წააგეს. ქართველმა კალათბურთელებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწიეს და ეს 10-წუთიანი მონაკვეთიც ფრედ - 18:18 დასრულდა. მეორე მეოთხედში სკანდინაველთა უპირატესობა აშკარა გახდა და დანიელები 10 ქულით დაწინაურდნენ.

შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა: მეტოქემ ტემპს უმატა და ქართველები ისევ ხელმოცარული დატოვა - 77:50 (18:18, 23:13, 17:4, 19:15) გაიმარჯვა. ქართველთაგან გამოირჩნენ ტომარაძე (9), ბოლქვაძე (8) და სანაძე (7), დანიელთაგან კრისტენსენმა (19), ჰანსენმა (16) და პეტერსენმა (14) იყოჩაღეს.

საქართველოს ნაკრებს ერთი თამაში დარჩა ჩასატარებელი - 21-ე ადგილისთვის 28 ივლისს შოტლანდიას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა აუტსაიდერთა ჯგუფში ბოლო მატჩი ლუქსემბურგთან წააგო.

**ვაჟა დანელია**

პარალიმპიზმი

# თავდაცვის სამინისტროსა და პარალიმპური კომიტეტის თანამშრომლობის მემორანდუმი

საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეები რეგიონული და ეროვნული მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას. ამ მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ეროვნულ პარალიმპურ კომიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დღეს გააფორმა. დოკუმენტს ხელი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და კომიტეტის პრეზიდენტმა ლელა აფციაურმა მოაწერეს.

მემორანდუმის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამხედროებისთვის სპორტული კლუბების გახსნა და სავარჯიშო პირობების შექმნა იგეგმება. თავდაცვის სამინისტრო პარაოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად გეგმებს პერიოდულად შეიმუშავებს.

მემორანდუმის პირობებისა და მის ფარგლებში განსახორციელებელი სპორტული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურეებმა პარაოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობისგანაც მიიღეს.

„საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამხედრო მოსამსახურეების დასაქმება, რეაბილიტაცია და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მათი დაბრუნება უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენს პარტნიორებთან ერთად საქართველოში სარეაბილიტაციო ცენტრი იქმნება. გარდა ამისა, ჩვენ ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სპეციალური პროგრამა შევიმუშავეთ, სადაც მათი დასაქმების პროგრამა დაიწყო. მოხარული ვარ, რომ მემორანდუმი გავაფორმეთ პარაოლიმპიურ კომიტეტთან ერთად. დარწმუნებული ვარ, რომ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ჩვენი სამხედროები - პარაოლიმპიელები ძალიან დიდ წარმატებას მიაღწევენ იმიტომ, რომ ბოლომდე ბრძოლის უნარი ჩვენ სისხლში და გენში გვაქვს. ჩვენი სამხედროებისგან დიდი წარმატებების იმედი გვაქვს“ - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა მემორანდუმის გაფორმების შემდეგ.

როგორც პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლელა აფციაურმა აღნიშნა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამხედრო მოსამსახურეების სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას, სოციალურ ადაპტაციასა და რეინტეგრაციას.

ხელმოწერის ცერემონიალი თავდაცვის სამინისტროში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი დაესწრნენ *(სამინისტროს პრესსამსახური)*.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. რეიტინგები

# ლიდერობა ისევ დავიბრუნეთ

## წინსვლა, რომელსაც მეორე ადგილი ჯობდა

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი, რომელმაც გარკვეული სიახლეები მოგვიტანა. თუმცა ეს სია კვლავაც არაა საბოლოო, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე ის კიდევ ერთხელ შეიცვლება – ძიუდოისტებს გაუნახევრდებათ ლონდონის ოლიმპიადაზე მოპოვებული ქულები, რადგან 3 აგვისტოს თამაშებიდან 1 წელიწადი სრულდება. სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ცვლილება არ შეეხება 2011 წლის პლანეტის პირველობის ქულებს – ის მაშინ 26 აგვისტოს დასრულდა, წლევანდელი კი 26-ში იწყება. ანუ 2 წელიწადი ზუსტად სტარტის დღეს გადის და წესით, იმ ტურნირის ქულები რეიტინგიდან საერთოდ უნდა ამოვარდეს, მაგრამ აქ ერთი ნიუანსია – წილისყრა 25 აგვისტოს გაიმართება ანუ 2-წლიანი ვადის გასვლამდე და ძალაში კვლავ ძველი სია იქნება. აი, წლევანდელი მსოფლიო 2-3 დღით გვიან რომ იწყებოდეს, მაშინ საკამათოც არაფერი იქნებოდა, თუმცა ვნახოთ, რას იზამს ამის თაობაზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია.

მანამდე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ რეიტინგი მნიშვნელოვნად განაპირობებს წილისყრას – 8 საუკეთესო სპორტსმენი განითესება და მათ წონის ლიდერებთან მეოთხედფინალამდე შეხვედრა არ მოუწევთ. ბუნებრივია, მხოლოდ განთესვა ვერაფერს გიშველის, თუ არ იშრომე და იბრძოლე – ისე გამარჯვებას არავინ გიფეშქაშებს, მაგრამ ასეთი წესი მაინც ბევრად ჯობია ბრმა წილისყრას.



პაპინაშვილმა მოსკოვში ჰოლანდიელი მოორენი დაამარცხა და რეიტინგში ლიდერობა დაიბრუნა

### 60 კგ

**ამირან პაპინაშვილმა** მოსკოვის „დიდ მუზარადზე" გამარჯვებით დაიბრუნა წონის ლიდერობა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ისევ მეორე ნომრობა ჯობდა. ჩვენებურს მოსკოვის „დიდ მუზარადზე" გამარჯვების შემდეგ 1876 ქულა გაუხდა, რითაც რეიტინგის კენწეროდან მეორე ადგილამდე ჩამოაქვეითა პარიზის წლევანდელი „მუზარადისა" და მასტერსის იაპონელი გამარჯვებული **ნაოჰისა ტაკატო** (1838), მესამე კი ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **ფელიპე კიტადაია** 1576-ით. მეოთხე-მეხუთე ადგილებს მონღოლები – **ამარტუვშინ დაშდაავა** (1382) და **ბოლდბაატარ განბატი** (1348) იყოფენ. ჩვენთვისაც ყველაზე საინტერესო ესაა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე პაპინაშვილი ნახევარფინალში რომელიმე მათგანს შეხვდება. ქართველმა დაშდაავას კარიერაში ორივე შეხვედრა მოუგო, განბატთან კი სამიდან ბოლო ორი წააგო – მათ შორის, წლეულსაც, დიუსელდორფის „დიდ მუზარადზე". თუმცა ახლანდელი წილისყრით პაპინაშვილს მეოთხედფინალშიც არანაკლებ უხერხული მეტოქე ელოდება – რეიტინგის მერვე ნომერი, იაპონელი **ჰიროფუმი იამამოტო** ან ყაზახი **იელდოშ სმეტოვი** (ცხადია, თუ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა და ამათ მანამ ვინმე განუთესავთან არ წააგეს). პაპინაშვილს იაპონელთან არ უჭიდავია, სმეტოვთან კი კარიერაში ორჯერ დამარცხდა, თანაც წლეულს – თბილისში, ნახევარფინალში და მასტერსზე ტიუმენში. ბუნებრივია, არ ვიცით, იაპონელები ამ წონაში ორივეს დააყენებენ თუ არა, მაგრამ თუ აქცენტი ტაკატოზე გააკეთეს, მაშინ სმეტოვი მერვეზე გადმოდის. თუმცა არც ისაა გამორიცხული, მონინავე ოქტეტიდან ვინმემ არ იჭიდაოს. მაგალითად, ამბობენ, რომ რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ გალსტიანი** არ გამოვა; იქნებ არც მონღოლებმა დააყენონ ორივე ფალავანი და ამ შემთხვევაში სმეტოვი აგვცდეს. თუმცა სადღეისო რეიტინგით აჯობებდა, პაპინაშვილს ადგილი არ გაეცვალა ტაკატოსთვის – მაშინ ნახევარფინალში კიტადაიზე გადიოდა, რომელიც მისთვის იოლი ბარიერია. ოღონდ ამ შემთხვევაში მეოთხედფინალში, სავარაუდოდ, რუსი ევროპის ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვი** გადაეყრებოდა, ვისაც 5 პაექრობიდან მხოლოდ ბოლო მოუგო. ამ წონაში ჩვენთვის საინტერესო ფალავნებიდან ოლიმპიადის ქულები მხოლოდ კიტადაისა და გალსტიანს გაუნახევრდებათ, თუმცა ბრაზილიელი მონღოლებზე წინ მაინც დარჩება. ამდენად, აქ თითქმის არაფერი შეიცვლება, მსოფლიოს პირველობას ვინმე თუ არ გამოაკლდება რამე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო.

### 66 კგ

აქ ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** კვლავაც ინარჩუნებს მესამე ადგილს – 1306 ქულა, ლიდერი კი 1670-იანი მონღოლი **დავაადორჯ ტუმურკულეგია**, რომელიც **დავიდ ლაროსეს** (1472) უსწრებს. სამწუხაროდ, ჩვენებურს ოლიმპიადის ქულების განახევრება მნიშვნელოვნად დააქვეითებს, თუმცა მსოფლიოზე განთესილთა შორის მაინც იქნება. ტრავმების გამო შავდათუაშვილს ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეიტინგისთვის საკმარისი ტურნირებიც არ უგროვდება, ახლა კი ლონდონში მოპოვებული 600 ქულიდან განახევრების გამო დააკლდება 300, რის შემდეგაც 100%-იან ტურნირებში მხოლოდ ორი შედეგი დარჩება - ევროპის ჩემპიონობისთვის მოპოვებული 400 ქულა და დიუსელდორფში მეხუთეზე გასვლისთვის (შეგახსენებთ – იქ **შალვა ქარდავას** ბრინჯაოსთვის არ ეჭიდავა) მიღებული 60 ქულა... ამ განახევრების შემდეგ მას ემატება 50%-იან ქულებზე, მაგრამ ბევრად მეტი აკლდება 100%-იანებში, სადაც გამოკლებულის ნაცვლად საერთოდ არ ემატება არაფერი, რადგან ოლიმპიადის შემდეგ ორ ტურნირზე მეტად არ უასპარეზია. მისი მონაგარი 970 ქულა გახდება და მეშვიდეზე გადავა. 2011 წლის მსოფლიოს ქულები რომ გაუქმდეს, მაშინ ჩვენებური 10 ქულით კორეელ **ჯუნ-ჰო ჩოსაც** ჩამოიტოვებს. ოლიმპიადის ქულების განახევრება უმნიშვნელოდ დააკლდებათ ყაზახ **სერგეი ლიმსა** და ლაროსეს ანუ ჩვენებური მათ ვერ გაუსწრებს. ამ პირობებში ისევ შავდათუაშვილის ტალანტის იმედად უნდა ვიყოთ, რომელიც ლონდონში ყველასათვის უცნობად ჩავიდა, სამშობლოში კი ოლიმპიურ ჩემპიონად დაბრუნდა.

ამავე წონაში ქარდავა 418 ქულით 26-ეა, **ტრისტან ფეიქრიშვილი** 302-ით – 34-ე.

### 73 კგ

მოსკოვის „დიდ მუზარადზე" ბრინჯაოს მოპოვებისთვის მიღებული 200 ქულით **ზებედა რეხვიაშვილს** 806 ქულა გაუხდა და მე-11 ადგილამდე აღზევდა, თუმცა ორ კვირაში ის კიდევ უფრო წაიწევს წინ, დაახლოებით მეშვიდე ადგილამდე. იმ დროისთვის ოლიმპიადის ქულები შავდათუაშვილზე უფრო მეტად დააზარალებს რუსთა ოლიმპიურ ჩემპიონ **მანსურ ისაევს** (მას 100%-იანებში მხოლოდ ერთი, 60-ქულიანი ტურნირი რჩება), თუმცა ხელის ტრავმის გამო, სავარაუდოდ, არც იასპარეზებს რიო დე ჟანეიროში, მსოფლიოს პირველობაზე. ქულები სერიოზულად დააკლდება ისაევის წინ, მეექვსეზე მყოფ იაპონელ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **რიკი ნაკაიასაც** – 970-დან 790-მდე ჩამოვა. ამავე მიზეზით ჩვენებური ბრაზილიელ **ბრუნო მენდოსას** და აზერბაიჯანელ **რუსტამ ორუჯოვსაც** ჩამოიტოვებს, რის შემდეგაც მეშვიდეზე გადავა. ამ შემთხვევაში ის ნახევარფინალში ბელგიელ ევროპის ჩემპიონ **დირკ ვან ტიხელტსა** და ჰოლანდიელ მსოფლიოს **დექს ელმონტზე** გადის, მათი დამარცხება კი ჩვენებურს ხელეწიფება.

ამ წონაში **ნუგზარ ტატალაშვილი** 540 ქულით მე-19 ადგილზეა და განთესილთა შორის ვერანაირად ვერ მოხვდება.

### 81 კგ

კიდევ ერთი წონა, რომელიც ჩვენს დიდ ინტერესს იწვევს და სადაც განთესვის ზონაში ერთბაშად ორი კაცი გვყავს – **ავთანდილ ჭრიკიშვილი** 1520 ქულით მეორეა და მხოლოდ 36-ით ჩამორჩება ბრაზილიელ **ვიქტორ პენალბერს**, 952-იანი **ლევან წიკლაური** კი მეშვიდეა. ჭრიკიშვილს ოლიმპიადაზე მიღებული 72 ქულა მსოფლიომდე კი გაუნახევრდება და ქულებიც 1466-მდე ჩამოუვა, მაგრამ მეორე ადგილს ვერავინ შეეცილება. თუ ჩვენი გუნდის თავკაცმა **ირაკლი უზნაძემ** მსოფლიოზე წიკლაურიც წაიყვანა (მოგეხსენებათ, მან მოსკოვში ტრავმა მიიღო და ჯერ არაა ცნობილი, შეძლებს თუ ვერა რიოში გამოსვლას) და მანაც ნაადრევად არ წააგო, მაშინ ჩვენებურები მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან. თუ წიკლაური ბრაზილიაში არ იქნება, მაშინ ჭრიკიშვილის სავარაუდო მეტოქე იმ ეტაპზე კანადელი ოლიმპიური პრიზიორი **ანტოინ ვალოის-ფორტიერია**, ნახევარფინალში – კორეელი მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **კი-ჯაე ბუმი**. სამწუხაროდ, ჭრიკიშვილი პირველობას ვერ წაართმევს პენალბერს, რადგან ბრაზილიელს ქულები არ აკლდება, თორემ კორეელს ასცდებოდა და ბევრად იოლ წილისყრას მიიღებდა. უკვე გაცხადდა, რომ ამ წონაში ფეხის ტრავმის გამო მსოფლიოს პირველობას გამოტოვებს აზერბაიჯანელი ოლიმპიური ჩემპიონი **ელნურ მამადლი**.

### 90 კგ

აქ რეიტინგს კუბელი **ეშლი გონსალესი** ლიდერობს (1994 ქულა), **ვალერი ლიპარტელიანი** მეორეა – 1882, გაბერძნებული **ილიას ილიადისი** – მესამე (1542), მეოთხე - რუსი **კირილ დენისოვი** (1426), **ზვიად გოგოჭური** კი 580-ით მე-14-ეა. ოლიმპიური ქულების განახევრების შემდეგ ბალანსი ცოტათი აქაც შეიცვლება – ლიპარტელიანს გაუხდება 1810 ქულა და დაიბრუნებს რეიტინგის ლიდერობას, რადგან გონსალესს უფრო მეტი დააკლდება და 1764-მდე ჩამოუვა. ქულები დააკლდებათ ილიადისსა და დენისოვსაც, თუმცა ისინი მესამე-მეოთხეზე დარჩებიან ამავე თანამიმდევრობით. ესეც ის შემთხვევაა, როცა გვირჩევნია, ლიპარტელიანი მეორე იყოს და არა პირველი, რადგან ლიდერობის დაბრუნებით ნახევარფინალში მისთვის უხერხულ დენისოვზე გადის, ვისთანაც უკვე მეხუთედ წააგო. ახლანდელი განლაგებით ლიპარტელიანი ნახევარფინალში ილიადისს შეხვდება, დენისოვს კი ფინალამდე ასცდება.

### 100 კგ

ამ წონაში მძვინვარე საკადრო კრიზისის ფონზე არცაა გასაკვირი, რომ მხოლოდ 30-ე ადგილზე ვართ. იქაც არა რომელიმე მოქმედი სპორტსმენი, არამედ სპორტიდან, პრაქტიკულად, წასული **ლომერ ჟორჟოლიანია** – 340 ქულა. სიაში ჩვენგან მეორეც ასევე ყოფილი ფალავანია, ან უკვე ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი ცირეკიძე** – 38-ე ადგილი 288 ქულით, მოქმედთაგან საუკეთესო რეიტინგი კი **დავით ლორიაშვილს** აქვს – 158 ქულა და 56-ე ადგილი. **ალექსანდრე მსხალაძე** 73-ეა (106), **ნოდარ მეტრეველი** – 87-ე (82).

### +100 კგ

**ადამ ოქრუაშვილი** 1564 ქულით მესამეა, **ლევან მატიაშვილი** 344-ით – 28-ე. რეიტინგს ფრანგი ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ტედი რინერი** ლიდერობს – 1950, მეორეზეა ბრაზილიელი ოლიმპიური მედალოსანი **რაფაელ სილვა** – 1910, მეოთხეზე კი გერმანელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსანი **ანდრეას ტოლცერია** 1310-ით. დღევანდელი განლაგება მისწრებაა ოქრუაშვილისთვის, რადგან ფინალამდე დაუმარცხებელ რინერისაც ასცდება და მისთვის უხერხულ ტოლცერსაც, მაგრამ 3 აგვისტოს შემდეგ აქაც ბევრი რამე შეიცვლება – რინერის ქულები დააკლდება და სილვა გადაუსწრებს ანუ მსოფლიოზე ნახევარფინალში ოქრუაშვილი ფრანგს შეხვდება. მოსკოვში ჩვენებურს ცოტა რომ ეყოჩაღა და ნაადრევად არ გავარდნილიყო – ახლა მხოლოდ 2 ქულა მიიღო, ვინძლო, სილვასთვის გადაესწრო. თუმცა ბრაზილიელს მატიაშვილმა მხარი ატკინა და იქნებ ვერც იჭიდაოს საშინაო პირველობა...

თავად მატიაშვილს რაც შეეხება, ის განთესილთა შორის ვერ მოხვდება, თუმცა უზნაძე მსოფლიოზე თუ წაიყვანს, მისთვის ეს უდიდესი სკოლა იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



სალომე მელია

## მეწინავეთა კვარტეტში ორი ქართველია

ბელგრადში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ შესანიშნავად ითამაშა **ბელა ხოტენაშვილმა**, რომელმაც რუსი მარია რომანკო დაამარცხა. ასევე, იყოჩაღა **სალომე მელიამ** - მარია მანაკოვას (სერბეთი) გააჩერებინა საათი. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 28 მოჭადრაკე მეწინავეობდა. მათი 14 პარტიიდან 10 შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ხოტენაშვილსა და მელიასთან ერთად თავიანთი ორთაბრძოლები მოიგეს, თანაც შავი ფიგურებით, ალექსანდრა გორიაჩკინამ (რუსეთი) და ინა გაპონენკომ (უკრაინა), რომლებმაც, შესაბამისად, ლაურა როგულეს (ლატვია) და ოლგა დოლჟიკოვას (ნორვეგია) სძლიეს.

ხოტენაშვილისა და მელიას გარდა, დანარჩენ ჩვენებურთა პაექრობები ასე დასრულდა: ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)-**სოფიკო გვეტაძე** 1:0, **მაკა ფურცელაძე**-მარია მუზიჩუკი (უკრაინა) 0.5:0.5, ლილით გალოიანი (სომხეთი)-**ლელა ჯავახიშვილი** 0.5:0.5, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი)-**მერი არაბიძე** 1:0, **ნინო ხურციძე**-ელენა სედინა (იტალია) 1:0, **ნინო ბაციაშვილი**-კუბრა ოზთურქი (თურქეთი) 1:0, **ნანა ძაგნიძე**-ნარგიზ უმუდოვა (აზერბაიჯანი) 1:0, **სოფიო ნიკოლაძე**-ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი) 0:1, **მირანდა მიქაძე**-ელენა ჩერედნიჩენკო (უკრაინა) 0.5:0.5, კარინა აზიმოვა (რუსეთი)-**ანა გავაშელი** 0.5:0.5, აიტოლუნ გურკანი (თურქეთი)-**მადონა ბოკუჩავა** 0:1.

სამი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ხოტენაშვილი, მელია, გორიაჩკინა და გაპონენკო მეწინავეობენ. ქართველთა მონაგარი კი ასეთია: გურამიშვილი, ხურციძე, ლომინეიშვილი, ბაციაშვილი - 2.5-2.5, ფურცელაძე, ჯავახიშვილი, ძაგნიძე - 2-2, გვეტაძე, არაბიძე, მიქაძე, ბოკუჩავა - 1.5-1.5, ნიკოლაძე, გავაშელი - 1-1 ქულა.

დღეს ლიდერთა ჯგუფის წევრები ასე დაწყვილდნენ: გორიაჩკინა-ხოტენაშვილი, გაპონენკო-მელია, კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2.5)-ნინო ბაციაშვილი (2.5), ზოია შლეინინგი (გერმანია, 2.5)-ნინო ხურციძე (2.5), სოფიკო გურამიშვილი (2.5)-ალინა კაშლინსკაია (რუსეთი, 2.5), მაია ლომინეიშვილი (2.5)-ანა მათნაძე (ესპანეთი, 2.5).

**ვაჟა დანელია**

## დღეს დაისვენებენ

საქართველოს 16-წლამდელ მოჭადრაკეთა ნაკრები გუშინ ჩინეთში მსოფლიოს უნივერსიადაზე მასპინძელთა კიდევ ერთ გუნდს დაუპირისპირდა და 2.5:1.5 გაიმარჯვა (**გიორგი სიბაშვილი**-მი ძიანი 1;0, ჯან ჟიბაო-**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0:1, **ნიკა ლვამბერია**-იაო ლანი 0:1, ჰუ იუე-**ნოე თუთისანი** 0.5:0.5). ტურნირის რეიტინგფავორიტი რუსეთის ნაკრები ინდოეთთან დამარცხდა 1.5:2.5, მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ირანი-თურქეთი 2.5:1.5, პეკინის საჭადრაკო სკოლის ცენტრი-უნგრეთი 1.5:2.5, ჩინეთი (2)-ჩეხეთი 3.5:0.5, ჩინეთი (1)-ვიეტნამი 4:0, სამხრეთ კორეა-ავსტრალია (1) 0:4, აშშ (2)-ინდონეზია 2.5:1.5.

ექვსი ტურის შემდეგ 11 ქულით (18) ინდოეთი ლიდერობს. 10-10 ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფენ რუსეთი (18,5), ჩინეთი-2 (18), უნგრეთი (15,5) და ირანი (15). საქართველოს ნაკრები 8 ქულით მე-17 ადგილზეა..

ოლიმპიადის მონაწილენი დღეს ისვენებენ. ხვალ ჩვენი გუნდი პეკინის საჭადრაკო სკოლის ნაკრებს შეხვდება. მეწინავენი კი ასე დაწყვილდნენ: უნგრეთი-ინდოეთი, რუსეთი-ჩინეთი (2), ავსტრალია (1)-ირანი, თურქეთი-ჩინეთი (1), ყაზახეთი-აშშ (2).

**ვაჟა დანელია**

## ოლიმპიზმი



# ოლიმპიური სამყარო 10 სექტემბრის მოლოდინშია

მსოფლიოს ოლიმპიური თანამეგობრობას დიდი განახლების პროცესი უახლოვდება. როგორც ცნობილია, სულ მალე, 10 სექტემბერს, ბუენოს-აირესში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია გაიმართება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოკ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევისა და სამომავლოდ ჭიდაობის ოლიმპიური ბედის საკითხები.

პოპულარულმა ბრიტანულმა ჟურნალმა sportspro-მ ჩაატარა გამოკითხვა, სოკ-ის მომავალ პრეზიდენტთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები ბევრისთვის სენსაციური აღმოჩნდა. ხმები ასე განაწილდა: **სერგეი ბუბკა** (უკრაინა) 40.6 პროცენტი, თითქმის ორჯერ ნაკლები ხმა მიიღო გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ტომას ბახმა** (19.78%), **სერ მიანგ ნგიმ** (სინგაპური) - 14.29%, ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, შვეიცარიელმა **დენის ოსვალდმა** 13.19%, სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცმა, ტაივანელმა **ჩინგ-კოე ვუმ** 6.59%. ყველაზე ნაკლები მხარდამჭერი (5.46%) აღმოაჩნდა სოკ-ის ფინანსური განყოფილების თავკაც **რიჩარდ კარიონს.**

სოკის რიგით მე-10 პრეზიდენტის არჩევის გარდა, დელეგატებმა კენჭი უნდა უყარონ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭიდაობის დატოვება-ამოღების საკითხს და უნდა გამოავლინონ 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი.

**„ლელოს“ კორ.**

## თარიღები და მოვლენები

### 26-28 ივლისი

**26. 07. 1936.** თბილისის „დინამომ“ საკავშირო თასის გათამაშების პირველი მატჩი თბილისში ბათუმის „დინამოსთან“ 0:0 ითამაშა, 28 ივლისს კი გადათამაშება ბათუმში 2:0 მოიგო.

**26. 07. 2006.** სტამბოლში ბ\რ სტილით ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე, **არჩილ თურმანიძემ** (50 კგ) **და ვლადიმერ კაჭარავამ** (100 ) **ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.**

**26. 07. 2006.** ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, ბოლნისის „სიონმა“ სტუმრად სოფიაში „ლევსკისთან“ 0:2 წააგო.

**26-27. 07. 2011.** ბ\რ ჭიდაობა. ბუქარესტში ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატი: **რევაზ ნადარეიშვილი** და **შოთა გოგისვანიძე** (ოქრო), **ზურაბ დათუნაშვილი** და **სანდრო დიხამინჯია** (ვერცხლი), **ქემალ ხარაბაძე** (ბრინჯაო).

**26. 07. 2012.** ფეხბურთი. ევროპალიგის II საკვალიფიკაციო მატჩში რუსთავის „მეტალურგი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა „პლზენთან“, „დილამ“ „ორჰუსს“ 3:1 მოუგო.

**27. 07. 1933.** დაიბადა **ილია მირიანაშვილი** - კალათბურთი \დაბადების 80 წ.\

**27. 07. 1947.** დაიბადა **გივი ონაშვილი** - ძიუდო

**27. 07. 1964.** დაიბადა **ავთანდილ გოგოლიშვილი** -თ\ჭიდაობა

**27. 07. 1970.** დაიბადა **ლევან აბრამიშვილი** სამთო თხილამურები

**27.07. 1991.** დაარსდა საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაცია.

**27.07. 1999.** თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, 2:1 მოუგო კიშინიოვის „ზიმბრუს“.

**27. 07. 2006.** უეფა-ს თასის გათამაშების I ეტაპის განმეორებით მატჩში, თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ბრატისლავას „პეტრჟალკა“ 2:1 დაამარცხა (სტუმრად 0:2 ჰქონდა წაგებული). თბილისის „ამერმა“ სტუმრად ერევნის „ბანანცს“ 2:1 მოუგო (საკუთარ მოედანზე 0:1 ჰქონდა წაგებული).

**28. 07. 1939.** დაიბადა **ომარ ეგაძე** - ბ\რ ჭიდაობა

**28. 07. 1954.** დაიბადა **თამაზ იმნაიშვილი** - სასტენდო სროლა

**28. 07. 2011.** ტრაბზონი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. მძლეოსანმა **ლაშა ღულელაურმა** სამხტომში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ძიუდოისტმა **ბექა ღვინიაშვილმა** - ჩემპიონობა.

**28. 07. 2011.** ფეხბურთი. ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „მეტალურგი“ შინ ფრანგულ „რენთან“ 2:5 დამარცხდა, თბილისის „დინამომ“ სტუმრად 4:1 მოუგო „რეიკიავიკს“.

**28. 07. 2007.** ვარშავაში ბ\რ სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე **მინდია წულუკიძემ** (42 კგ) და **თორნიკე ნაჭყებიამ** (69) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

**28. 07. 1996.** საქართველოს სუპერთასის გათამაშებაში თბილისის „დინამომ“ ბათუმის „დინამოს“ ბათუმში 4:0 მოუგო.

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

## შეკითხვები ლელოს

**შეკითხვა:** რა მემორანდუმი გაფორმდა UNICEF-სა და საქართველოს სპორტის სამინისტროს შორის ევროპის ახალგაზრდული ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში?

**ტატო სალაძე**
თბილისი

**პასუხი:** ეს დოკუმენტი რამდენიმე დღეა, რაც გაფორმდა თბილისში. ამომწურავ პასუხს თქვენს შეკითხვაზე მიიღებთ სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან, რომელსაც ქვემოთ სრულად გთავაზობთ.

5 ივლისს, სამინისტროში UNICEF-სა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შორის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

„თბილისი 2015“ არ წარმოადგენს მხოლოდ ერთჯერად მოვლენას, რადგან ის ამავე დროს შეასრულებს ძლიერი კატალიზატორის როლს საზოგადოებისათვის პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრაში. ყველა მასპინძელი ქალაქი თუ ქვეყანა თვითონ ირჩევს იმ საჭირბოროტო საკითხების ნუსხას, რომელთა გადაჭრის სტიმულირება უნდა მოხდეს მსგავსი სპორტული ღონისძიებების საშუალებით. საქართველოსა და თბილისის შემთხვევაში ეს საკითხები წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის ინტერესის საგანს.

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო იღებს შემდეგ ვალდებულებებს:**

შეიმუშაოს და განავითაროს ბავშვთა სპორტში უსაფრთხო გარემოს მინიმალური სტანდარტები, რომლებიც დაიცავენ ბავშვს ძალადობის, დისკრიმინაციის და ექსპლუატაციისგან;

შეიმუშაოს და განავითაროს ბავშვთა სპორტის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის სტრატეგიული გეგმა, რომელიც შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტის ხელმისაწვდომობას;

შეიმუშაოს და განავითაროს ბავშვებთან მომუშავე სპორტის სპეციალისტთა მომზადების ისეთი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული და ბავშვისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას სპორტში;

ორგანიზება გაუწიოს „თბილისი 2015“-ის დასრულებამდე საკოორდინაციო და საკონსულტაციო საქმიანობას, რათა გამჭვირვალედ განვითარდეს ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები;

გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოს „თბილისი 2015“-ის ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება, რომელიც მიეძღვნება თემას „უსაფრთხო და ინკლუზიური სპორტი ბავშვებისთვის“.

**გაეროს ბავშვთა ფონდი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:**

გრანტის სახით გაუწიოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა ყველა იმ სტრატეგიული ხედვის და გეგმის შემუშავებაში, რომელიც მიმართული იქნება ბავშვთა სპორტის უსაფრთხოების და ინკლუზიურობის გაზრდაზე;

აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა საკოორდინაციო და საკონსულტაციო ღონისძიებებში, რომლებიც ორგანიზებული იქნება „თბილისი 2015“ -ის დასრულებამდე;

გრანტის სახით გაუწიოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში თემაზე „უსაფრთხო და ინკლუზიური სპორტი ბავშვებისთვის“.

**შეკითხვა:** ვიცი, რომ ბევრ ქვეყანაში დიდი პოპულარობა მოიპოვა სპორტის ახალმა სახეობამ, რომელსაც აერსოფტი ჰქვია. ვფიქრობ, ჩვენშიც დაინტერესდებიან. ამიტომ, კარგი იქნება თუ „ლელოს“ ფურცლებიდან გააცნობთ ფართო საზოგადოებას სპორტის ამ ახალ და საინტერესო სახეობას.

**გიგი ფარჯანაძე,**
თბილისი

**პასუხი:** ამთავითვე გეტყვით, რომ საქართველოშიც ინერგება აერსოფტი. არსებობს საქართველოს ეროვნული ფედერაცია, რომლის დიდი ძალისხმევით ბევრი დაინტერესდა ამ აზარტული თამაშით. აერსოფტი მრავალ ქვეყანაში მართლაც ძალიან პოპულარულია და 2 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს მთელ მსოფლიოში. საფუძველი გახდა პნევმატური თოფებიდან სროლის სწავლება, შემდეგ ამ იარაღებით გასართობი თამაშები მოეწყო შოტლანდიაში და მერე გავრცელდა მსოფლიოში. დღესაც აერსოფტის ცენტრად შოტლანდიაა მიჩნეული.

მოკლედ გაგაცნობთ თამაშის შინაარსს. თამაშში ყველა ერთვება საკუთარი პნევმატური იარაღით. ფაქტობრივად



ეს არის ომობანას თამაში ზრდასრულთათვის. 18 წელს მიუღწევლები სათამაშოდ არ დაიშვებიან. მათი მონაწილეობა ნებადართულია თუ შეჯიბრების ადგილზე მიჰყვება მშობელი. აუცილებელია სპეციალური ჩაცმულობა და პლასტმასის სათვალე ტრავმის თავიდან ასაცილებლად. თამაშის მთავარი პრინციპია პატიოსნება - ანუ ვისაც „ტყვია“ მოხვდა, უნდა აღიაროს და იმოქმედოს იმის მიხედვით, ჭრილობა მსუბუქია, საშუალო თუ სასიკვდილო.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ აერსოფტის ეროვნულ ფედერაციას, ტელ: 577 16 55 55.

## 60 წლის წინათ. რას წერდა „ლელო“



# 26 ივლისი, 1953 წ.

„ლელოს“ ეს ნომერი 1953 წლის 26 ივლისის კვირადღეს გამოვიდა. გაზეთის რედაქტორი იყო ირაკლი უგულავა. ნომრის წამყვანი თემაა საბჭოთა სპორტსმენების მზადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალისათვის, რომელსაც რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი მასპინძლობდა. იმავე ნომრიდან ვიგებთ, რომ ჩინეთში ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობად იმ პერიოდში ითვლება კალათბურთი. სპორტის ეს სახეობა დანერგილი იყო ყველგან - სასწავლებლებში თუ შრომით კოლექტივებში.

„ლელო“ დაუნდობლად ებრძოდა საქართველოში სპორტისადმი გულგრილობას. გაზეთის ხსენებულ ნომერში წერილში „თავმჯდომარეს სპორტი არ უყვარს“ გაკრიტიკებულია გალის რაიონის სოფ. ოტობაიას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტ. ბახტაძე, რომელიც საასპარეზოდ შეკრებილ ახალგაზრდებს ბედაურზე ამხედრებული მიეჭრა და დატუქსა: „რა დროს სპორტია! ყველანი მინდორში, იქ გაავარჯიშეთ კუნთები!“

ზუგდიდის რაიონის სოფ. კორცხელის ახალგაზრდებისადმი უყურადღებობის გამო კი გაზეთს სააშკარაოზე გამოაქვს რაიონის სამეურნეო, სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების უპასუხისმგებლობა. დაიბეჭდა გალის იპოდრომის უმოქმედობის დამადასტურებელი ფოტო, რომელზედაც პირუტყვი და შინაური ფრინველები დანავარდობენ.

წერილში „დანამოელთა ასპარეზობა“ ჟურნალისტი ნ. გუგუშვილი ფართოდ მიმოიხილავს „დინამოს“ საკავშირო პირველობას კალათბურთში, რომელსაც თბილისი მასპინძლობდა. მკითხველი ეცნობა აგრეთვე ველოსპორტში სსრ კავშირის 1953 წლის ჩემპიონების ვ. ძებნიაურისა და ა. ხაბურზანიას წარმატებას.

1953 წლის 26 ივლისისთვის, როგორც გაზეთი იუწყება, ფეხბურთში საკავშირო გათამაშებაში თბილისის „დინამო“ 16 ქულით მეოთხე ადგილს იკავებდა. ჩვენებზე წინ იყვნენ მოსკოვის „დინამო“ (19), მოსკოვის „სპარტაკი“ (18) და ლენინგრადის ზენიტი (17).

გაზეთის ბოლო გვერდზე მოთხრობილია მარათონული ცურვის ისტორია, უცხოეთის სპორტის ახალი ამბები.

## ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა ნახევარფინალშია

აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) წყვილთა პაექრობის მეოთხედფინალში წარმატებით ითამაშეს მეორე ნომრად განთესილმა თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** და ირინა ბურიაჩოკმა (უკრაინა), რომლებმაც დაძაბულ პაექრობაში ილონა კრემენისა (ბელარუსი) და მარინა მელნიკოვას (რუსეთი) დუეტს აჯობეს - 6:4, 7:5. ნახევარფინალში ისინი **ანა ტატიშვილი**-ვესნა დოლონჩისა (სერბეთი) და ჩეხი დების - კაროლინა და კრისტინა პლისკოვების წყვილებს შორის უძლიერესს დაუპირისპირდებიან.

■ ■ ■

**სტამბოლის** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) გამოეთიშა **ალექსანდრე მეტრეველი** - მეორე წრეში ჩვენებური ალექს ლომბარტთან (პუერტო რიკო) დამარცხდა - 6:7, 1:6.

**ვაჟა დანელია**



ოქსანა კალაშნიკოვა

ლეგიონერები

# მიდი-მოდი გრძელდება

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ თვეზე ნაკლები დარჩა. თუმცა ქართველი მორაგბეები, რომლებიც უკვე ლეგიონერის სტატუსით სარგებლობენ, ჯერ კიდევ იცვლიან კლუბებს.**

საქართველოს ნაკრების გარემარბმა **თამაზ მჭედლიძემ** გასული სეზონი „მონ დე მარსანში" გაატარა, რომელიც ელიტურ, პირველ დივიზიონში ასპარეზობდა. ჩვენებურის გუნდს იქ ხელი მოეცარა და მეორე დივიზიონში დაქვეითდა. მჭედლიძემ მარსანელთა შემადგენლობაში მხოლოდ „ჰაინეკენის თასის" გათამაშების მატჩებში ითამაშა შუამარბის პოზიციაზე.

სატრანსფერო სეზონისას მჭედლიძე „ბურგ ან ბრესმა" მიიწვია, რომელიც ელიტურ, მეორე დივიზიონში ფედერალ 1 დივიზიონიდან წლეულს გადაბარგდა. ამავე კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს ნაკრების შუამარბი **მერაბ შარიქაძე**, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ჯერჯერობით ხელშეკრულების გაფორმება ვერ ხერხდება.

ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ლა როშელში" ჩაირიცხა ახალგაზრდა შერკინების ბურჯი **ლექსო ყაულაშვილი.** ლაროშელელები გასულ სეზონში ლიდერთა შორის იყვნენ და პირველ დივიზიონში ალზევებისთვის იბრძოდნენ. სავარაუდოდ, ამ გუნდს ამბიცია არც ამჯერად მოაკლდება.

ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ბაგნერე" იმ გუნდების სიაში ჩაეწერა, სადაც ქართველი მორაგბეები მრავლად არიან. ამ კლუბთან ახლახან ხელშეკრულება გააფორმა პირველხაზელმა **გიორგი მჭედლიშვილმა**, რომელმაც გასული სეზონი ფედერალ 2 დივიზიონში დაქვეითებულ „სენ ჟუნიენში" გაატარა. ამრიგად, ბაგნერელთა ღირსებას მომავალ ჩემპიონატში მჭედლიშვილთან ერთად დაიცავენ, **სიმონ მაისურაძე, ლაშა მალაღურაძე, ლადო გუნიავა** და **ბექა ურჯუკაშვილი.**

კლუბი გამოიცვალა კიდევ ერთმა პირველხაზელმა **ირაკლი ნინიძემ,** რომელიც ფედერალ 1 დივიზიონის „რომანიდან" ამავე დივიზიონში მოასპარეზე „დიჟონში" გადავიდა.



ბურთით თამაზ მჭედლიძე

**II დივიზიონი**

**ვიქტორ კოლელიშვილი, გურამ კავთიძე (ორივე-ლიონი), კახაბერ კობერიძე, ალექსანდრე თოდუა, ვახტანგ მაისურაძე, ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი, ხვიჩა ბუჯიაშვილი (ყველა-ალბი), ირაკლი მირცხულავა, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე (სამივე-ტარბი). ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნაცარაშვილი (ორივე-ორიაკი), ტარიელ რატიანიძე (აჟენი), ბექა შეყლაშვილი (ბეზიე), თამაზ მჭედლიშვილი (ბურგ ან ბრესი), ლექსო ყაულაშვილი (ლა როშელი).**

**ფედერალ 1**

შოთა მელიქიძე, ავთანდილ კოპალიანი (ორივე -მაკონი), ზერო პეტრიაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი (ორივე-ვიენი), რეზო გიგაური (მონლუსონი), რევაზ ჟლენტი (სენტ ეტიენი), გიორგი ჯაშიტაშვილი (შალონი), თედო ზიბზიბაძე, ნიკოლოზ მალალდაძე, გიორგი გაბელია (სამივე-პერიგო), თენგიზ გელანტია (ობენა), ირაკლი ნინიძე (დიჟონი), გიორგი კუთარაშვილი (შატორენარი), ირაკლი ჩომახაშვილი (მარმანდი), ბაჩუკი გუჯარაიძე (სენ ნაზერი), სიმონ მაისურაძე, ლაშა მალაღურაძე, ლადო გუნიავა, ბექა ურჯუკაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი (ყველა-ბაგნერე), დავით აშვეთია, შალვა სუთიაშვილი, არჩილ კობაური, ელიზბარ ყუფარაძე, დავით დადუნაშვილი (ყველა-მასი).

ვარსკვლავი

# დასასვენებლად არ ჩამოვსულვარ

**ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, „ჰაინეკენის თასის" გამარჯვებულის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონის" ბანაკს წლეულს გუნდში ჩარიცხული ბოლო ვარსკვლავიც ეწვია.**

გუშინ ტულონში სამხრეთ აფრიკიდან, „ბოკეს" გარემარბი **ბრაიან ჰაბანა** ჩავიდა. ტულონელებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე ძვირფასი შენაძენია. შეგახსენებთ, რომ ჰაბანა 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მან ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც წელიწადში 504 ათას ევროს აიღებს.

ალსანიშნავია, რომ მის გარდა „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** კიდევ ორი კაშკაშა ვარსკვლავი - ავსტრალიელი **დრიუ მიტჩელი** და ახალზელანდიელი **ალი ვილიამსი** შეიძინა. ცხადია, ჰაბანას საფრანგეთში ჩასვლა იქაურ მედიას ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია. სპორტულ გაზეთ „ეკიპთან" ინტერვიუში სამხრეთაფრიკელმა განაცხადა, რომ ტულონში სერიოზული მიზნებისთვის საბრძოლველად ჩავიდა.

*„ტულონში დასასვენებლად არ ჩამოვსულვარ. ჩემი მიზანი არ არის, მხოლოდ მაღალი ხელფასი ავიღო და პენსიაზე ფინანსურად უზრუნველყოფილი გავიდე. ამ კლუბში თამაში იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდა დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლო, „ბოკეში" თამაში განვაგრძო და 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ვიასპარეზო.*

*მოუთმენლად ველი სეზონის დაწყებას. სტადიონების გუგუნი და სიმღერები საფრანგეთში რაგბის სპეციფიკურ პენს სძენს, რაც აგრერიგად გვაკლია სამხრეთ აფრიკაში. „ტულონის" მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა შესანიშნავი სტრატეგია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც წარმატებების მიღწევა შეგვიძლია. მინდა, ამაში ჩემი წვლილიც შევიტანო.*

*ჩემმა მეგობარმა, ბაკის ბოთამ მითხრა, რომ გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, ვარსკვლავური ავადმყოფობა არავის სჭირს. მორაგბეები ერთ მუშტად, ერთი მიზნისთვის საბრძოლველად არიან შეკრული."* - თქვა ბრაიან ჰაბანამ.

შეგახსენებთ, რომ მანამ, სანამ ბურჯელალი ჰაბანას შეიძენდა, მან კლუბში მისი თანამემამულეები **ბაკის ბოთა, ვიქტორ მეტფილდი** და **დენი როსუ** მიიწვია.

*„ბრაიან ჰაბანას „ტულონში" გადაყვანა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ მინდოდა. ყოველ წელიწადს ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს მის მენეჯერებთან. მახსოვს ბრაიანის მამასთან საუბარი 2008 წელს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში ვასპარეზობდით.*

*საბედნიეროდ, წლეულს შეთანხმება შევძელით. ის ტულონში ჩამოვიდა თავისი კარიერის იმ ეტაპზე, როცა სურს თავისთვის რაღაც ახალი აღმოაჩინოს."* - თქვა „ტულონის" პრეზიდენტმა მურად ბურჯელალმა.



ბრაიან ჰაბანა და მურად ბურჯელალი

ოთხი ერი



ქუადე კუპერი

# ვოლაბებმა კუპერი გაიხსენეს

**ოთხი ერის გათამაშებისთვის ავსტრალიის ნაკრების თავკაცი ევან მაკენზი გაფართოებულ, 40-კაციან შემადგენლობას პარასკევს დაასახელებს. წინასწარი ინფორმაციით, მასში შესაძლოა ისევ მოხვდეს ბრისბენის „რედსის" მგეზავი ქუადე კუპერი.**

„ვოლაბების" შემადგენლობაში ქუადე კუპერმა ბოლოს 2012 წლის ოთხი ერის გათამაშებაში არგენტინასთან მატჩში იასპარეზა. მას შემდეგ საერთაშორისო არენაზე კუპერის შესახებ არაფერი ისმოდა. ეს კი, ძირითადად მისი მოედნის მიღმა საქციელის გამო მოხდა.

კუპერმა „სასჯელი მოიხადა". **რობი დინსი** ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის, რომელმაც მის ადგილზე „ბრიტანელ ლომებთან" სერიაში **ჯეიმზ ოკონორი** ათამაშა. სამაგიეროდ, მაკენზიმ, რომელიც „წითლების" დამრიგებელი იყო, კარგად იცის კუპერის შესაძლებლობები.

*„როდესაც ნაკრების შემადგენლობა გამოცხადდება, იმედი მაქვს სიაში ჩემს გვარსაც ამოვიკითხავ. ძალიან მინდა ისევ „ვოლაბებში" ვითამაშო. თუმცა, ამას არ ვილევ ისე, როგორც კანონზომიერებას.*

*მუხლის ტრავმა მოვიშუშე. თავს ახლა ბევრად უკეთესად ვგრძნობ, მაგრამ ბოლომდე, ასი პროცენტით გამოჯანმრთელებული ჯერ კიდევ არ ვარ.*

*უნდა ვაღიარო, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც ნაკრებში არ მეძახდნენ, საკუთარი თავის შესახებ ბევრი რამ გავიგე. დავრწმუნდი, რომ მუხლჩაუხრელი შრომის გარეშე რაიმე ხელშესახების მიღწევა წარმოუდგენელია."* - თქვა ქუადე კუპერმა.

ზე რაგბი

# ჩიფსმა შვიდი შეცვალა

**ზე რაგბის გათამაშების შარშანდელი გამარჯვებული ჰემილტონის „ჩიფსი" შაბათს ნახევარფინალში შინ ამ ტურნირის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზსს" დაუპირისპირდება.**

ჰემილტონელებმა წლევანდელი სეზონი სტაბილურად ჩაატარეს და რეგულარულ გათამაშებაში ახალი ზელანდიის კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავეს. „ჩიფსს", მიუხედავად იმისა, რომ შინ თამაშობს, დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. „ჯვაროსნები" თამაშიდანთამაშამდე უმატებენ და ზე რაგბის მოგებაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ.

„ჩიფსის" მთავარმა მწვრთნელმა **როს რენიმ** საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელშიც ბოლო მატჩისგან განსხვავებით შვიდი ცვლილება განახორციელა.

*„"ჩიფსმა" ზე რაგბის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალამდე გაალწია. ეს კი, ძალიან ბევრი ადამიანის დაუღალავი შრომის შედეგია. ისინი მოუთმენლად ელიან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმას ახლობლების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების თვალწინ. მათ ყველაზე მეტად სწორედ ახლა სჭირდებათ მხარდაჭერა.*

*რეგულარული გათამაშების პირველ ნახევარში ბევრი ტრავმირებული მოთამაშე გვყავდა, მაგრამ მაინც შევძელით ახალი ზელანდიის კონფერენციის მოგება, რაც ჩვენი გუნდის დიდ პოტენციალზე მეტყველებს. მაგრამ ამ ეტაპზე, აქამდე ნაჩვენები თამაში და მიღწეული შედეგები გავლენას არაფერზე ახდენს. წინ უმძიმესი 80 წუთი გველის და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ჰემილთონელები კიდევ ერთხელ გავახაროთ"* - თქვა როს რენიმ.

**ჩიფსი**

**15. გარეთ ანსკომბი, 14. ლეილა მასაგა, 13. ჩარლი ნგატაი, 12. ანდრეი ჰორელი, 11. ასაელი ტიკოიროტუმა, 10. აარონ კრადენი, 9. ტავერა კერი-ბარლოუ. 1. ტობი სმითი, 2. ჰიკა ელიოტი, 3. ბენ ტამეუფუნა, 4. კრეგ კლარკი, 5. ბროდი რეტალეკი, 6. ლიამ სემასმი, 7. ტანერაუ ლატიმერი, 8. მეთ ვანტ ლეევენი.**

**16. რის მარშალი, 17. ბენ აფეკაი, 18. მაიკლ ფიცჯერალდი, 19. სემ კენი, 20. ავგუსტინ პულუ, 21. ბუნდე აკი, 22. რობი რობინსონი.**

**ნახევარფინალი**

**27 ივლისი**

**ჩიფსი-კრუსეიდერზსი**

**ბლუ ბულზი-ბრამბიზი**

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

● კალათბურთი

# მთელი ამერიკის ფოსტალიონი

## კარლ მელოუნს 50 წელი შეუსრულდა




24 ივლისს, 50 წლის იუბილე იზეიმა კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და NBA-ის ორგზის MVP-მ **კარლ მელოუნმა**.

კარიერის დასაწყისში მსოფლიოს უძლიერესი ლიგის მეორე სნაიპერი უბრალოდ კარგ მოთამაშედ განიხილებოდა და მასში განსაკუთრებულ ნიჭს ვერ ხედავდნენ. მაგრამ, საბოლოოდ, კარლ მელოუნმა თითქმის 37 000 ქულა დააგროვა, გახდა სტაბილურობის ეტალონი და მიიღო მეტსახელი The Mailman ("ფოსტალიონი"). რა თქმა უნდა, ეს მეტსახელი მელოუნმა თავის გვართან მსგავსებით მიიღო, მაგრამ სხვა მიზეზიც იყო – ის ორი ათწლეულის განმავლობაში დაუჯერებელი სტაბილურობით ათავსებდა ბურთს მეტოქის კალათში. მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ მოხდა, კარიერის სტარტზე კი კარლის გამოსვლას თითქმის არავინ ადევნებდა თვალს.

მაგალითად, 1985 წლის დრაფტზე ის "იუტამ" მხოლოდ მე-13 ნომრად აირჩია. მის წინ ალმოჩნდა არა მხოლოდ **პატრიკ იუინგი**, არამედ **უეიმენ ტისდეილი, ქსავიე მაკდანიელი** და **ჩარლზ ოუკლი,** რომლებსაც საკმაოდ კარგი კარიერა ჰქონდათ NBA-ში, მაგრამ მელოუნთან ახლოს ვერ მივიდოდნენ. ხოლო **კენი გრინსა** და **კიტ ლის**, რომლებიც იმ დრაფტის ათეულში მოხვდნენ, საერთოდ არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ ლიგაში.

მოკლედ, "იუტასთვის" მელოუნი კარგი შენაძენი იყო, მაგრამ საერთო ჯამში, ეს გახლდათ საშუალო დონის მოთამაშე, როგორიც ნებისმიერ გუნდში მოიძებნება. ასეთი მოთამაშეების (თუ ისინი მძიმე ფორვარდის პოზიციაზე თამაშობენ) ხვედრია - ეფექტის შექმნა სამნამიან ზონასთან, სტაბილურად ბრძოლა მოხსნებისთვის და საშუალოდ 10-15 ქულის დაგროვება. კარლისგან კარიერის სტარტზე მეტს არ ითხოვდნენ.

სტატისტიკის მიხედვით, "ფოსტალიონის" პირველი სეზონი სოლტ-ლეიკსიტიში ზუსტად ასეთი გამოვიდა: მელოუნმა საშუალოდ მატჩში 15 ქულაზე ოდნავ ნაკლები და 9 მოხსნა დააგროვა. მაგრამ, საერთო ჯამში, კარლმა შეცვალა საკუთარ თავზე სპეციალისტების წარმოდგენა: **ფრენკ ლეიდენის** გუნდში ჩატარებული რამდენიმე მატჩის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეს ძლიერი და ამავდროულად ძალიან მობილური ფორვარდი კარგად დაყენებული საშუალო ტყორცნით სულაც არ არის ჩვეულებრივი მოთამაშე, არამედ დიდი ნიჭიც გააჩნია.

თუმცა კარიერის დასაწყისში მელოუნს საშუალო ტყორცნა კარგად ჰქონდა დაყენებული დინამიკაში. სტატიკაში კი, პირიქით, ის ძალიან ცუდი იყო, რის გამოც გულშემატკივრები დიდი ხანი ნაღვლიანად უყურებდნენ მის შესრულებულ საჯარიმოებს. უფრო მეტიც, 1985-86 წლების სეზონში "ფოსტალიონის" ნებისმიერი გამოსვლა საჯარიმოს ხაზზე ნამდვილი თავგადასავალი იყო. რაზეა ლაპარაკი, როცა საჯარიმოების დაახლოებით მესამედი air-ball-ის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ოკეანის გაღმა ტრადიციულად ასე უწოდებენ ბურთს, რომელიც არც ფარს და არც კალათს ეხება. თანაც, მსგავსი ტიპის აცილება საჯარიმოს შესრულებისას განსაკუთრებით სამარცხვინოდ მიიჩნევა. ამერიკაში კიდევ უფრო დიდ სირცხვილად მხოლოდ გაფუჭებული დანკი ითვლება.

ასე რომ, 1985-86 წლების სეზონში ასეთი გაფუჭებული ტყორცნების მიხედვით მელოუნი ულაპარაკო ჩემპიონი იყო. მას დასცინოდა მთელი ქვეყანა. ასე გრძელდებოდა ერთი წელი, მეორე... სწორედ ამდენი ხანი დასჭირდა კარლს იმისთვის, რომ სტატიკაში სროლა წესრიგში მოეყვანა: როგორც ჩანს, ის შინაგანად გრძნობდა, რომ საჯარიმოები მის კარიერაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა. ის დღე და ღამე ვარჯიშობდა და საბოლოოდ, მიაღწია შედეგს. NBA-ის საუკეთესო მოთამაშეებს შორის, ჯამში არავის გაუტარებია საჯარიმოს ხაზზე იმდენი დრო, რამდენიც "იუტას" სიმბოლოს.

თავის სადებიუტო სეზონში ლიგაში საჯარიმოების აბსოლუტურად უარესი შემსრულებელი (48 პროცენტი რეალიზაცია), ერთი წლის შემდეგ უკვე ბევრს უსწრებდა ამ კომპონენტში (60 პროცენტი), კიდევ ერთი წინ შემდეგ კი ეს მაჩვენებელი უკვე 70 პროცენტს გადასცდა. 80-იანი წლების ბოლოს კი კარლის ამ ნაკლს უკვე აღარავინ იხსენებდა, რადგან "იუტას" ლიდერი თავის მეტოქეებს ჯარიმებისთვის 75-პროცენტიანი სიზუსტით სჯიდა. კარიერის დასასრულს, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ჯარიმების რეალიზაციის საბოლოო პროცენტი სწორედ ამ მაჩვენებელზე გაჩერდა.

მთავარი ნაკლის მოშორების შემდეგ, "ფოსტალიონი" თანდათან გადაიქცა მოთამაშედ ნაკლის გარეშე. მსოფლიოს უძლიერესი ლიგისთვისაც კი უნიკალური ძალა შეხამებული იყო საკმაოდ მაღალ სისწრაფესთან, რისი წყალობითაც, კარლი მცველების მსგავსად გარბოდა კონტრშეტევაში. იქ კი, მეტოქის ფართან, ის ხშირად რჩებოდა მეურვის გარეშე, რადგან მისი უშუალო ვიზავი ვერ ასწრებდა დაცვაში ჩამოსვლას, ხოლო მასზე გაბარიტებით ნაკლებ კალათბურთელს კი არ შეეძლო მძლავრი "ჯაზმენის" აყვანა. "იუტას" საუკეთესო სნაიპერი უბრალოდ გადაუვლიდა მას.

გარდა ამისა, წლებთან ერთად მელოუნმა განავითარა თავისი ისედაც დახვეწილი საშუალო ტყორცნა, რომელიც ფაქტობრივად შორეულ სროლად ტრანსფორმირდა. და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე იარაღი, რადგან "ფოსტალიონის" წინააღმდეგ სამნამიან ხაზთან ახლოს ბრძოლის სურვილი მაქსიმუმ ექვს-შვიდ კალათბურთელს ჰქონდა. დანარჩენ ფორვარდებს ერჩივნათ კარლი დისტანციაზე აეყვანათ და შეგნებულად იხევდნენ ერთი მეტრით უკან ენერგიისა და ჯანმრთელობის დასაზოგად. "იუტას" ვარსკვლავს კი მეტი არც სჭირდებოდა: მეტოქეს ჯერ ბურთს აჩვენებდა და შემდეგ ელეგანტურად ასრულებდა მოძრაობას, რომელსაც ამერიკულ ენაზე კომენტატორები let it fly-ს უწოდებენ. და, როგორც წესი, ნახევარ შემთხვევაში "ფოსტალიონი" ზუსტი იყო.

დაბოლოს, მელოუნს გააჩნდა უნიკალურად კარგი ჯანმრთელობა, რომელიც მუდმივად მოედანზე გასვლის საშუალებას აძლევდა. მის კარიერაში იყო ხანგრძლივი მონაკვეთი (1989-99), როცა ის მხოლოდ იშვიათი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა თამაშებს.

ამ კარგი თვისებების მიუხედავად, საჭირო იყო მათი სწორად გამოყენება და ამისთვის, კარლს თითქის ორი წელი დასჭირდა. ამ მხრივ, გარდამტეხი იყო 1986 წლის პლეი ოფი, რომლის წინ, "იუტამ" მოულოდნელად დაკარგა თავისი მთავარი მექულე **ედრიან დენტლი** – მან ტრავმა მიიღო. შედეგად, ლიდერის როლი დაეკისრა სრულიად ახალგაზრდა მელოუნს, რომელმაც დაამტკიცა, რომ სტაბილურად შეუძლია წინ გაუძღვეს პარტნიორებს. მართალია, "ჯაზმა" ულაპარაკოდ წააგო "დალასთან" მერვედფინალი, სამაგიეროდ, პირველი ვიოლინოს როლი "ფოსტალიონს" საბოლოოდ გადაეცა, რადგან მალე დენტლიმ დატოვა სოლტ-ლეიკ-სიტი: 1986 წლის ზაფხულში, "იუტამ" ის ტრეიდით გაუშვა "დეტროიტში".

ვინ არის მთავარი „იუტაში"? ამ საკითხზე ბოლო ეჭვების მოხსნაში კარლს გარკვეული პერიოდი ხელს უშლიდა საჯარიმოები, მაგრამ 1986-87 წლების სეზონის ფინიშზე ეს საკითხიც მოგვარებული იყო. ასევე მოგვარდა საკითხი - ვინ იქნებოდა „ჯაზის" საუკეთესო სნაიპერი მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში: მომდევნო 15 წელი, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ მელოუნი, რომლის ოსტატობა შეტევის დასკვნით ფაზაში უჩვეულოდ ეხამებოდა „იუტას" პლეიმეიკერ **ჯონ სტოქტონის** პასების დარიგების ოსტატობას. ალბათ, თავისი 37 ათასი ქულის ნახევარი „ფოსტალიონმა" სწორედ ჯონის გადაცემებით მიითვალა.

ამ ვარსკვლავური დუეტის წყალობით, „იუტა" 80-იანი წლების ბოლოს თანდათან გადაიქცა საშუალო გუნდიდან NBA-ში მოდის ერთ-ერთ კანონმდებლად. თუმცა ეს სტატუსი, ძირითადად, რეგულარული ჩემპიონატის მატჩებზე ვრცელდებოდა და არა პრესტიჟული პლეი ოფის შეხვედრებზე. გავარდნებზე მატჩებში „ჯაზი" დიდად არ ბრწყინავდა: იქ **ჯერი სლოუნის** გუნდის სტაბილურობა, რომლის კომბინაციები ერთი და იგივე იყო სეზონიდან სეზონამდე და თამაშის პრინციპები თითქოს არასოდეს იცვლებოდა, პლეი ოფში სადღაც ქრებოდა. სწორედ ეს არ აძლევდა „ჯაზმენებს" თითქმის ათი წლის განმავლობაში ფინალში გასვლის საშუალებას. „იუტას" პირველ რაუნდში გავარდნები გაცილებით მეტი დაუგროვდა, ვიდრე წარმატებული მცდელობები.

მაგრამ მელოუნმა და სტოქტონმა მაინც ითამაშეს ფინალში (ორჯერ), რაც უდიდესი შრომის შედეგი იყო: NBA-ის „ოქროს ხანაში", დასავლეთი კონფერენციის მრავალრიცხოვანი ვარსკვლავებიდან ისინი ყველაზე ბოლოს ჩამოვიდნენ სცენიდან. სხვა საქმეა, რომ პლეი ოფის გადამწყვეტ სერიაში მონაწილეობისთვის „ჯაზმა" აშკარად ცუდი მომენტი შეარჩია: ჩემპიონობისთვის ბრძოლაში სლოუნის გუნდს დაუმარცხებელ „ჩიკაგოსთან" მოუწია თამაშმა და ორჯერ წააგო. როცა 1999 წლის ზამთარში „ჩიკაგოს" უნიკალური შემადგენლობა დაიშალა, „იუტას" დროც ჩავლილი იყო: მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, უკვე მობერებული კარლისა და ჯონის მონდომება მხოლოდ იმისთვის იყო საკმარისი, რომ გუნდი ჩვეულ დონეზე დარჩენილიყო.

2003 წლის ივლისში, „ჯაზის" ლიდერთა გზები მაინც გაიყარა - ერთ გუნდში 18 სეზონის შემდეგ. სტოქტონმა კარიერა დაასრულა, მელოუნმა კი გადაწყვიტა სხვა კლუბში ეცადა ბედი და საჩემპიონო ბეჭედი „ლეიკერსის" შემადგენლობაში მოეპოვებინა. მაგრამ კალიფორნიულ კლუბში ბრწყინვალე შემსრულებელთა ანსამბლის მიუხედავად, „ფოსტალიონის" ოცნებას ასრულება არ ეწერა. საბოლოოდ, ის დამარცხებული დარჩა: მესამედ წააგო ფინალი და მიიღო კარიერაში პირველი და უკანასკნელი ტრავმა. გარდა ამისა, კარლმა ვერ განაახლა კარიერაში ქულების რეკორდი - ვერ გაუსწრო **ქარიმ-აბდულ ჯაბარს**...

# მაიამი–ჩიკაგოთი გაიხსნება

ვებგვერდ The Sun-Sentinel-ის ინფორმაციით, 2013-14 წლების სეზონის რეგულარული ჩემპიონატი 29 ოქტომბერს დაიწყება. პირველ შეხვედრაში ლიგის მოქმედი ჩემპიონი „მაიამი ჰიტი" საკუთარ მოედანზე მიიღებს „ჩიკაგოს". რეგულარული სეზონის სრული კალენდარი მომავალი კვირის სამშაბათს გამოქვეყნდება.

ასევე ცნობილია, რომ 25 დეკემბერს, საშობაო ღამეს „ჰიტი" სტუმრად ითამაშებს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" წინააღმდეგ.

■ ■ ■

„ვაშინგტონ უიზარდსის" ხელმძღვანელობამ თითქმის შეათანხმა ახალი კონტრაქტი მცველ **ჯონ უოლთან**. ამერიკული პრესის ცნობით, ხელშეკრულება ხუთწლიანი იქნება და 2010 წლის დრაფტის პირველი ნომერი ჯამში 80 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

აღვნიშნავთ, რომ თუ მხარეები 31 ოქტომბრამდე არ გააფორმებენ ახალ ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში უოლი შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

დედაქალაქურ კლუბში გატარებული სამი სეზონის განმავლობაში, უოლის საშუალო სტასტისტიკა 16.9 ქულასა და 8.0 შედეგიანი გადაცემას უდრიდა.

■ ■ ■

ვეტერანი გამთამაშებელი **დერეკ ფიშერი** „ოკლაჰომაში" დარჩება. როგორც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, „თანდერმა" კალათბურთელთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის პირობები არ ხმაურდება.

ფიშერმა „ოკლაჰომაში" ბოლო ორი სეზონის დასკვნითი ნაწილი ჩაატარა და გუნდს პლეი ოფის მატჩებში 7.1 ქულით ეხმარებოდა.

■ ■ ■

ფორვარდი **მაიკ მილერი** „მემფის გრიზლისში" გააგრძელებს კარიერას, - წერია ESPN.com-ზე. ჯერჯერობით კონტრაქტის პირობები ცნობილი არ არის.

შეგახსენებთ, რომ მაიკ მილერი ივლისის დასაწყისში დაითხოვეს „მაიამის" რიგებიდან. კალათბურთელის მოქმედი კონტრაქტის თანახმად, მომავალ ორ სეზონში მას 12.8 მილიონი დოლარი ეკუთვნის.

მაიკ მილერის საშუალო კარიერული მონაგარი 12.3 ქულას, 4.8 მოხსნასა და 2.9 შედეგიან გადაცემას უდრის. „მემფისის" გარდა, ფორვარდის გადაბირებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ „ოკლაჰომა" და „ჰიუსტონი".

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# ლებრონი ნაკრებიდან წავიდა



ლებრონ ჯეიმი

„მაიამი ჰიტის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** დაასრულა კარიერა აშშ-ის ნაკრებში. ამის შესახებ იტყობინება Yahoo!Sports მოთამაშესთან დაახლოებულ ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით.

დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ 28 წლის კალათბურთელი გამოტოვებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატს, რომელიც ესპანეთში გაიმართება. ეს ინფორმაცია დაადასტურა აშშ-ის კალათბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯერი კოლანჯელომ.** ასევე თითქმის ნულის ტოლია ჯეიმსის 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შანსი. ფორვარდი რიო-დე-ჟანეიროში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაემგზავრება, თუ მწვრთნელებს სხვა გამოსავალი არ ექნებათ.

ლებრონის გადაწყვეტილება დაღლილობასა და ოჯახთან მეტის დროის გატარების სურვილს უკავშირდება.

2012-13 წლების სეზონში, რომელსაც წინ უძღოდა ლონდონის ოლიმპიადა, კალათბურთელმა ჯამში 99 მატჩი ჩაატარა, ამჟამად კი, სეზონებს შორის შესვენებისას, ჯეიმსი აზიაში კომერციული ტურნეს ფარგლებში მოგზაურობს, ხელმძღვანელობს საკუთარ საკალათბურთო ბანაკს ლას ვეგასში, აგრეთვე ქორწილისთვის ემზადება.

ამერიკის ნაკრებთან ერთად, ლებრონმა მოიგო ოლიმპიადის ოქროს მედალი 2008 და 2012 წლებში. გარდა ამისა, 2004 წლის თამაშებზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ასევე ჯეიმსის ანგარიშზეა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო 2006 წელს.

Yahoo!Sports წერს, რომ ლებრონ ჯეიმსთან ერთად, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატში თამაშზე, შესძლოა, უარი თქვან **კრის ბოშმა, დუეინ უეიდმა** („მაიამი"), **კობი ბრაიანტმა** („ლეიკერსი") და **კრის პოლმა** („კლიპერსი").

სამაგიეროდ, გუშინ გახდა ცნობილი, რომ ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ გაემგზავრებიან ფორვარდები - **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა") და **კევინ ლავი** („მინესოტა"). მათ უნდა დაიცვან ტიტული, რომელიც 2010 წელს, თურქეთში მოიპოვეს.

## ველოსპორტი

# სკანდალი არსებობს, მაგრამ არავინ დაისჯება

### ლენს არმსტრონგი: ყველა ტყუოდა და წესს არღვევდა

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ 2004 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **სტიუარტ ო'გრეიდიმ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. მოგვიანებით კი 39 წლის მრბოლელმა აღიარა, რომ 1998 წელს, ტურ დე ფრანსის სტარტამდე ორი კვირით ადრე, აკრძალულ პრეპარატებს იღებდა. ავსტრალიელმა ისიც დაამატა, რომ ერითროპოეტინი შეიძინა და გამოიყენა თავისი გუნდისგან გვერდის ავლით. იმ დროს, ო'გრეიდი ფრანგულ Credit Agricole-ში გამოდიოდა. 1998 წლის ფრანგულ ველომარათონში ავსტრალიელი მეორე იყო სპრინტერთა კლასიფიკაციაში.

■ ■ ■

ასევე გუშინდელ ნომერში გაგაცანით იმ ველომრბოლთა სია, რომლებიც საფრანგეთის სენატის მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ, 1998 წლის ტურ დე ფრანსზე დოპინგის გამოყენებაში ამხილეს. 18 სპორტსმენს შორის მოხვდნენ მაშინდელი ვარსკვლავები - იტალიელი **მარკო პანტანი** და გერმანელი **იან ულრიხი.**

ამ ფაქტს გამოეხმაურა ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი (UCI). აი, რა წერია ამ ორგანიზაციის განცხადებაში: *„1998 წლის დოპინგსინჯების განმეორებითი ტესტირება ფრანგულ ლაბორატორიაში მეცნიერული კვლევის საფუძველზე მოხდა და არა ანტისადოპინგო ანალიზების ჩატარების ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად. ასევე არ იყო დაცული ანონიმურობის პრინციპები და არ არსებობდა სპორტსმენთა თანხმობა განმეორებითი კვლევისთვის. თავის მხრივ, ველომრბოლებს არ შეეძლოთ მათ მიერ ნაყენებული ბრალდებისგან დაცვა: „B" სინჯები არ არსებობს. ამიტომაც, ჩვენი ორგანიზაცია ვერ მიიღებს ამ შედეგებს წონად მტკიცებულებად ველომრბოლთა დასასჯელად და არასწორად მიაჩნია სპორტსმენთა გვარების გამოცხადება".*

■ ■ ■

ამერიკელმა **ლენს არმსტრონგმა,** რომელსაც დოპინგის მიღებისთვის ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული ჩამოართვეს, სააგენტო "როიტერთან" კომენტარში განაცხადა, რომ პრაქტიკულად ყველა ველომრბოლი არღვევდა წესს და იტყუებოდა. ლენსის თქმით, ადრე ველოსპორტში მომხდარ ამბებს წერტილი უნდა დაესვას და სპორტის ამ სახეობამ წინ უნდა იაროს.

ასე გამოეხმაურა სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ინფორმაციას, რომელიც საფრანგეთის სენატმა გამოაქვეყნა. არმსტრონგი ამბობს, რომ არ არის გაკვირვებული ამ პუბლიკაციით. *"ეს იყო ყველა ჩვენგანისთვის წარუმატებელი ეპოქა",* - ახსნა სკანდალურად ცნობილმა სპორტსმენმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ლენს არმსტრონგი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **II საკვ. II მატჩები** | |
| მილსამი-შახტიორი (ს) | 1:1 დ.დ. 4:2 (1:1) |
| მინსკი-ვალეტა | 2:0 (1:1) |
| რუბინი-იაგოდინა | 1:0 (3:2) |
| ტრენჩინი-გიოტებორგი | 2:1 (0:0) |
| პიასტი-ყარაბახი | 2:1 დ.დ. 2:2 (1:2) |
| ჟილინა-ოლიმპია | 2:0 (1:3) |
| რუდარი-შლიონსკი | 2:2 (0:4) |
| ტურნოვო-ჰაიდუკი | 1:1 (1:2) |
| აქტობე-ჰიოდი | 2:0 (0:1) |
| ინტერი (ბ)-ტრომსიო | 1:0 (0:2) |
| ჟონესი-ვენტსპილსი | 1:4 (0:1) |
| ხაზარი-მაკაბი (ჰ) | 0:8 (0:2) |
| პიუნიკი-ჟალგირისი | 1:1 (0:2) |
| შტურმი-ბრეიდაბლიკი | 0:1 (0:0) |
| გეფლე-ანორთოსისი | 4:0 (0:3) |
| ჰაკენი-სპარტა | 1:0 (2:2) |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბეროე | 2:2 (4:1) |
| ლიბერეცი-სკონტო | 1:0 (1:2) |
| ომონია-ასტრა | 1:2 (1:1) |
| პანდური-ლევადია | 4:0 (0:0) |
| დაჩია-ჩერნომორეცი | 2:1 (0:2) |
| ბოტევი-ჟრინსკი | 2:0 (1:1) |
| შენიცა-მლადოსტი | 0:1 (2:2) |
| უტრეხტი-დიფერდანჟი | 3:3 (1:2) |
| ლოკომოტივა-დინამო (მნ) | 2:3 (2:1) |
| პრესტატინი-რიეკა | 0:3 (0:5) |
| ვიკინგური-პეტროლული | 0:4 (0:3) |
| ჰონვედი-ვოივოდინა | 1:3 (0:2) |
| დებრეცენი-სტრიომსგოდ. | 0:3 (2:2) |
| ვესტმანაიეარი-ცრ. ზვეზდა | 0:0 (0:2) |
| შიროკი ბრიეგი-ირტიში | 2:0 (2:3) |
| სტანდარდი-რეიკიავიკი | 3:1 (3:1) |
| დერი-ტრაბზონი | 0:3 (2:4) |
| ჰიბერნიანი-მალმიო | 0:7 (0:2) |
| ლეხი-ჰონკა | 2:1 (3:1) |
| ლინფილდი-ქსანტი | 0:1 დ.დ. 1:2 (1:0) |
| სტ. ჯონსტონი-რუსენბორგი | 1:1 (1:0) |
| სარაევო-კუკესი | 0:0 (2:3) |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ინდონეზია-ჩელსი | 1:8 |
| ვერია-ერგოტელისი | 2:3 |
| მალაგა-გენჩლერი | 0:1 |
| ერფურტი-ვერდერი | 0:6 |
| ბარნსლი-ბორდო | 1:3 |
| კრუზეიდერსი-ჰართსი | 0:2 |
| **ევრო 2013** | |
| **ქალები. 1/2 ფინალი** | |
| ნორვეგია-დანია | 1:1 პენ. 4:2 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კიოგე-ლუნგბიუ | 2:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ატლანტა** | |
| ისტომინი-ლუ | 7:5, 6:2 |
| **ჰარისონი**-სისლინგი | 6:4, 6:3 |
| **ATP. გშტაადი** | |
| **გრანოლერსი**-დელ ბონისი | 6:2, 7:5 |
| **ჰანესკუ**-ბაუტისტა აგუტი | 7:6, 3:2 უარი |
| **ჰაასე**-ტიპსარევიჩი | 6:2, 6:2 |
| ფედერერი-**ბრანდსი** | 3:6, 4:6 |
| **ATP. უმაგი** | |
| ბერლოკი-**სებალიოსი** | 6:3, 3:6, 2:6 |
| **სეპი**-ჰაიდერ მაურერი | 6:1, 6:0 |
| **რობრედო**-ტროიცკი | 6:0, 6:4 |
| დოლგოპოლოვი-**ბედენე** | 3:6, 1:6 |
| **WTA. ბაქო** | |
| **ლინეტი**-კრის. პლიშკოვა | 3:6, 6:1, 6:2 |
| მარტინკოვა-**მაიერიჩი** | 6:7, 3:6 |
| **სვიტოლინა**-ბურნეტი | 6:0, 7:6 |
| სხეპერსი-**პეერი** | 6:2, 5:7, 3:6 |
| **ვოსკობოევა**-კოზლოვა | 4:6, 6:3, 6:1 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| ციბულკოვა-**ფოგელი** | 5:7, 6:7 |

## TV პროგრამა

**26 ივლისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ამხანაგური მატჩი. ინდონეზიის ვარსკვლავები-ჩელსი.
**12:00** სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - ოლ ბოისი.
**13:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**14:00** ამხანაგური მატჩი. ოსაკა-მანჩესტერი (LIVE).
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ნიიმეგენი.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ამხანაგური მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.
**21:00** სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - ბაიერნი.
**23:00** ევროპის ლიგა. ბაზელი-ჩელსი.
**01:00** ამხანაგური მატჩი. ოსაკა-მანჩესტერი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
**17:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ავსტრალია.
**19:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1983-84 წელი.
**20:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტილბურგი.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**09:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
**17:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**17:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ინდიანა.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ბაქო. აზერბაიჯანი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 17 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 19 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 11 | 20 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 15 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 13 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1835 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6544 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5291 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0846 |

## ამბები

**კრივი**

### ოლიმპიური ჩემპიონი პროფესიონალებში წავიდა

ლონდონის ოლიმპიური ჩემპიონი, 23 წლის ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსანი **ენტონი ჯოშუა** პროფესიულ კარიერას იწყებს. მან ხელი მოაწერა კონტრაქტს პრომოუტერულ კომპანია Matchroom Boxing-თან, რომელსაც სათავეში უდგას **ედი ჰირნი.**

ამ კომპანიის კლიენტები არიან **დევიდ ჰეი, კარლ ფროჩი, დარენ ბარკერი, ჯორჯ გროუვსი, ტონი ბელიუ** და სხვა ბრიტანელი მოკრივეები.

ჯოშუას სადებიუტო ბრძოლა პროფესიონალებში 5 ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

**ჩოგბურთი**

### ჩეხეთმა შემადგენლობა დაასახელა

ცნობილი გახდა ჩეხეთის ნაკრების წინასწარი შემადგენლობა დევისის თასის ნახევარფინალური მატჩისთვის. ამ შეხვედრაში მოქმედი ჩემპიონი არგენტინის ნაკრებს უმასპინძლებს.

ჩეხების კაპიტანმა **იაროსლავ ნავრატილმა** მატჩისთვის გამოიძახა **ტომაშ ბერდიხი, ლუკას როსოლი, ირჟი ვესელი, იან ჰაიეკი** და **რადეკ შტეპანეკი.**

ნახევარფინალური შეხვედრა 13-15 სექტემბერს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში შედგება.

**მძლეოსნობა**

### ჩემპიონი სპორტიდან წავიდა

სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სამხტომში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ტატიანა ლებედევამ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. სპორტსმენმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მოსკოვში მიმდინარე რუსეთის ჩემპიონატზე მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა.

*"ახლა, უდიდეს შვებას ვგრძნობ, რადგან ეს ჩემი ბოლო სტარტი იყო. ჩემს კარიერას წერტილი დაესვა. ძალიან მინდოდა ეს მოსკოვში მომხდარიყო, თუნდაც ეს არ ყოფილიყო მსოფლიოს ჩემპიონატი. არანაირი სინანულის გრძნობა არ მამოძრავებს, რადგან ვგრძნობდი, რომ სეზონის მსვლელობისას ფორმის აღდგენას ვერ ვახერხებდი",* - განაცხადა სპორტსმენმა.

ლებედევამ ოლიმპიადის ოქროს მედალი 2004 წელს მოიპოვა. ასევე 37 წლის მძლეოსნის ანგარიშზეა ზაფხულის თამაშების სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

**ველოსპორტი**

### უიგინსი პოლონეთში იასპარეზებს

ბრიტანელი ველომრბოლი, **სერ ბრედლი უიგინსი** "თიმ სქაის" იმ შემადგენლობაში მოხვდა, რომელიც "პოლონეთის ტურში" მიიღებს მონაწილეობას. მრავალდღიანი ველორბოლა შაბათს, იტალიაში აიღებს სტარტს.

ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და შარშანდელი ტურ დე ფრანსის გამარჯვებულმა წელს გამოტოვა ჯირო დ'იტალია და ტურ დე ფრანსი, რისი მიზეზიც მუხლის ტრავმა და ვირუსული ინფექცია იყო.

სრულად "თიმ სქაის" შემადგენლობა "პოლონეთის ტურზე" ასეთია: სერ ბრედლი უიგინსი. **ლიუკ როუ, ბენ სვიფტი, სერხიო ენაო, რიგობერტო ურანი, დენი პეიტი.**

სავარაუდოდ, ამ ველომარათონში უიგინსის მთავარი კონკურენტი იქნება იტალიელი ვინჩენცო ნიბალი "ასტანადან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# უებერის შემცვლელს უნგრეთის შემდეგ იტყვი-

ბრიტანეთის სილვერსტოუნში გამართული ახალგაზრდული ტესტების წინ, „რედ ბულის" შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მარკ უებერის წასვლის შემდეგ წარმოქმნილ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას ორი პილოტი - **კიმი რაიკონენი** და **დანიელ რიკარდო** აცხადებენ.


დანიელ რიკარდო

ბევრს მიაჩნია, რომ ავსტრალიელის ადგილს კიმი რაიკონენი დაიკავებს, მაგრამ დადის ჭორები იმის შესახებ, რომ პირობები, რომელიც ფინელს აძლევს ხელს, „რედ ბულისთვის" მიუღებელია. კერძოდ, კიმის სურს, რაც შეიძლება ნაკლებად მიიღოს მონაწილეობა გუნდისა და მისი სპონსორების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. ავსტრიულ საჯინიბოს **სებასტიან ფეტელის** სახით ისედაც ჰყავს პილოტი, რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია, ამიტომაც, „რედ ბულმა" შესაძლოა, ზურგი შეაქციოს რაიკონენს.

ეს ყველაფერი სერიოზულად ზრდის დანიელ რიკარდოს შანსებს. ბრიტანული „ავტოსპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში გუნდის მფლობელმა **დიტრიხ მატეშიცმა** განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას უნგრეთის გრანპრის შემდეგ გამოაცხადებენ.

*„გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. მიმდინარეობს განხილვა გუნდის შიგნით, ოფიციალურ განცხადებას კი უნგრეთის გრანპრის შემდეგ გავაკეთებთ. დანიელ რიკარდომ შესანიშნავად გაართვა თავი ახალგაზრდულ ტესტებზე მუშაობას, აგრეთვე ჟან-ერიკ ვერნიც კარგად გამოიყურებოდა"*, - ამბობს მატეშიცი.

# ალონსო: ფეტელს უნდა დავეწიოთ

ამ სეზონში ორი გრანპრის მომგებ **ფერნანდო ალონსოს** 34 ქულის გაბათილება მოუწევს **სებასტიან ფეტელისთვის**, რათა ისევ ჩაებას ტიტულისთვის ბრძოლაში. უნგრეთის გრანპრის წინ, „ფერარის" პილოტმა შექმნილ სიტუაციას იტალიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გაუკეთა კომენტარი.

*„ჩვენ რამდენჯერმე ალვჭურვეთ მანქანა ტექნიკური სიახლეებით, მაგრამ, საბოლოოდ, ამან არ იმუშავა. ამიტომაც უკეთესია არაფერი ვთქვათ და მთლიანად ბოლიდზე მუშაობაზე გადავერთოთ - მხოლოდ ასე თუ შევძლებთ ბრძოლაში დაბრუნებას.*

*ბოლო რამდენიმე წელია სებასტიან ფეტელს დაუჯერებლად უმართლებდა. „რედ ბულის" მანქანის საჭესთან ნებისმიერი პილოტი ძლიერი კონკურენტი ხდება. ყველა, ვინც კი ახალგაზრდულ ტესტებზე RB9-ის საჭესთან დაჯდა, მაშინვე სათავეში ჩაუდგა ოქმს. ეს მანქანა სხვებზე გაცილებით კონკურენტუნარიანია.*

*კონკურენციის მხრივ, ძალიან საინტერესო იქნებოდა, თუ სებასტიან ფეტელი „ფერარიში" გააგრძელებდა კარიერას. ყველა გუნდი, რომელიც ტოპპილოტებთან მუშაობს, უფრო მაღალ შედეგებს აღწევს, რადგან ისინი ვალდებულნი არიან გაიმარჯვონ. გარდა ამისა, სებასტიანი ძალიან კარგი ორიენტირი იქნებოდა ჩემთვის.*

*უახლოეს უქმეებზე უნდა გავუსწრო ფეტელს ფინიშზე. მისი უპირატესობა გენერალურ კლასიფიკაციაში ძალიან დიდია, ამიტომაც მისი სასწრაფოდ შემცირებაა საჭირო"*, - ამბობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

■ ■ ■

როგორც უკვე ვახსენეთ, მომავალ უქმეებზე მთავარი საავტომობილო მოვლენაა - უნგრეთის გრანპრი. ბუდაპეშტში ჩემპიონატის ლიდერ ფეტელს შესანიშნავი მოტივაცია აქვს - მას არასოდეს მოუგია რბოლა „ჰუნგარორინგზე". გერმანელს გამარჯვებათა კოლექციის შევსების შესანიშნავი შანსი აქვს, რადგან ახალ საბურავებზე გადასვლა ძალზე ხელსაყრელია „რედ ბულისთვის". გერმანელის ამოცანას ოდნავ გაართულებს ის, რომ ბოქსებში სიჩქარის ახალი შეზღუდვა აიძულებს გუნდებს გადავიდნენ უფრო ნაკლებ პიტსტოპებზე. ეს კი ავსტრიულ საჯინიბოს არ სურს...

**უნგრეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** ბუდაპეშტი (უნგრეთი)
**წრის სიგრძე:** 4381 მ
**წრის რეკორდი:** 1:19,071 (მიხაელ შუმახერი, 2004)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (Red Bull) - 157 ქულა
2. ალონსო (Ferrari) - 123
3. რაიკონენი (Lotus) - 116
4. ჰემილტონი (Mercedes) - 99
5. უებერი (Red Bull) - 93
6. როსბერგი (Mercedes) - 84
7. მასა (Ferrari) - 57
8. გროსჟანი (Lotus) - 41

**უქმეების განრიგი**

26 ივლისი, 12:00 - I პრაქტიკა
26 ივლისი, 16:00 - II პრაქტიკა
27 ივლისი, 13:00 - III პრაქტიკა
27 ივლისი, 16:00 - კვალიფიკაცია
28 ივლისი, 16:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



უნგრეთის შარშანდელი პოდიუმი

ჩოგბურთი


როჯერ ფედერერი

# ეს უკვე მეტისმეტია, როჯერ!

**როჯერ ფედერერის** კრიზისი გრძელდება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა შვეიცარიაში, გშტაადის ნაკლებად წარმომადგენლობით ტურნირზე პირველი ბარიერიც ვერ გადალახა.

ფედერერი გუშინ, მეორე წრიდან ჩაება ტურნირში. მისი მეტოქე იყო გერმანელი **დანიელ ბრანდსი**, რომელსაც როჯერი გასულ კვირას, ჰამბურგშიც დაუპირისპირდა და სამ სეტში გაჭირვებით გაიმარჯვა. როგორც ჩანს, მსოფლიოს 55-ე ჩოგანმა გაითვალისწინა გერმანული ტურნირის შეცდომები და ძალიან იოლად მოუგო ლეგენდას: 66 წუთში ასეთი ანგარიში დაფიქსირდა - 6:3, 6:4.

ბრანდსი განსაკუთრებით კარგად მოქმედებდა საკუთარ მოწოდებაზე. მან 11 ეისი ჩააწოდა, ხუთი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და არც ერთი საკუთარი გეიმი არ დაუთმო მეტოქეს.

მოკლედ, ფედერერის კრიზისი სახეზეა. შეგახსენებთ, რომ უიმბლდონსა და ჰამბურგის ტურნირზე მან წააგო იმ ჩოგბურთელებთან, რომლებიც იმ მომენტისთვის რეიტინგის საუკეთესო ასეულის მიღმა იმყოფებოდნენ – **სერგეი სტახოვსკისთან** და **ფედერიკო დელბონისთან**. ახლა კი შვეიცარიელმა წააგო მოთამაშესთან, რომელსაც აქამდე მხოლოდ სამჯერ ჰყავდა დამარცხებული ტოპ-ათეულის წევრი.




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608